15 ივნისი, ოთხშაბათი, 2011 წ. №8

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

პრივილეგია ქართული ენის მასწავლებელთათვის

„სახელმწიფო ენა საქართველოს მოსახლეობის ყველა ეთნოსისთვის პრიორიტეტული უნდა გახდეს" — განაცხადა ერთ-ერთ შეხვედრაზე საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, რომელმაც ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისთვის ქართული ენის სრულყოფილად შესწავლა ჯერ კიდევ დაბალ დონეზეა და რომ განსაკუთრებით მწვავედ დგას ქართული ენის ცოდნის საკითხი, რაც ამ მიმართულებით რადიკალური ზომების მიღებას მოითხოვს. ამ პრობლემის წამოჭრის პასუხად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მთელი რიგი პროექტები განახორციელა და სამომავლო გეგმებიც დასახა.

პროგრამა „ქართული ენა მომავალი წარმატებისათვის" ახალი სასწავლო წლიდან სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლსა და კახეთის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში ამოქმედდება. ახალი სტრატეგია საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობებისთვის სახელმწიფო ენის შესწავლის მიზნით განხორციელდება. პროგრამის ფარგლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სხვადასხვა საგნის სპეციალისტებს არაქართულენოვან სკოლებში გაგზავნის. პროგრამაში ჩართვა შეუძლია საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, რომლისთვისაც ქართული ენა მშობლიურია და ფლობს ბაკალავრის ან მაგისტრის აკადემიურ ხარისხს.

ახალმა პროექტმა, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ აკაკი სეფერთელაძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტებთან საინფორმაციო შეხვედრაზე წარადგინა, სტუდენტების დიდი დაინტერესება გამოიწვია.

სამინისტროს წარმომადგენლების ინფორმაციით, პროგრამის ამოცანაა, სახელმწიფო ენის სწავლების გაუმჯობესების მიზნით, სამცხე ჯავახეთში, ქვემო ქართლსა და კახეთის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში სხვადასხვა ღონისძიებების გატარება. ამ მიზნით ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტებს, რომლებიც პროექტში ჩაერთვებიან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მაგისტრატურაში სწავლის სრულ დაფინანსებას და, არაქართულენოვან სკოლებში ქართული ენის მასწავლებლად მუშაობის დაწყების შემთხვევაში, მაღალ ანაზღაურებას სთავაზობს.

მე-4 გვერდზე

რექტორთან პირისპირ

თსუ-ის რექტორთან საუნივერსიტეტო საზოგადოების — პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების პირისპირ შეხვედრა (თუ ეს ოფიციალური ღონისძიებების ფორმატში არ არის დაგეგმილი), რექტორის სამუშაო გრაფიკიდან დადატვირთვიდან გამომდინარე, ნაკლებად შესაძლებელია, თუმცა გატონი ალექსანდრე კვიტაშვილი აბსოლუტურად ღია და გახსნილია ყველა აქტუალური საკითხის, პრობლემის თუ საუნივერსიტეტო თემის ირგვლივ კომპეტენტურად და კორექტულად დასმული შეკითხვის მოსასმენად და მათზე პასუხების გასაცემად. რუბრიკა „რექტორთან პირისპირ" სწორედ ამ დიალოგის ასახვის მიზანს ემსახურება. გაზეთის რედაქცია აგროვებს პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა კითხვებს, რომელსაც თსუ-ის რექტორი უპასუხებს. ამჯერად კი გთავაზობთ ჩვენს ხელთ არსებულ აქტუალურ საკითხებზე ალექსანდრე კვიტაშვილის მოსაზრებებსა და პოზიციას.

იური ანანიაშვილი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სრული პროფესორი:

? — პროფესორ-მასწავლებელთა შესარჩევი კონკურსების დროს კრიტერიუმად იყენებენ რაოდენობრივ მაჩვენებელს — ვის რამდენი სტატია აქვს გამოქვეყნებული. აუცილებელია წინა პლანზე წამოვიდეს ხარისხობრივი მაჩვენებელი. შეიცვლება თუ არა კრიტერიუმები პროფესორთა კონკურსის გზით შერჩევისას?

— ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ეს საკითხი მოგვარდეს. კრიტერიუმები აუცილებლად შეიცვლება. ჯერ ველოდებით თსუ-ის სტატუსის შეცვლას უმაღლესი განათლების კანონში შესატანი ცვლილების თანახმად, რაც საშუალებას მოგვცემს, რომ ეს კრიტერიუმები თავად დავადგინოთ მიმართულებებისა და სპეციალობების მიხედვით. შეიძლება იყოს ერთი სტატია და ფასეული და ათობით სხვის სტატიას სჯობდეს... ასე რომ, ამ პრობლემას აუცილებლად მივხედავთ, უბრალოდ, ეს კრიტერიუმები მორგებული იქნება უფრო დღევანდელ რეალობას და უნივერსიტეტის მოთხოვნას.

ილია თავხელიძე, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი:

? — უკვე მერამდენე წელია, ინფორმაცია ჩვენი უნივერსიტეტის შესახებ ინგლისურ ენაზე ინტერნეტში არ იძებნება. შესაძლებელია თუ არა, დროულად დამზადდეს ინგლისურენოვანი ვებ-გვერდი, სადაც პროფესორთა მონაცემები და სილაბუსები ინგლისურ ენაზე იქნება განთავსებული?

— ეს კითხვა აბსოლუტურად სწორი და დროულია. ამ კითხვის ავტორს მინდა ვუპასუხო, რომ ივლისის ბოლოსთვის უნივერსიტეტის ახალი, ორენოვანი ვებგვერდი გაიშვება, რომელიც შინაარსობრივად ქართულ ენაზე უკვე მზად არის. ამჟამად მიმდინარეობს მისი თარგმნა ქართულიდან ინგლისურად. ყველა გვერდი იქნება ორენოვანი. გარდა ამისა, მინდა ჩავერთოთ საუნივერსიტეტო მსოფლიო საძიებო სისტემაში.

ნოდარ ლეკიშვილი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი:

? — გაუმჯობესდება თუ არა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო-საკვლევი ბაზა, რადგან მოსალოდნელია სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდა და მნიშვნელოვანი ხდება კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება?

მე-3 გვერდზე

კვირის ქრონიკა

მე-8–9 გვ.
რას დაუჭირა მხარი თსუ-ის სენატმა

მე-2 გვერდზე
წარმატებულ სამეცნიერო პროექტებს თსუ თანადაფინანსებას ჰპირდება

მე-5 გვერდზე
როგორ შევძლოთ ჩადებული ნაღმების გაუვნებელყოფა

მე-5 გვერდზე
ირმა რატიანი: ინტეგრაცია გაძლიერების პირობით

მე-7 გვერდზე
ნაბიჯები ევროპის სტუდენტთა კავშირის წევრობის სტატუსის მოსაპოვებლად

მე-10 გვერდზე
სტუდენტთა სამუშაო ჯგუფი ტერიტორიული მოწყობის შესახებ კონცეფციას დადებს

მე-11 გვერდზე
საქართველოზე გადაჯაჭვულნი

მე-13 გვერდზე

რას დაუჭირა მხარი თსუ-ის სენატმა

ადმინისტრაციის 2010 წლის მუშაობის ანგარიში ერთხმად დაამტკიცეს

30 მაისს გაიმართა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა, რომელსაც საბჭოს სპიკერი კახაბერ ლორია თავმჯდომარეობდა.

სხდომის დღის წესრიგში შეტანილი იყო 7 საკითხი, რომელთა განხილვის შემდეგაც საბჭოს წევრებმა გადაწყვეტილებები მიიღეს. კერძოდ: საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სსიპ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ ადმინისტრაციის მიერ 2010 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში, რომელიც სხდომაზე ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა დავით ჩომახიძემ წარადგინა.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე პროფესორის ანაზღაურება გაიზრდება

საბჭომ ცნობის სახით მიიღო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2010 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში.

სხდომაზე განსახილველად წარმოადგინეს თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულება. საკითხის განხილვისას აღინიშნა, რომ დებულების მიმართ არსებობდა გარკვეული შენიშვნები, რომელიც ფაკულტეტმა მთლიანად გაითვალისწინა. ფაკულტეტის დეკანმა ელენე ხარაბაძემ საბჭოს წევრებს გააცნო დებულების ძირითადი პუნქტები, რის შემდეგაც წარმომადგენლობითმა საბჭომ აღნიშნული დებულება დაამტკიცა.

სხდომაზე განიხილეს საკითხი — „ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის: სრული, ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორების თანამდებობრივი სარგოსა და დანამატის ოდენობის დადგენის შესახებ“ თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2010 წლის 10 მარტის დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“. განხილვის შემდეგ დადგინდა, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის თანამდებობრივი სარგო, ვინც ასრულებს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, მათ შორის, სავალდებულო 22-საათიან ყოველკვირეულ დატვირთვას, ეწევა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას და შრომითი ხელშეკრულება აქვს მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან (გარდა უნივერსიტეტის მიერ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან ხელშეკრულებით ან მემორანდუმით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ასევე ნებადართულია არასაუნივერსიტეტო გრანტებსა და პროექტებში მონაწილეობა), განისაზღვროს 720 ლარით თვეში, დანამატი თანამდებობრივ სარგოზე – 1480 ლარი. ამავე პირობებით განისაზღვრა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორთა თანამდებობრივი სარგო 24-საათიანი დატვირთვის შემთხვევაში. მათი ხელფასი განისაზღვრა 540 ლარით, ხოლო დანამატი თანამდებობრივ სარგოზე – 860 ლარით თვეში.

ამავე დადგენილებით, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ამჟამად მოქმედ აკადემიურ პერსონალს 2012 წლის 1 იანვრამდე გაეზარდა ყოველთვიური სახელფასო დანამატი: სრულ პროფესორს – 300 ლარით, ასოცირებულ პროფესორს – 300 ლარით, ხოლო ასისტენტ-პროფესორს – 100 ლარით;

დადგენილების მიხედვით, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის სახელფასო დანამატის ოდენობის ხელახალი განსაზღვრა მომდევნო საბიუჯეტო წლისათვის განხორციელდება.

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე განიხილეს და დაამტკიცეს საკითხი თსუ-ის ტურიზმის სკოლის შექმნისა და მის დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

თსუ-ში ინტერნეტ-ტელევიზია შეიქმნება

სხდომაზე განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია საკითხმა საუნივერსიტეტო მნიშვნელობის ინტერნეტ ტელევიზიის შექმნის შესახებ.

აღინიშნა, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წინაშე წინადადებით შევიდა საორგანიზაციო ჯგუფი სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორის გიორგი ჩართოლანის ხელმძღვანელობით, რის საფუძველზეც უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება უნივერსიტეტში ინტერნეტ ტელევიზიის შექმნის თაობაზე.

სენატის სხდომაზე წარმოდგენილი იყო 2 საკითხი: 1) ინტერნეტ ტელევიზიის შექმნის შესახებ აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების დამტკიცების და 2) ინტერნეტ ტელევიზიის დებულების დამტკიცების შესახებ. საკითხის განხილვისას გამოითქვა გარკვეული შენიშვნები და დაისვა კითხვები, კერძოდ, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი მანანა ხაჩიძე დაინტერესდა, როგორ იმუშავებდა ინტერნეტ ტელევიზია საუნივერსიტეტო სივრცეში იმ ფონზე, როცა უნივერსიტეტს არ აქვს ნორმალური სერვერი და არ გააჩნია ინტრანეტი, ხოლო ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორმა ცირა ბარამიძემ ადმინისტრაციის წარმომადგენლებს სთხოვა, განემარტათ, რა თანხებით მოხდება საჭირო ტექნიკური აღ-

ჭურვილობის შეძენა მაშინ, როცა ეს თანხები უნივერსიტეტის წლევანდელ ბიუჯეტში გათვალისწინებული არ არის.

შეკითხვის ავტორებს განემარტათ, რომ ინტერნეტ ტელევიზიისთვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის შესაძენად უკვე მიმართეს გარკვეულ ფონდებს და ტექნიკის შეძენა მათი დახმარებით მოხდება, უნივერსიტეტი კი მხოლოდ ტელევიზიის თანამშრომელთა ხელფასებს აანაზღაურებს. რაც შეეხება სერვერს, მისი გაუმჯობესება უახლოეს მომავალში იგეგმება. აღინიშნა ისიც, რომ ინტერნეტ ტელევიზიას, IT ტექნოლოგიების თვალსაზრისით, უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი მოემსახურება.

ამავე საკითხზე მოსაზრება გამოთქვა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების პროფესორმა, თსუ-ის აკადემიური საბჭოს წევრმა მარიამ გერსამიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ აკადემიურ საბჭოზე საკითხის განხილვისას მას ჰქონდა დებულების მიმართ გარკვეული შენიშვნები, რაც უკვე გათვალისწინებულია. „ზოგადად ძალიან მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის გაძლიერება, იქნება ეს ლაბორატორია, ტექნიკური აღჭურვილობა, ახალი კამერა, ინტერნეტ ტელევიზია თუ სხვა რამ... მივესალმები, თუ ამ მხრივ მოხდება უნივერსიტეტის გაძლიერება. ვფიქრობ, რომ ინტერნეტ-ტელევიზია, პირველ რიგში, ჟურნალისტიკის მიმართულებას უნდა წაადგეს. მან უნდა ითანამშრომლოს თსუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტთან, რადგან ის უნიკალური კადრები, რასაც ეს ტელევიზია გადაიღებს, რესურსების არსებობის შემთხვევაში, გამოყენებული უნდა იქნას უნივერსიტეტის პოპულარიზაციისთვის. მან ასევე უნდა ითანამშრომლოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტთან, რომელსაც კინო-ტელე მიმართულების ჯგუფები აქვს. ეს ყველაფერი ერთიმეორეს გააძლიერებს,“ — განაცხადა მან.

საბოლოოდ, წარმომადგენლობითმა საბჭომ დაამტკიცა აკადემიური საბჭოს დადგენილება ინტერნეტ ტელევიზიის შექმნის თაობაზე და დებულება მისი მუშაობის შესახებ.

ინტერნეტ ტელევიზია თსუ.ტვ/TSU.TV სრული სარედაქციო დამოუკიდებლობით ისარგებლებს და ხელს შეუწყობს მეცნიერების პოპულარიზაციას; საგანმანათლებლო და სამეცნიერო რესურსების ჩართვას სასწავლო პროცესში; ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტთა პრაქტიკულ მომზადებას ტელემაუწყებლობებში მუშაობისთვის; ასევე, ტელევიზია შექმნის არქივს, გააშუქებს საუნივერსიტეტო ცხოვრებას, ითანამშრომლებს როგორც საქართველოს, ასევე, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მაუწყებლებთან.

ბრძანება 54/01-01

06.06.2011

სსიპ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული და ასისტენტ პროფესორთა აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 34-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, 35-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 29 მაისის №490 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 16-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 44-ე მუხლის, 45-ე მუხლის, „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სრული, ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავების წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2008 წლის 28 მაისის №91 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს 2008 წლის 30 მაისის №13 სხდომის გადაწყვეტილების, „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავების წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს დადგენილება №91-ში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2010 წლის 18 იანვრის 1 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 26 მარტის №24 სხდომის გადაწყვეტილების, „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავების წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს დადგენილება №91-ში ცვლილების შეტანის შესახებ“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2010 წლის 8 ნოემბრის №129/2010 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 9 ნოემბრის №31 სხდომის გადაწყვეტილების, „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის საშტატო განრიგისა და სახელფასო ფონდის დამტკიცების შესახებ“ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2010 წლის 27 დეკემბრის №293/02-01 ბრძანების, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის 2011 წლის 30 მაისის №13540/02 წერილის საფუძველზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს კონკურსი სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული და ასისტენტ პროფესორთა ვაკანტური აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად;

2. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე 6 წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი. ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად საჭიროა არანაკლებ 3 წლის პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობის გამოცდილება.

3. ასისტენტ პროფესორის თანამდებობაზე 4 წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი ან დოქტორანტურის სტუდენტი;

4. კონკურსი გამოცხადდეს 2011 წლის 6 ივნისისს, დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2011 წლის 6 ივლისიდან 2011 წლის 20 ივლისის ჩათვლით, კონკურსი ტარდება საბუთების მიღების დასრულებიდან არანაკლებ 1 და არაუგვიანეს 2 თვის ვადაში;

5. კონკურსი გამოცხადდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული და ასისტენტ პროფესორთა ვაკანტური აკადემიურ თანამდებობის დასაკავებლად შემდეგი მიმართულებებით:

- ამერიკისმცოდნეობა — ასოცირებული პროფესორი — 1 საშტატო ერთეული;
- თეორიული და შედარებითი ენათმეცნიერება — ასოცირებული პროფესორი — 1 საშტატო ერთეული;
- საქართველოს ისტორია — ასოცირებული პროფესორი — 1 საშტატო ერთეული;
- ზოგადი და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა — ასისტენტ პროფესორი — 1 საშტატო ერთეული;
- ფრანგული ფილოლოგია — ასისტენტ პროფესორი — 1 საშტატო ერთეული;
- იტალიური ფილოლოგია — ასისტენტ პროფესორი — 1 საშტატო ერთეული;
- გერმანული ფილოლოგია — ასისტენტ პროფესორი — 1 საშტატო ერთეული;

6. ასოცირებული პროფესორის თანამდებობრივი სარგო განისაზღვრება თვეში 720 (შვიდას ოცი) ლარით.

7. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატი ვალდებულია წარმოადგინოს:

ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ავტობიოგრაფია (CV);

დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტები) ასლი;

ე) სალექციო კურსების ჩამონათვალი — სილაბუსებით;

ვ) სამეცნიერო კვლევების კონცეფცია;

ზ) ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც ყველაზე უკეთ წარმოაჩენს კონკურსანტის კვლევით პოტენციალს;

თ) ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად არანაკლებ 3 წლის პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

8. კანდიდატმა სასურველია წარმოადგინოს:

ა) ინფორმაცია ბოლო 5 წლის განმავლობაში საგრანტო პროექტების ხელმძღვანელობისა ან პროექტებში მონაწილეობის შესახებ;

მისი ხელმძღვანელობით შედგენილი და განხორციელებული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები;

9. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობრივი სარგო განისაზღვრება თვეში 540 (ხუთას ორმოცი) ლარით;

10. ასისტენტ პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატი ვალდებულია წარმოადგინოს:

ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ავტობიოგრაფია (CV);

დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი ან დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ე) სამოტივაციო წერილი.

11. საკონკურსო დოკუმენტების მიღება იწარმოებს 2011 წლის 6 ივლისიდან 2011 წლის 20 ივლისის ჩათვლით თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, თბილისი ი. ჭავჭავაძის გამზ. 36 (V კორპუსი) მე-3 სართული, ოთახი №315;

12. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში“ და განთავსდეს თსუ-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე;

13. დაევალოს კანცელარიას ბრძანების დაგზავნის ფურცელში მითითებული სტრუქტურული ერთეულებისათვის გადაცემა.

რექტორი
ალექსანდრე კვიტაშვილი

რექტორთან პირისპირ

პირველი გვერდიდან

— სასწავლო-საკვლევი ბაზა გაუმჯობესდება იმის მიხედვით, თუ როგორი იქნება უნივერსიტეტის ფინანსური მდგომარეობა. რამდენადაც იცით, ჩვენ შემოგვიერთდა 14 მძლავრი ინსტიტუტი, რომლებმაც სამეცნიერო ბაზა გაგვიძლიერა. იგეგმება „ქართუ ჯგუფის“ მიერ უნივერსიტეტის II კორპუსის სრული რეაბილიტაცია, რის შედეგადაც ისტორიულად ცნობილ ქიმიკოსთა და ფიზიკოსთა ამ კორპუსში არსებული ლაბორატორიები უმაღლეს დონეზე მოეწყობა. რაც შეეხება, ბიოლოგების კორპუსს, იქაც გვინდა პრაქტიკული მეცადინეობებისთვის ლაბორატორიული და სასწავლო-საკვლევი ბაზის გაუმჯობესება. მოგეხსენებათ, ეს აუცილებელი, მაგრამ, ამავე დროს, ძალიან ძვირი სიამოვნებაცაა, ამიტომ ამ მიზნის განხორციელება ფინანსურ მდგომარეობაზეა დამოკიდებული.

კახა გაბუნია, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, პროგრამის „ქართული ენა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის“ ხელმძღვანელი:

? — რა შეთავაზებები შეიძლება გაკეთდეს არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის მათი სამოქალაქო ინტეგრაციის მიზნით (ვგულისხმობ არა მხოლოდ აკადემიური სახის ღონისძიებებს)?

— რამდენიმე დღის წინ უნივერსიტეტში შედგა განათლების სამინისტროს ძალიან კარგი პროგრამის პრეზენტაცია. პროგრამის თანახმად, იმ მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს, რომლებიც 1 წლის განმავლობაში არაქართულენოვან სკოლებში ქართულ ენაზე საგნებს ასწავლიან, სახელმწიფო ხელფასს გადაუხდის და, გარდა ამისა, უნივერსიტეტშიც დაუფარავს მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში სწავლის ხარჯებს. იმედი მაქვს, არაქართულენოვანი ახალგაზრდებისთვის მსგავსი სხვა ტიპის პრაქტიკული ნაბიჯები კიდევ გადაიდგმება.

რაც შეეხება ჩვენს არაქართულენოვან სტუდენტებს (რამდენადაც ვიცი, ასეთი სულ 200-მდეა), არ მგონია ისინი გარიყულად გრძნობდნენ თავს ჩვენს უნივერსიტეტში. თუ რაიმე პრობლემაა, მაშინ უფრო აქტიურად ჩავრთოთ ისინი სტუდენტურ ცხოვრებაში, რაზეც არც სტუდენტური თვითმმართველობა იტყვის უარს მათი ინიციატივებისთვის ხელშეწყობის კუთხით.

დალი ფარჯანაძე, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის მიმართულების პროფესორი:

? — თუ არის შესაძლებელი უნივერსიტეტში მოწვეული პროფესორებისთვის პირობების გაუმჯობესება და მათთვის ხელფასის გაზრდა (მათ საათში 15-20 ლარს უხდიან)?

— უნივერსიტეტში სახელფასო ბადე მთლიანად დასალაგებელია, რასაც ნელ-ნელა ვაკეთებთ. მაგ მხრივ მეტად აღრეული სიტუაციაა, რადგან დასაბალანსებელია შტატში მყოფი და მოწვეული პროფესორების რაოდენობა. არის მიმართულებები, სადაც 3 მუდმივი და 45 მოწვეული პროფესორია, რაც გაუმართლებლად მიმაჩნია. სხვადასხვა ფაკულტეტზე სხვადასხვა სიტუაციაა, ამიტომ, თითოეული მიმართულების სპეციფიკის გათვალისწინებით, ჯერ ბევრი რამ დასალაგებელია. გარდა ამისა, სვამენ აქცენტს, რომ ჩვენთან მოწვეული პროფესორი სხვაგანაც მუშაობს და ამ კუთხითაც კითხვები ჩნდება... მართალია, მე არ ვეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ ამიტომ მას შენთან წაკითხულ ლექციაში ნაკლები უნდა გადაუხადო, მაგრამ ვიცი, რომ ამ თემაზე განსხვავებული აზრები არსებობდა. ამდენად, ამ საკითხზე მოჭრით პასუხს ვერ გაგცემთ. ეს თემა გადახედვას ექვემდებარება.

? — რა საშუალება შეიძლება გამოიძებნოს სახელმძღვანელოებისა და მეცნიერთა შრომების ბეჭდვის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტში?

— შრომები დაწერონ და დაბეჭდვის პრობლემა არ არის. გარდა იმისა, რომ არის თსუ-ის გამომცემლობა, გამოცხადებული გვაქვს ტენდერი სტამბის შეძენაზე. მალე გვექნება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სტამბა, სადაც ლიტერატურა მაღალპოლიგრაფიულ დონეზე დაიბეჭდება. ამჟამად ჩვენი გამომცემლობა იძულებულია, გარეთ მოქმედ სტამბებს შეუკვეთოს მასალების ბეჭდვა და იქაური რიგები დაიცვას. როცა საკუთარი სტამბა გვექნება, უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ მოწოდებული მასალები დაიბეჭდება ბევრად უფრო სწრაფად, მაღალ დონეზე და ბევრად იაფადაც.

დალი ჩიკვილაძე, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების მოწვეული პროფესორი:

? — უკვე ასაკოვანი და საპატიო ლექტორების მიმართ რა პასუხისმგებლობა შეიძლება იტვირთოს უნივერსიტეტმა? ეკუთვნით თუ არა მათ მატერიალური წახალისება სოლიდური პენსიის სახით?

— არსებობს ემერიტუსის ცნება, თუმცა ემერიტუსის არჩევის კრიტერიუმები ჯერ არ არის დახვეწილი, რასაც მრჩეველთა საბჭოსთან ერთად ახლა ვამუშავებთ. ამ კრიტერიუმების ჩვენეული ვარიანტის დასამტკიცებლად ისევ პარლამენტის მიერ უმაღლესი განათლების შესახებ კანონში შესატანი ცვლილებების მიღება გვჭირდება. იმედია, ჩვენ ძალიან მალე გვექნება საკუთარი კრიტერიუმები იმ ემერიტუსების ასარჩევად, რომლებიც შესაბამის ანაზღაურებას მიიღებენ. ამით წერტილი დაესმება მარჩიელობას, ვინ უფრო საპატიო პროფესორია, ვინ უფრო საყვარელია, ვინ უფრო დამსახურებულია და ა.შ. იქნება ერთი სტატუსი — ემერიტუსი, რომელიც ამ ყველაფერს ერთად მოიცავს.

ლადო მინაშვილი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი:

? — ვაჟა-ფშაველას 150 წლისთავთან დაკავშირებით, რომელიც იუნესკოს ეგიდით ივლისში აღინიშნება, რამეს თუ გეგმავს უნივერსიტეტი?

— ვგეგმავთ, ოღონდ არა ივლისში, არამედ შემოდგომაზე, როცა თსუ-ის I კორპუსი იქნება მზად.

? — შენარჩუნდება თუ არა უნივერსიტეტში ვაჟა-ფშაველას კაბინეტი იმ კორპუსში, სადაც იგი გარდაიცვალა?

— კაბინეტები უნივერსიტეტში აღარ შენარჩუნდება. იქნება მემორიალური დაფები და აუდიტორიები, რომელთაც დაერქმევა სახელი, როგორც ვაჟა-ფშაველასი, ისე ნებისმიერი სხვა დამსახურებული პიროვნებების. ის ადგილი, სადაც გარდაიცვალა ვაჟა-ფშაველა (ამის თაობაზე სხვადასხვა ვერსია არსებობს), იქნება აღნიშნული და ერქმევა ვაჟა-ფშაველას სახელობის აუდიტორია და არა კაბინეტი, სადაც სტუდენტმა უნდა ისწავლოს.

თამარ ფოლადაშვილი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის იმართულების IV კურსის სტუდენტი:

? — ჩემი აზრით, ბოლონიის სისტემა კარგად არ არის მორგებული ქართულ გარემოს. როგორ გესახებათ ამ სისტემის მოდერნიზება (იგულისხმება საგნების არჩევის წესი). რამდენად არის შესაცვლელი შიდა მენეჯმენტი იმისათვის, რომ ცხრილები ერთმანეთს არ ემთხვეოდეს?

— აბსოლუტურად ვეთანხმები ამ მოსაზრებას. ბოლონიის პროცესები, ხშირ შემთხვევაში, დამახინჯებულად გამოყენებულია იმისათვის, რომ უაზრო გადაწყვეტილების და ვიღაცის ახირების თუ რეგულაციის ლეგალიზაცია მოხდეს. მაგრამ შემიძლია განვაცხადო, რომ მოდერნიზება, NOAH-ს სისტემის ტესტირება უკვე დამთავრდა და უნივერსიტეტი მართვის ახალ ელექტრონულ სისტემაზე გადადის. ჩვენი მიზანია გერმანიის ტექნიკური უნივერსიტეტის კამპუსის მართვის ელექტრონული პროგრამა NOAH-ის ადაპტაცია თსუ-ში. სისტემა სტუდენტებს საშუალებას მისცემს, სასწავლო კურსებსა და სემინარებზე დარეგისტრირდნენ ელექტრონულად. ეს გადაჭრის იმ უამრავ პრობლემას, რომელიც შეეხება რეგისტრაციის რიგებს, ლექციების დამთხვევას. ახალი ელექტრონული სისტემა გაუადვილებს სწავლის პროცესს როგორც სტუდენტებს, ასევე უნივერსიტეტის ადმინისტრაციას.

ონლაინ სისტემა ჯერ გაიშვება ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ტესტურ რეჟიმში და უკვე წლის ბოლომდე ყველა ფაკულტეტზე. რაღაც პერიოდი პარალელურ რეჟიმში იმუშავებს არსებულ სისტემასთან. წლის ბოლომდე ყველგან მოხდება დატრენინგება და იგი ყველა ფაკულტეტზე დაინერგება. ასევე, ამოქმედდება შიდა მენეჯმენტის, საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამაც.

მარი მელიქიშვილი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების IV კურსის სტუდენტი:

? — გამოიყოფა თუ არა თანხები სასწავლო ლიტერატურის თარგმნისთვის და როგორ გესახებათ ამ პროცესისთვის ხელშეწყობა?

— შეგვიძლია ყველას ვუთხრათ, რომ ამ მიზნით თანხები ყოველ წელს გამოიყოფა და სასწავლო ლიტერატურა ყოველ წელს ითარგმნება... კარგი იქნება, თუკი სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის „ხალხი“ ამ კითხვას თავს დაანებებს. ახლაც ველოდები (უკვე ერთ თვეზე მეტია) მათგან სიას იმ სახელმძღვანელოებისა, რომლის თარგმნა და გამოცემა სჭირდებათ და ჯერაც არ მოუციათ. თუ მომცემენ, კარგი იქნება... უნივერსიტეტს ამისთვის თანხები გამოყოფილი აქვს. ვფიქრობთ, ვინც სილაბუსში მიუთითებს ძირითად და დამხმარე ლიტერატურას, მასვე შეუძლია თარგმნოს. სულ ახლახან გამოიცა ბლანშარის არჩევუ-ლებრივი წიგნი — ნათარგმნი ქართულად, რომელიც ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორებმა თარგმნეს. თავად „სოც-პოლებსაც“ გრანტების ფულით უამრავი ნათარგმნი წიგნი აქვთ გამოცემული და თუ კიდევ არის დამატებითი მოთხოვნა სახელმძღვანელოების თარგმნაზე, სია მაინც უნდა გვქონდეს რექტორატს, რათა მისი თარგმნის უზრუნველყოფაზე ვიფიქროთ.

იმ წიგნებს, რომლებიც ყოველ წელს არ იცვლება, უნივერსიტეტი თარგმნის და მალე, საკუთარი სტამბის არსებობის პირობებში, კიდევ უფრო გამარტივდება ეს პროცედურა. ოღონდ ჯერ მოგვაწოდონ, რა წიგნები უნდათ!

თორნიკე ჟეიშვილი, ახალგაზრდა კონსტიტუციონალისთა ასოციაციის პრეზიდენტი:

? — რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია მზადდება საკანონმდებლო ცვლილება უმაღლესი განათლების კანონში, რაც ითვალისწინებს უნივერსიტეტის სტატუსის შეცლას – იგი გახდება კერძო სამართლის იურიდიული პირი. რა პოზიცია გაქვთ უნივერსიტეტის სამართლებრივი სტატუსის შესაძლო ცვლილებასთან დაკავშირებით?

— ამ ცვლილების მიმართ ძალიან დადებითი დამოკიდებულება მაქვს, ოღონდ ბევრი რამ გასათვალისწინებელია. აქ არ არის კერძო პირად ჩამოყალიბებაზე საუბარი, არამომგებიან ფორმატზეა ლაპარაკი, ანუ უნივერსიტეტი აღარ იქნება საჯარო სამართლის იურიდიული პირი. სახელმწიფო უნივერსიტეტად კი დარჩება... ეს ცვლილება პროგრესულია, კარგია, უფრო მეტი დამოუკიდებლობა ექნება უნივერსიტეტს, იგივე, ემერიტუსების, პროფესორების შერჩევის კრიტერიუმების დასადგენად, ფინანსური თვალსაზრისითაც, თუმცა კონტროლი და სახელმწიფო პოლიტიკა იგივე დარჩება. კანონში შესატანი ცვლილებების განხილვა ჯერ არ დაწყებულა, პარლამენტში კანონი ჯერ მხოლოდ პირველი მოსმენით გავიდა და ვნახოთ, მისი დამტკიცების შემდეგ რისი შესაძლებლობები მოგვეცემა...

? — ბევრს აინტერესებს: ეს საკანონმდებლო ცვლილება ხელმძღვანელობის დონეზე ხომ არ გამოიწვევს საკადრო ცვლილებებს?

— არა, ეს გამორიცხულია...

გიორგი ნადარაია, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტოლოგიის მიმართულების მაგისტრანტი:

? — არის თუ არა დღეს უნივერსიტეტი ავტონომიური?

— გიორგი ნადარაიას უთხარით, რომ არის-თქო და თუ ამაში ეჭვი ეპარება, თქვას, რატომ?

შოთა თუთბერიძე, პროექტ „სტუდენტური პარლამენტის“ თავმჯდომარე:

? — რა ღონისძიებებს შეიძლება მიმართოს სტუდენტურმა პარლამენტმა, რომელიც უნივერსიტეტის წიაღში საკანონმდებლო ინიციატივებზე მუშაობს და რაზე უნდა გაამახვილოს ყურადღება? თუ არის იმის საშუალება, რომ ჩვენი წინადადებები მივაწოდოთ საქართველოს პარლამენტს?

— სტუდენტური პარლამენტის იდეა არის არაჩვეულებრივი. დასმული შეკითხვიდან გამომდინარე, რა საკანონმდებლო ინიციატივებზე მუშაობენ, ვერ ვხვდები და თუ შემხვდებიან, დიდი სიამოვნებით მივიღებ და მოვუსმენ მათ. მანამდე კი შეუძლიათ მიაკითხონ აკადემიური საბჭოს მრჩეველს იურიდიულ საკითხებში ვასილ გონაშვილს, რომელიც მათ დააკვალიანებს, თუ რა შეიძლება გაკეთდეს საქართველოს პარლამენტისთვის მათ მიერ დამუშავებული საკანონმდებლო წინადადებების მინოდების კუთხით და როგორ უნდა ჩაერთონ ამ პროცესში, თუ ეს საქმიანობა ძალიან იტაცებთ.

თიკო ახვლედიანი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი, სტუდენტური თვითმმართველობის წევრი:

? — თუ გეგმავთ წარჩინებულ სტუდენტთა წამახალისებელი ღონისძიებების გატარებას (იგულისხმება სტიპენდიების გაცემაც) და თუ ისახავთ მიზნად სოციალურად დაუცველი სტუდენტებისთვის რაიმე სპეციალური პირობების შექმნას?

— რა თქმა უნდა, ვგეგმავთ წარჩინებული სტუდენტების წახალისებას. დღეს არსებობს რამდენიმე სახის სტიპენდია, როგორც წარჩინებული სტუდენტებისთვის (თავად ფაკულტეტებს აქვთ ამის საშუალება), ასევე, არის საპრეზიდენტო სტიპენდია, რომელიც ყოველ წელს გაიცემა. ჩვენ ვაპირებთ წამახალისებელი სტიპენდიების დაწესებასაც, ასევე, გვინდა, წარმატებული სტუდენტების დასაქმებაზეც ვიზრუნოთ, რათა შემოსავალი გაუჩნდეთ. ასე რომ ბევრი პროექტია, რამაც, შეიძლება, სრუდენტთა წახალისების კუთხით კარგად იმუშაოს.

სოციალურად დაუცველი სტუდენტებისთვის კი, სამწუხაროდ, ჯერ არ გვაქვს ნორმალური საცხოვრებელი პირობების შექმნის საშუალება. იმედია, მალე ამასაც მოვახერხებთ და დავეხმარებით მათ. თუმცა, აღვნიშნავ, რომ თბილისის მერიასაც აქვს სოციალურად დაუცველი სტუდენტებისთვის დახმარების პროგრამა.

ეთერ ცერცვაძე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის მიმართულების I კურსის სტუდენტი:

? — უახლოეს მომავალში თუ იგეგმება წიგნის მაღაზიისა და ლიტერატურული კაფის გახსნა?

— წიგნის მაღაზია გაიხსნება ჯერ I კორპუსის ფოიეში და მეორე მაღაზია — VI კორპუსის ქვემოთ. ლიტერატურული კაფისა და წიგნების მაღაზიის გახსნა შარშანაც გვინდოდა, მაგრამ ჯერ კანონი არ გვაძლევს ამის საშუალებას. ასე რომ, ველოდებით უმაღლესი განათლების კანონში ცვლილებებს, რაც გაგვიმარტივებს მსგავსი ინიციატივების განხორციელებას და სამეწარმეო საქმიანობაში ჩართვას.

მოამზადა **ნინო კაკულია**

რამდენმა გამოთქვა მეცნიერების მენეჯმენტის შესწავლის სურვილი?

ხშირად გვსმენია, რომ ქართველ მეცნიერთა დიდი ნაწილი მართლაც ღირებულ სამეცნიერო პროდუქტს ქმნის, მაგრამ ამ პროდუქტის შესახებ მხოლოდ ვიწრო სამეცნიერო საზოგადოებამ იცის. ეს არ გახლავთ მეცნიერთა ინდიფერენტულობის მაჩვენებელი, რადგანაც ამგვარ „პასიურობას“ თავისი ობიექტური მიზეზები აქვს: საბჭოთა სისტემის პირობებში უცხოეთთან კონტაქტები ნაკლებად იყო და, თუ არ ჩავთვლით კონკრეტული სამხედრო ან სხვა დანიშნულების მეცნიერულ პროდუქტს, არც სამეცნიერო იდეების კომერციალიზაციას ითხოვდა ვინმე.

თანამედროვე მოთხოვნები მეცნიერების მიმართ შეიცვალა. დღეს, ფუნდამენტურთან ერთად, გამოყენებით მეცნიერებებს განსაკუთრებულად დიდი მნიშვნელობა ენიჭება და მეცნიერის წინაშეც სხვა, უფრო ფართო მასშტაბის ასპარეზიც ჩნდება. ამავე კრიტერიუმით, მეცნიერება დღეს არა მხოლოდ ღირებული სამეცნიერო პროდუქციის შექმნას ითვალისწინებს, არამედ მეცნიერების მენეჯმენტის ცოდნასაც.

რას ნიშნავს მეცნიერების მენეჯმენტი? ეს არის კონკრეტულ ღონისძიებათა ის ერთობლიობა, რომელიც კვლევების პროდუქტიულობას და ხარისხს ზრდის. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტში დოქტორანტებისთვის შეიქმნა მეცნიერების მენეჯმენტის საუნივერსიტეტო არჩევითი კურსი, რომელიც ასწავლის — რა უნდა იცოდეს მომავალმა მეცნიერმა მენეჯმენტის კუთხით? რა ინდიკატორების მიხედვით ფასდება სამეცნიერო ნაშრომი? რა არის მაღალრეიტინგული ჟურნალი? რა არის იმპაქტ-ფაქტორი? როგორ ხდება უნივერსიტეტების რეიტინგების დადგენა და ა.შ.

დოქტორანტებისთვის მეცნიერების მენეჯმენტის კურსს კითხულობს თსუ-ის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსი გიორგი ღვედაშვილი, *რომელიც დაწვრილებით გვესაუბრა სასწავლო პროგრამის შინაარსზე.*

მაია ტორაძე

— ბატონო გიორგი, თქვენ ჩვენთან საუბარში ადრეც აღნიშნეთ, რომ იწყებდით დოქტორანტებისთვის სპეციალური კურსის კითხვას, რომელიც მათ მეცნიერების მენეჯმენტს შეასწავლიდა. კურსის შემოტანიდან უკვე რამდენიმე სემესტრი გავიდა და შედეგებზე საუბარი, ალბათ, უკვე შეიძლება. რა დატვირთვა აქვს ამ კურსს, რას შეასწავლის ის დოქტორანტებს?

— მეცნიერული განვითარებისთვის მნიშვნელოვანია, როგორ მიმდინარეობს მისი ადმინისტრირება და მენეჯმენტი, რომელიც გულისხმობს მეცნიერისთვის სათანადო პირობების შექმნას და მათი პოტენციალის სრულყოფილად გამოყენებას. ერთია, იყო კარგი მეცნიერი და გქონდეს კარგი კვლევები და მეორე — საჭიროა მისი სათანადოდ წარმოჩენა და ბიზნესის ენაზე გადატანა.

სამეცნიერო კვლევის პროდუქტად ქცევის რამდენიმე ფორმა არსებობს: სამეცნიერო სტატია, მონოგრაფია ან კონკრეტული პროდუქტი, რომელიც მოიცავს კვლევების შედეგებზე დაფუძნებულ ტექნოლოგიას ან სხვა შედეგს, რომელიც შემდგომ გამოყენებას ჰპოვებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

რა არის მეცნიერების ადმინისტრირება და მენეჯმენტი? მეცნიერების ადმინისტრირება და მენეჯმენტი განვითარების 60 წლის მანძილზე ყალიბდება როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროფესია, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ნდობის ინვესტირებას ინტელექტუალურ განვითარებაში. წამყვანმა ქვეყნებმა უკვე გაიარეს გზა სამეცნიერო იდეიდან პროდუქტამდე, ჩვენ კი მხოლოდ ახლა ვიწყებთ ამ კუთხით პირველი ნაბიჯების გადადგმას.

რას ვაკეთებთ ამ მხრივ? უკვე 2 წელია გავაკეთეთ მეცნიერების მენეჯმენტის კურსი დოქტორანტებისათვის. ეს არის საუნივერსიტეტო არჩევითი კურსი, რომელსაც ყველა სპეციალობის დოქტორანტს ვუკითხავთ.

ამ კურსის ფარგლებში მათ ვასწავლით, რა არის ბიბლიომეტრია, როგორ ხდება მეცნიერის შეფასება, როგორ იზომება, რამდენად პროდუქტიულია იგი და რამდენად მაღალრეიტინგულია გამოქვეყნებული ნაშრომი.

ბუნებრივია, დოქტორანტისთვის მნიშვნელოვანია, რომ სწორად წარმართოს მეცნიერებაში თავისი მოღვაწეობა კარიერის და მეცნიერების ადმინისტრირების მხრივ. ამიტომ, მან უნდა იცოდეს, როგორ ხდება მეცნიერების პროდუქტიულობის გაზრდა.

ჩვენ მათ ვასწავლით ელექტრონული ბიბლიოთეკის გამოყენებას და ვაცნობთ, რის საშუალებას გვთავაზობენ პროვაიდერები. მაგალითად მოგვყავს ტომსონის ბაზა, რომელიც უნივერსიტეტში წინა წელს ჩართული იყო... ამჟამად არ გვაქვს წვდომა, მაგრამ მალე ჩავერთვებით და ჩვენს პერსონალს მიეცემა შესაძლებლობა, სწრაფად მოძებნონ სამეცნიერო სტატიები და გაეცნონ მეცნიერის ან კონკრეტული სამეცნიერო სტატიის რეიტინგს.

ამ კურსში არის სხვა მნიშვნელოვანი საკითხებიც. მაგალითად, როგორ დავწეროთ კარგი სამეცნიერო სტატია, როგორ მოვამზადოთ კარგი პროექტი. ჩვენ მათ ვაცნობთ საერთაშორისოდ აღიარებულ მიღწევებს, რომელსაც წამყვან ქვეყნებში იყენებენ, მაგრამ, ძირითადად მაინც, ორიენტირებული ვართ რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საკონკურსო მოთხოვნებზე, რაც მათთვის უფრო ხელშესახებია. დოქტორანტები ეცნობიან, რას ითხოვენ სამეცნიერო ფონდში და რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს წარდგენილი პროექტი. მნიშვნელოვანია, რომ მათ საბოლოო გამოცდის ჩაბარებამდე ვაძლევთ კონკრეტულ დავალებებს, რომლის შესრულება და სემინარზე გაანალიზება სათანადო უნარ-ჩვევებს უვითარებთ.

უკვე 2 წელია გავაკეთეთ მეცნიერების მენეჯმენტის კურსი დოქტორანტებისათვის. ეს არის საუნივერსიტეტო არჩევითი კურსი, რომელსაც ყველა სპეციალობის დოქტორანტს ვუკითხავთ.

ლექციებზე ვსწავლობთ, ასევე, CV-ის მომზადებას. ვინმეს შეიძლება გაეღიმოს, მაგრამ ეს არ გახლავთ ადვილი საქმე — დოქტორანტმა უნდა შეძლოს CV-ის შედგენა და გაფორმება საერთაშორისოდ აღიარებული და მიღებული ფორმით. მან უნდა იცოდეს, როგორ მიაწოდოს მეორე მხარეს საკუთარი მიღწევები და სამეცნიერო ბიოგრაფია ლაკონურად. ამისთვის ჩვენ მათ კონკრეტულ რჩევებს ვთავაზობთ. მოგეხსენებათ, რაც უფრო დიდია CV და ბევრი და არაფრისმომცემი ინფორმაციაა მასში ჩაწერილი, მით ნაკლებია შანსი ამ CV-ის ავტორით ვინმე დაინტერესდეს.

ასევე ვასწავლით მოტივაციის წერილის წერას. როდესაც ადამიანი მიდის კონკრეტულ სამეცნიერო თუ სხვა ტიპის თანამდებობაზე, ხშირად საჭიროა მოტივაციის წერილის წარდგენა, ანუ იმის დასაბუთება, თუ რატომ სურს მას ამა თუ იმ თანამდებობის დაკავება. ჩვენ ვასწავლით მიზნებისა და მოტივაციის არგუმენტირებულად ჩამოყალიბებას. სწორედ სამოტივაციო წერილზეა დამოკიდებული იმის განსაზღვრა, არის თუ არა ამ ადამიანის შესაძლებლობები კონკრეტული თანამდებობის/სამსახურის მოთხოვნათა ადეკვატური.

კარგად შედგენილ მოტივაციის წერილს აუცილებლად მოჰყვება ინტერვიუ. ამიტომ სასწავლო პროგრამაში ჩავრთეთ რჩევები — რაზე უნდა გააკეთოს აქცენტი ადამიანმა ინტერვიუს დროს, რა არის ნიშანდობლივი და ა.შ.

— არის თუ არა სასწავლო კურსში გათვალისწინებული ის ნიუანსები, რაც უშუალოდ სამეცნიერო პროექტის ან სამეცნიერო სტატიის წერას სჭირდება?

— ცხადია, არის. გარდა იმისა, რომ კონკრეტულ რჩევებს ვაძლევთ, როგორ ააგონ სტატია, მონოგრაფია ან სამეცნიერო პროექტი, ასევე ვასწავლით, რა არის იმპაქტ-ფაქტორი, როგორ განიმარტება იგი და რატომაა იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია გაცილებით მნიშვნელოვანი. ბევრი ფიქრობს, რომ იმპაქტ-ფაქტორიანი ჟურნალები ჩვენთვის მიუწვდომელია, მაგრამ, როცა დოქტორანტები ამ კურსს გადიან, უკვე ხვდებიან, რომ სამეცნიერო სტატიის ასეთ ჟურნალში გამოქვეყნება სულაც არაა დაუძლეველი ბარიერი. იმპაქტ-ფაქტორი მხოლოდ ამ ჟურნალის პოპულარობის და აღიარების მაჩვენებელია და მეტი არაფერი. ამიტომ სასწავლო პროგრამაში შეტანილია თითქმის ყველა ნიუანსი, რომლითაც დოქტორანტი სწავლობს — როგორ დააკმაყოფილოს ამა თუ იმ ჟურნალის მოთხოვნები.



თემის რესპონდენტი
გიორგი ღვედაშვილი

სხვათა შორის, აქვე ითვლება უნივერსიტეტების რეიტინგები, რომელიც უნივერსიტეტებში არსებულ სასწავლო გარემოსთან ერთად, ამ უნივერსიტეტის მეცნიერების ციტირების ინდექსის მაჩვენებლებსაც ეყრდნობა. ამ მონაცემებით დგება მსოფლიოს ორასი წამყვანი უნივერსიტეტის სია, რომელში მოხვედრაც ნებისმიერი უნივერსიტეტისთვის საკმაოდ რთული ამოცანაა.

ამავე სასწავლო კურსში ვასწავლით ინტელექტუალური საკუთრების მარკეტინგს, ანუ

ამ სემესტრში მინიმუმ 80 დოქტორანტი გვყავს. ჰუმანიტარებმა კი იგი სავალდებულოდ საგნად აქციეს, რადგანაც მიიჩნიეს, რომ თანამედროვე მოთხოვნები მეცნიერების მიმართ იმ ცოდნასაც ითვალისწინებს, რასაც ეს საგანი იძლევა.

ასევე ვასწავლით, რა არის ციტირების ინდექსი. ეს გახლავთ ციტირების მაჩვენებელი კონკრეტული მეცნიერის მიერ გამოქვეყნებული სტატიიდან სხვა მეცნიერის სტატიაში, ანუ რამდენჯერ არის ამ მეცნიერის სტატია მოყვანილი და გამოყენებული სხვა სამეცნიერო ნაშრომში. რაც უფრო ხშირად არის მეცნიერის სტატია ციტირებული სხვა მეცნიერის მიერ, მით მეტია მისი ციტირების ინდექსი. თუმცა, ეს არ გახლავთ მეცნიერის პროდუქტიულობის მაჩვენებელი. შესაძლოა, მაგალითად, მეცნიერმა მხოლოდ ერთი სტატია გამოაქვეყნოს და იმდენად ღირებული იყოს იგი, რომ წლების განმავლობაში ახდენდნენ მასზე ციტირებას. შესაბამისად, ციტირების ინდექსიც მაღალი იქნება, მაგრამ მეცნიერი აღარ აქვეყნებს სტატიებს და პროდუქტიულობა ციტირების მაღალი ინდექსის მიუხედავად, დაბალი ექნება. რაც შეეხება პროდუქტიულობის მაჩვენებელს, ის განისაზღვრება ე.წ h ინდექსით. ესაა მაჩვენებელი, რომელშიც თანაბრადაა მოცემული, როგორც მეცნიერის ციტირების ინდექსი, ასევე ის, თუ რამდენად ხშირად აქვეყნებს იგი სამეცნიერო სტატიებს, ანუ რამდენად პროდუქტიულია.

— ვინ ითვლის ამ მონაცემებს და სად შეიძლება გაეცნოს მეცნიერი ამ მონაცემებს?

— ჩვენ ზემოთ ვახსენეთ ტომსონის ბაზა. იქ მუშაობს ჯგუფი, რომელიც ამას ითვლის, აანალიზებს და აქვეყნებს.

რას გულისხმობს საავტორო უფლებები და როგორ უნდა დაიცვას მეცნიერმა გამოგონება.

— რადგანაც ეს მაინც არჩევითი კურსია, ალბათ, საინტერესო იქნება, გკითხოთ: ბევრი დოქტორანტი ირჩევს მას? რამდენმა გამოთქვა მეცნიერების მენეჯმენტის შესწავლის სურვილი?

— კურსი საუნივერსიტეტოა და დოქტორანტთა ძალიან დიდი ნაწილი ირჩევს მას. აი, მაგალითად, ამ სემესტრში მინიმუმ 80 დოქტორანტი გვყავს. ჰუმანიტარებმა კი იგი სავალდებულოდ საგნად აქციეს, რადგანაც მიიჩნიეს, რომ თანამედროვე მოთხოვნები მეცნიერების მიმართ იმ ცოდნასაც ითვალისწინებს, რასაც ეს საგანი იძლევა.

— რა შეგიძლიათ თქვათ სასწავლო კურსის შედეგებზე — საბოლოოდ რა მიზანს აღწევს დოქტორანტი?

— კურსის დასრულების შემდეგ, გარდა იმისა, რომ დოქტორანტმა იცის, რას წარმოადგენს თანამედროვე მეცნიერება და რით განისაზღვრება მეცნიერის დონე, სწავლობს პროექტის, სტატიის წერას, იცის ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზის გამოყენება; შეუძლია CV-ს, მოტივაციის წერილის შედგენა და, რაც მთავარია, გამოცდის ჩაბარების შემდეგ მას უნარი შესწევს, გამოაქვეყნოს მომზადებული სტატია შესაბამის ჟურნალში და მოიპოვოს საგრანტო დაფინანსება მის მიერვე მომზადებული სამეცნიერო პროექტით. ეს კი ახალგაზრდა მეცნიერისთვის ცოტა არ არის.

პრივილეგია ქართული ენის მასწავლებელთათვის

პირველი გვერდიდან

აღსანიშნავია, რომ პროგრამის მონაწილეები სასწავლო პროცესის დაწყებამდე სპეციალურ ერთკვირიან მომზადებას გაივლიან, სადაც პედაგოგიკის ელემენტარულ უნარ-ჩვევებს და ბილინგვური გაკვეთილის წარმართვის ტექნიკას შეისწავლიან.

ირინა ქურდაძის ინფორმაციით, პროექტის ფარგლებში, დაგეგმილია: ქართული ენის სახლების დაარსება; მასწავლებელთა ტრენინგები; მულტილინგვური სწავლება; ქართულის, როგორც მეორე ენის, სასწავლო მასალების გამოცემა; საზაფხულობანაკებისა და ბილინგვური სკოლამდელი განათლების ცენტრების შექმნა; მოსწავლეთა გაცვლითი და სკოლების დამეგობრების პროგრამების ამოქმედება; პედაგოგების გაგზავნა არაქართულენოვან სკოლებში; დოქტორანტების ჩართულობა და სხვა ღონისძიებები.

„ახალი პროექტი ორიენტირებულია ეროვნული უმცირესობების ინტეგრაციაზე, რისი საუკეთესო საშუალებაც სახელმწიფო ენის შესწავლაა. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა ეს პროგრამაც. ახალი პროექტის ფარგლებში შეიქმნება ქართული ენის სახლები, სადაც ნებისმიერ მსურველს შეეძლება მოისმინოს ქართული ენის ინტენსიური გაკვეთილები. ოთხი ასეთი სახლი უკვე მოქმედებს სამცხე-ჯავახეთში და ქვემო ქართლში, მომავალში მათი რიცხვი 12-მდე გაიზრდება და სხვა რეგიონებშიც ამოქმედდება. მნიშვნელოვანია, ასევე, ბილინგვური განათლების დანერგვა, ამისთვის სამინისტროს ინიციატივით მზადდება ახალი სახელმძღვანელოები, პილოტირების შემდეგ კი საგნების სწავლება მკვეთრად გაუმჯობესება“, — განაცხადა პროგრამის ხელმძღვანელმა ანა ქებაძემ.

პროექტის „ქართული ენა მომავალი წარმატებისათვის“ პრეზენტაციას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ნოდარ სურგულაძე, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები დაესწრნენ.

როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, ახალი პროექტის ერთ-ერთი და მთავარი მონაწილე იქნება სტუდენტი, რომელსაც საშუალება მიეცემა აიმაღლოს კვალიფიკაცია და მომავალში იმ უპირატესობებით ისარგებლოს, რომელსაც მას ეს პროექტი სთავაზობს.

წარმატებულ სამეცნიერო პროექტებს თსუ თანადაფინანსებას ჰპირდება

მაია ტორაძე

მას შემდეგ, რაც საქართველოში საგრანტო კონკურსების საფუძველზე მეცნიერების დაფინანსება დაიწყო, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მეცნიერ-მკვლევართა მიერ წარდგენილი და სხვადასხვა სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული გრანტების რაოდენობით საქართველოში უპირობო ლიდერია, რაც განპირობებულია როგორც მაღალი სამეცნიერო პოტენციალით, ასევე, უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის მიერ გატარებული კონკრეტული ღონისძიებებით.

სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის მიერ გაწეულ შრომაზე მეტყველებს ის სტატისტიკური მონაცემები, რომელთა მიხედვით 2009-2010 სასწავლო წელს (2011 წლისათვის, რუსთაველის სამეცნიერო ფონდისა და ეროვნული სამეცნიერო ფონდის გაერთიანების გამო, კონკურსის დაწყება რამდენიმე ხნით შეფერხდა) ეროვნული სამეცნიერო ფონდების მიერ უნივერსიტეტის სახელით წარდგენილი 35 სამეცნიერო პროექტი დაფინანსდა, ოცმა ახალგაზრდა მკვლევარმა სამეცნიერო გრანტი მოიპოვა. მოპოვებული გრანტების რაოდენობის ზრდის დინამიკა წლების მიხედვით პროცენტულად ასე გამოიყურება: უნივერსიტეტმა 2006 წელს მოიპოვა საერთო გაცემული გრანტების 12 %, 2007 წელს – 16 %, 2008 წელს — 21 %, 2009 წელს კი — 22 %. ეს მიანიშნებს, რომ უნივერსიტეტში იზრდება მოზიდული ფინანსების და პროექტებში დასაქმებული ადამიანების რაოდენობა.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის უშუალო ძალისხმევით მინიმუმამდე შემცირდა კონკურსიდან მოხსნილი სამეცნიერო პროექტების რაოდენობა (კონკურსიდან მოხსნა ნიშნავს, რომ პროექტი განხილვასაც არ ექვემდებარება). ამ მიზეზით 2-3 წლის წინ ბევრი კარგი პროექტი, ტექნიკური მიზეზის გამო, პირველივე ეტაპზე დაიწუნეს. მესამე წელია, რაც დეპარტამენტმა ფონდებში წარსადგენი სამეცნიერო პროექტების ტექნიკური შემოწმება დაიწყო და მოხსნილი გრანტების რაოდენობამაც იკლო. მაგალითად, 3 წლის წინ უნივერსიტეტის სახელით წარდგენილი პროექტებიდან 20-ზე მეტი მოიხსნა, 2 წლის წინ — 13, 2010 წელს კი ასეთი მხოლოდ 2 პროექტი აღმოჩნდა.

როგორც ჩვენთან საუბარში დეპარტამენტის ხელმძღვანელმა გიორგი ღვედაშვილმა განაცხადა, ზემოხსენებული შედეგის მისაღებად დეპარტამენტმა ჩამოყალიბების დღიდანვე დაიწყო ზრუნვა. პროექტები, რომლებიც სამეცნიერო ფონდებში უნდა წარდგენილიყო, თავდაპირველად დეპარტამენტში გადიოდა შემოწმებას და იხვეწებოდა.

ცხადია, ეს პროცესი არ გულისხმობდა პროექტის სამეცნიერო დონის შემოწმებას. ეს იყო მხოლოდ ტექნიკური ხასიათის მონიტორინგი, რაც ითვალისწინებს პროექტის ტექნიკურად სწორად შედგენას და ბიუჯეტის ფორმირებას.

აღსანიშნავია, რომ სამეცნიერო დეპარტამენტმა მეცნიერთა დასახმარებლად სპეციალური პროგრამა — კალკულატორი შექმნა, რომელიც უზრუნველყოფდა ბიუჯეტის სწორად ფორმირებას ფონდისა და უნივერსიტეტის მოთხოვნების შესაბამისად.

უნდა ითქვას, რომ ბოლო ხანს ქართველ მეცნიერთა წარმატებები სხვადასხვა სამეცნიერო ფონდების კონკურსებშიც ხელშესახები გახდა. მაგალითად, ამ რამდენიმე თვის წინ გამოცხადდა უკრაინის სამეცნიერო ტექნოლოგიური ცენტრისა და საქართველოს რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი კონკურსი, რომელშიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა 13 პროექტი წარადგინა. პირველი ეტაპი წარმატებით გადალახა და შემდგომ ეტაპზე გავიდა 10 პროექტი მაშინ, როცა სხვა ქართული უნივერსიტეტებიდან წარდგენილი პროექტებიდან მეორე ტურში

თსუ-ის რექტორთან სანდრო კვიტაშვილთან შეთანხმებით, უნივერსიტეტიდან გასულ ყველა პროექტს აქვს თანადაფინანსება, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ რომელიმე პროექტი წარმატებით გაივლის კონკურსს, ეს თანადაფინანსება განხორციელდება.

ჯამში ერთი უნივერსიტეტიდან 5 პროექტზე მეტი არ გასულა.

გიორგი ღვედაშვილმა აღნიშნა კიდევ ერთი სიახლე სამეცნიერო სფეროში — ეს შეეხება სამეცნიერო პროექტების თანადაფინანსებას უნივერსიტეტის მხრიდან: „წელს რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა ორი ტიპის კონკურსი გამოაცხადა: ფუნდამენტური კვლევებისა და გამოყენებითი კვლევების მიმართულებით. ამ უკანასკნელი კონკურსის პირობები ითვალისწინებდა, რომ კონკურსანტს უნივერსიტეტიდან 15 %-იანი თანადაფინანსება უნდა ჰქონოდა. ამ მიმართულებით ჩვენ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადავდგით. თსუ-ის რექტორთან სანდრო კვიტაშვილთან შეთანხმებით, უნივერსიტეტიდან გასულ ყველა პროექტს აქვს თანადაფინანსება, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ რომელიმე პროექტი წარმატებით გაივლის კონკურსს, ეს თანადაფინანსება განხორციელდება. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ წარდგენილ პროექტებში ბევრია ისეთი, რომელთაც, უნივერსიტეტთან ერთად, ბიზნეს-სექტორის თანადაფინანსებაც აქვთ. ბუნებრივია, ასეთ პროექტებს გამარჯვების მეტი შანსი ექნებათ, რადგანაც კონკრეტული პროექტით ბიზნეს-სექტორის დაინტერესება თავისთავად დიდი პლუსია“, — განაცხადა გიორგი ღვედაშვილმა.

თსუ-ის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი აპირებს, უახლოეს მომავალში წარმოადგინოს თსუ-ის პერსონალის სამეცნიერო აქტივობის სტატისტიკური ანალიზი. ნაჩვენები იქნება, რა სამეცნიერო მიღწევები აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს და რა დინამიკა იგრძნობა სამეცნიერო პროექტების წარდგენისა და გრანტების მოპოვების თვალსაზრისით.

პროექტი

როგორ შევძლოთ ჩადებული ნაღმების მოძიება

უნივერსიტეტში მაღალსიხშირული და დაბალსიხშირული ელექტრომაგნიტური სენსორიული სისტემების შექმნაზე მუშაობენ. პროექტი წარდგენილია რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში და, კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში, მის ავტორებს რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდთან ერთად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიც დააფინანსებს. მაღალტექნოლოგიური მოწყობილობის კომერციალიზაცია კი უკვე მომავლის საქმეა.

მაია ტორაძე

მეცნიერება უკვე გასცდა თეორიული და ლაბორატორიული კვლევების ფარგლებს და უშუალოდ პროდუქტის შექმნაზე ორიენტირებულიც კი გახდა. ეს გზა დასავლეთმა კარგად აითვისა, საქართველოში კი სამეცნიერო იდეის პროდუქტად ქცევის პროცესი მხოლოდ ახლა იწყება.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბევრი გამოყენებითი მიმართულების პროექტი ხორციელდება და მზადდება. მათ შორისაა პროექტი „ელექტრომაგნიტური დეტექტირება და გარემოს უსაფრთხოება“, რომელიც უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ორი სამეცნიერო ჯგუფის ერთობლივი ძალისხმევით შემუშავდა. პროექტის შექმნაზე მუშაობდა, ერთი მხრივ, გამოყენებითი ელექტროდინამიკისა და რადიოტექნიკის ლაბორატორია დავით კაკულიას ხელმძღვანელობით და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნანო და მიკროელექტრონიკის კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო საწარმოო კომპლექსის ელექტრონული ტექნიკის ჯგუფი პროფესორ ნინა ხუჭუას ხელმძღვანელობით, ასევე, პროექტის თანამონაწილეა სოხუმის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტი (პროექტის მონაწილეები არიან: მიხეილ პრიშვინი, ზაურ ჭახნაკია, გივი დიდებაშვილი, ბადრი ხვიტია, ვლადიმერ კუჭუხიძე, ზურაბ ისაკაძე და გიორგი არჩუაძე). პროექტის ღირებულებაა 230000 ლარი, აქედან 30000 ლარით მას უნივერსიტეტი დააფინანსებს.

რას მოემსახურება მაღალსიხშირული რადარი და დაბალსიხშირული ელექტრომაგნიტური სენსორი? რა ტექნოლოგიებით აიგება იგი და კომერციალიზაციის რა პერსპექტივები აქვს აღნიშნულ მოწყობილობას? ამ საკითხებზე გვესაუბრება თსუ-ის გამოყენებითი ელექტროდინამიკისა და რადიოტექნიკის ლაბორატორიას ხელმძღვანელი დავით კაკულია.

თემის რესპონდენტი
დავით კაკულია

— ბატონო დავით, რას ითვალისწინებს პროექტი „ელექტრომაგნიტური დეტექტირება და გარემოს უსაფრთხოება“? რითია იგი მნიშვნელოვანი?

— აუფეთქებელი ჭურვებისა და ნაღმებისაგან ტერიტორიების გაწმენდა გარემოს ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემაა. ამიტომ მნიშვნელოვანია ამ ობიექტების დეტექტირების (აღმოჩენის) და დისკრიმინირების ტექნოლოგიების უწყვეტი განვითარება. ეს პროექტი გულისხმობს არამეტალური და მეტალური ობიექტების დეტექტირების ელექტრონული სისტემების განვითარებას, ასევე, დისკრიმინირების სისტემების კვლევას გარემოს უსაფრთხოების პრობლემების გადასაჭრელად.

ამისთვის შემუშავდება ორი მობილური სისტემა: მეტალური ობიექტების დეტექტირების და დისკრიმინირების დაბალსიხშირული სისტემა და მიკროტალღური სისტემა.

ზოგადად, დანაღმული ტერიტორიების გაწმენდა კომპლექსური და აქტუალური პრობლემაა. მსოფლიოს მრავალი სამეცნიერო ცენტრი მუშაობს ამ სფეროში სიახლის დასანერგად, იყენებენ გაწვრთნილ ცხოველებს, ქიმიურ, ელექტრომაგნიტურ, რადიაციულ ანალიზზე დამყარებულ, მათ შორის, საკმაოდ ორიგინალურ მიდგომებსაც. ბოლო დროს სპეციალური ჯიშის მცენარეებიც კი არის გამოყვანილი, რომელთა ფოთლები და ყვავილები მათი ფესვების ფეთქებად ნივთიერებასთან შეხების შედეგად ფერს იცვლის.

ჩვენ მოვძებნეთ მიმართულება, რომელშიც სიახლის შეტანა შეგვიძლია.

— საიდან დაიბადა ამ მოწყობილობის შექმნის იდეა?

— იდეა ცოტა შორიდან მოდის. ჩვენი ლაბორატორია ამერიკელ კოლეგასთან ერთად წლების განმავლობაში მუშაობს აუფეთქებელი ჭურვების დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ ამოცანებზე. ამის გარდა, ეგრეთწოდებული შებრუნებული ამოცანების ამოხსნის გარკვეული გამოცდილებაც დაგვიგროვდა. ამიტომ ეს თემა, ასე თუ ისე, ჩვენს ლაბორატორიაში მუშავდებოდა. იდეა წამოვიდა იქედან, რომ უნივერსიტეტის ნანო და მიკროელექტრონიკის კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო საწარმოო კომპლექს ელექტრონული ტექნიკის ჯგუფს აქვს მაღალსიხშირული სენსორების შემუშავების სოლიდური გამოცდილება და სენსორების სარბიელზე გამოტანის სურვილიც, ბუნებრივია, არსებობდა. ცალკე სენსორი, მხოლოდ რადიოტექნიკური ელემენტია, არც თუ ისე მიმზიდველი უცხო თვალისთვის, მაგრამ ის წამყვან როლს ასრულებს, რთულ კომპიუტერიზირებულ რადარულ სისტემაში, რომელსაც შეუძლია შეიხედოს დაფარულს მიღმა. სენსორის მიერ მიღებულ მონაცემებს დათვლა და დამუშავება სჭირდება. ჩვენს ლაბორატორიას აქვს ასეთი გათვლების და შესაბამისი გამოსახულების აგების გამოცდილება და მრავალმხრივი ხედვა მისი პრაქტიკული რეალიზაციის პროცესში შესაძლო სირთულეების გადასალახად (ამ საკითხებზე სამეცნიერო სტატიებიც არის გამოქვეყნებული). ამიტომ დაგვაინტერესა ამ თემამ და გამოვთქვით სურვილი, მონაწილეობა მიგვეღო მოწყობილობის შექმნაში.

ჩვენ თანამონაწილედ გვყავს სოხუმის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სკანირებისთვის აუცილებელი მექანიკური სისტემის განვითარება. საქმე ისაა, რომ არჩევანი გაკეთდა მატრიცულ და სკანერულ სისტემებს შორის — ან ბევრი უძრავი სენსორი, ან ერთი, მაგრამ მოძრავი. ბევრი სენსორი ერთდროულად ძნელი სამართავია და მისი პროგრამულად დამუშავებაც რთულია. ამიტომ მივიჩნიეთ, რომ მოძრავი ელემენტები ამ შემთხვევაში უფრო მისაღებია და იმ ვადებსა და ფინანსებში, რაც პროექტის ფარგლებში მოვითხოვეთ, მისი შექმნა გაცილებით რეალურია.

— როგორც ვიცი, პროექტი უკვე წარდგენილია რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში, რა დრო დასჭირდება მოწყობილობის შექმნას?

— დიახ, პროექტი საგრანტო კონკურსში იღებს მონაწილეობას და დაფინანსების შემთხვევაში შეიქმნება თანამედროვე ტექნოლოგია, რომელიც იმუშავებს ორი ტიპის ასაფეთქებელი მოწყობილობის — ჭურვებისა და ნაღმების აღმოჩენასა და იდენტიფიკაციაზე. ჭურვებთან მიმართებაში ბევრი მოწყობილობაა შექმნილი და ჩვენ შევეცდებით ამ მხრივაც რაღაც სიახლე შევიტანოთ, მაგრამ ძირითადი აქცენტი მაინც ნაღმებზე გაკეთდება, იმედი გვაქვს, რომ ამ პროექტის ფარგლებში (2 წელში) პროექტით გათვალისწინებულ მოწყობილობას შევქმნით.

— თქვენი აზრით, რა ტიპის კომერციალიზაციას დაექვემდებარება ეს მოწყობილობა, ვინ შეიძლება ამით დაინტერესდეს?

— ამ მოწყობილობის გამოყენების ბევრი სხვადასხვა სფერო არსებობს. გარდა ჭურვებისა და ნაღმებისა, მისი მეშვეობით შესაძლებელი იქნება სამაშველო და საძიებო სამუშაოები ზვავის ჩამოწოლის ადგილებში, ასევე, ბზარების დიაგნოსტიკა რკინა-ბეტონის კონსტრუქციებში და ა.შ.

ამ მოწყობილობით შეიძლება დაინტერესდეს, როგორც სამხედრო-საინჟინრო, ასევე, სამოქალაქო სტრუქტურები, ძირითადად, კერძო ფირმები, მაგრამ ეს უკვე მომავლის საქმეა. მისი სერიული წარმოება ალბათ დამოკიდებული იქნება დამკვეთზე, რომელიც თანამშრომლობით დაინტერესდება. ასეთი სახის მოწყობილობები საკმაოდ ძვირად ღირებულია. მათ სერიულ წარმოებამდე რთული ეტაპებია გასავლელი. ერთია, როცა იქმნება ერთეულოვანი პროტოტიპი და მეორეა, მზა პროდუქტი ოპტიმიზირებული თვითღირებულებით, რომელსაც რთულ გარემო პირობებში შეუძლია მუშაობა. გამოცდის ეტაპი ჯერ კიდევ წინაა.

მოსაზრება ფიზიკისადმი ახალგაზრდობის დაინტერესების ხელშეწყობაზე

XXI საუკუნის დასაწყისში, ერთ-ერთ ყველაზე მოწინავე ქვეყანაში, ინგლისში, გაისმა ლოზუნგი: ინგლისს არ ყოფნის მეცნიერები! და ამისთვის საჭიროა მეცნიერების ელემენტების შეტანა სკოლებში (დაწყებით კლასებშიც კი), რაც ხელს შეუწყობს მეცნიერებით დაინტერესებას (ან ყურადღების მიქცევას მაინც) ახალგაზრდობის მხრიდანო.

ჩემი აზრით, სულ არ არის აუცილებელი, რომ ყოველი მათგანი მეცნიერი გამოვიდეს, მაგრამ ასეთი კურსის გავლის შემდეგ, გარდა იმისა, რომ გაიზრდება მათი განათლების დიაპაზონი, შეიცვლება მათი დამოკიდებულებაც მეცნიერების მიმართ და იგი რაღაც „საძრახისი“ კატეგორიიდან (დღევანდელი საზოგადოება საკმარისად პრაგმატულია და მასში პრევალირებს მატერიალური ფასეულობები) პატივსაცემ კატეგორიაში გადავა. მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, რომელსაც ცივილიზაციაში საკუთარი როლის შეტანის პრეტენზია გააჩნია, მეცნიერი პატივისცემის ობიექტი უნდა იყოს!

სწორედ ამას შეუწყობს ხელს „მეცნიერების“ სკოლებში შეტანა.

რაც შეეხება ჩვენს ქვეყანას, საქართველოს, მასში მეცნიერება ბოლო ხანებამდე მაღალ დონეზე იყო განვითარებული როგორც მსოფლიო, ასევე ყოფილი საბჭოთა კავშირის მასშტაბით. ყველასთვის ცნობილია ქართველი მეცნიერების: ივანე ბერიტაშვილის, გიორგი მელიქიშვილის, ნიკო მუსხელიშვილის, ილია ვეკუას, ვიქტორ კუპრაძის, ევგენი ხარაძის, ალეკო თავხელიძის, თამაზ გამყრელიძის და სხვათა სახელები, რომელთა შრომები საქართველოს ფარგლებს შორს გასცდა.

მაგრამ, განათლებისა და მეცნიერების სისტემის სტაგნაციამ საუკუნის დასაწყისში მთლიანად გაანადგურა მეცნიერების მთელი რიგი დარგები. მართალია, ბოლო წლებში გამოჩნდა მცდელობა მეცნიერების და, კერძოდ, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მხარდასაჭერად (განსაკუთრებით აღსანიშნავია მხარდაჭერა პრეზიდენტის მხრიდან), მაგრამ მოსახდენი უკვე მოხდა — ქართულმა მეცნიერებამ უკან დაიწია, სულ ცოტა, 50 წლით, თუ მეტით არა!

ძალზედ სამწუხაროა, რომ მეცნიერების მხრივ ისეთ მეტ-ნაკლებად წარმატებულ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, კვლავ გვიხდება ჭეშმარიტებების მტკიცება, რომ მეცნიერების განვითარება წარმოადგენს ქვეყნის (რომელიც თავისთავს მიაკუთვნებს ცივილიზებულ ქვეყნების რიგს) სტრატეგიული განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში განათლებისა და მეცნიერების მინისტრები ქვეყნის უშიშროების საბჭოში შედიან, რადგან მიაჩნიათ, რომ ქვეყნის განათლება და მეცნიერება პირდაპირ კავშირშია მის სიძლიერესთან.

ცნობილ მეცნიერებს იდეების რეალიზაციის სრული თავისუფლება უნდა მიეცეთ. არ შეიძლება, რომ სამეცნიერო პოლიტიკას მხოლოდ პოლიტიკოსები განაგებდნენ, მაგრამ ის, რომ სახელმწიფოს მხრიდან მეცნიერების დახმარებას სჭირდება გარკვეული რეგულირება და სისტემაში მოყვანა, ვფიქრობ, ცხადია. დასმული საკითხი იმდენად აქტუალური და საკამათოა, რომ, ჩემი აზრით, დამატებით განხილვას და მსჯელობას მოითხოვს.

რა მივიღეთ რეფორმირების შედეგად? მეცნიერ-თანამშრომელთა დიდი ნაწილი დათხოვნილია სამსახურებიდან. შესაბამისად, ჩავარდნილია კვლევები მეცნიერების მრავალი მიმართულებით. უყურებს რა ასეთ სურათს ახალგაზრდობა, ცხადია, არავითარი სურვილი არ გააჩნია მეცნიერების იმ დარგებისკენ გახედვისაც კი, რომელიც ერთ დროს ძალზე პოპულარული იყო საქართველოში. მაგალითისთვის მოვიყვან ფიზიკის ფაკულტეტს, გასული საუკუნის 60-იან-80-იან წლებში, ფაკულტეტი ჯამურად ყველა სექტორზე იღებდა ≈350 სტუდენტს კონკურსის შედეგად. იყო წლები, როდესაც კონკურსი ვრცელდებოდა ოქროს მედალოსნებზეც კი (თანაფარდობით 1:2-ზე). ბოლო წლებში კი რა ხდება? მიღებულ სტუდენტთა რაოდენობა მერყეობს 10-დან 20-მდე (ბოლო წელს ეს რიცხვი 60-მდე გაიზარდა), თანაც მათი უმრავლესობა მიეკუთვნება კატეგორიას, რომლებიც ვერ მოხვდნენ მათ მიერ არჩეულ მიმართულებაზე და გადმოყვანილ იქნენ ფიზიკის სპეციალობაზე. ცხადია ამ ახალგაზრდებს გაუჭირდებათ ფიზიკური მეცნიერების დონის ამაღლება, ან აქამდე არსებული დონის შენარჩუნება.

მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ყველაფერი ეს უკვე წარსულია. დღეს დღის წესრიგში დგას საკითხი: რა უნდა ვქნათ იმისთვის, რომ აღვადგინოთ საქართველოში ფიზიკური მეცნიერების დონე თუნდაც იმ სიმაღლემდე, რომელიც მეცნიერების რეორგანიზაციამდე იყო იმ ფონზე, როდესაც ახალგაზრდობა აბსოლუტურად ინდიფერენტული გახდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართ (გარკვეული გამოცოცხლება შეინიშნება მათემატიკური მეცნიერებებისადმი, მაგრამ, ვფიქრობ, იგი, ძირითადად, კომპიუტერული მეცნიერებებით დაინტერესებასთან არის დაკავშირებული).

ცხადია, რომ მეცნიერება პირდაპირ კავშირშია განათლებასთან და ამიტომ პრობლემა კომპლექსურია, რაც ნიშნავს იმას, რომ ყველაფერი უნდა დავიწყოთ სკოლებიდან. ისევე როგორც ინგლისში, მეცნიერება მცირე-მცირე დოზებით ჩვენთანაც უნდა შეიდეს სასკოლო განათლებაში. საჭიროა სამეცნიერო ორგანიზაციების მჭიდრო კონტაქტები სკოლებთან, რაშიც ფასდაუდებელი სამსახური შეუძლიათ გასწიონ თუნდაც კონკურსების შედეგად დისკვალიფიცირებულმა მეცნიერებმა, რომელთა პოტენციალის ასე უმიზნოდ უგულვებელყოფა გაუმართლებელია. საჭიროა მათი ჩართვა სასწავლო პროგრამების შედგენასა და დახვეწაში, ასევე მეცნიერებით დაინტერესებულ თუნდაც მცირე ჯგუფებთან მუშაობაში.

შეიძლება აზრი ჰქონდეს დარგობრივი სკოლების შექმნას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან მათემატიკაში, ფიზიკაში, ბიოლოგიასა და ქიმიაში. ეს სკოლები ისე მოამზადებენ ახალგაზრდებს, რომ მათ არ გაუჭირდებათ მათ მიერვე შერჩეულ ფაკულტეტზე საუნივერსიტეტო პროგრამის დაძლევა.

სამწუხაროდ, დღეს სიტუაცია მთლად არ შეესაბამება ზემოთ მოხსენიებულს და მრავალ ლექტორს უჭირს საუნივერსიტეტო კურსების დაწყება, რადგან შემოსული კონტინგენტის დაბალი დონის გამო ეს შეიძლება გადაიზარდოს უაზრობაში. ამავე დროს, მეცნიერების ამა თუ იმ დარგით ახალგაზრდების დაინტერესებისთვის, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს პრაქტიკულ მეცადინეობებს, რათა ბავშვმა უკეთესად გაიაზროს განვლილი თეორიული მასალა. დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მეცნიერებებში თანამედროვე მიღწევების და აღმოჩენების დოზირებულად მიწოდებას, რათა მან თავი იგრძნოს თავისი ეპოქის შვილად, რომლის თანდასწრებითაც და, შესაძლოა, უშუალო მონაწილეობით შეიძლება განხორციელდეს უდიდესი მიღწევები კაცობრიობის ისტორიაში.

რამდენიმე სიტყვა სასწავლო პროგრამების შესახებ, რომელიც ასევე მნიშვნელოვანი საკითხია იმასთან მიმართებაში, თუ რას ვითხოვთ საშუალო სკოლებისგან და რა დონის ახალგაზრდების აღზრდას ვისახავთ მიზნად. ვფიქრობ, ეს პროგრამები შექმნილი უნდა იყოს სკოლის მასწავლებლების, უნივერსიტეტის პედაგოგების და მეცნიერთა ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე, რადგან მასწავლებლებმა კარგად იციან მოსწავლეთა დღევანდელი დონე სკოლებში, ხოლო უნივერსიტეტის პედაგოგებმა და მეცნიერებმა კი – რა მოთხოვნაა უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის მიმართ. დღესდღეობით მასწავლებლებისგან (იციან რა, თუ რა მდგომარეობაა სკოლებში) ხშირად ისმის აზრი, რომ მოსწავლეთა მიმართ მოთხოვნები დაწეულ უნდა იქნას, რადგან ვერ დაძლევენ მასალას და ეს გამოიწვევს მათში გარკვეულ ნიჰილიზმს.

მე პირადად კატეგორიული წინააღმდეგი ვარ მოთხოვნების შესუსტებისა, რადგან მათ მიმართ ასეთი მიდგომა სიტუაციის გაუარესებასთან მიგვიყვანს. თუ საერთაშორისო ნორმები ჩვენს ინტერესებში არ შედის, მაშინ შეგვიძლია დავნერგოთ ნებისმიერი, დაბალი დონის სწავლება, ვიყოთ მხართეძოზე წამოწოლილ მდგომარეობაში, ჩავთვალოთ ჩვენი თავი უგანათლებულეს სპეციალისტებად, ვუწოდოთ ყველამ ერთმანეთს მხოლოდ პროფესორები (როგორც ახლა ხდება ბევრ უმაღლეს სასწავლებელში) და ასეთ მდგომარეობაში მყოფნი ალბათ ძნელად მოვძებნით სხვა, „ჩვენზე ბედნიერ ერს“.

ძალზე ხშირად დღესაც გაიგებთ პესიმისტურ გამონათქვამებს როგორც რეფორმისტების, ასევე მეცნიერების მხრიდან, რომ საქართველო ვერ აუვა მეცნიერების ადრეულ მასშტაბებს. კი ბატონო, შეიძლება დავეთანხმოთ მოსაზრებას, მაგრამ ეს ნიშნავს მხოლოდ ერთს – როგორც სამეცნიერო საზოგადოების, ასევე, სახელმწიფოს მხრიდან უნდა განისაზღვროს პრიორიტეტები. არ შეიძლება ყველა საკანდიდატო დისერტაციის დამცველი (განსაკუთრებით ქვეყნის გარეთ) ქვეყანაში ბრუნდებოდეს თავის თემატიკით, დამოუკიდებლად იმისა, მოცემული მიმართულების კვლევები ქვეყნისთვის პრიორიტეტული არის თუ არა. ყველაფერი ზემოთ თქმული არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ შეიზღუდოს სამეცნიერო კვლევები. პირიქით, ცნობილ მეცნიერებს იდეების რეალიზაციის სრული თავისუფლება უნდა მიეცეთ. არ შეიძლება, რომ სამეცნიერო პოლიტიკას მხოლოდ პოლიტიკოსები განაგებდნენ, მაგრამ ის, რომ სახელმწიფოს მხრიდან მეცნიერების დახმარებას სჭირდება გარკვეული რეგულირება და სისტემაში მოყვანა, ვფიქრობ, ცხადია. დასმული საკითხი იმდენად აქტუალური და საკამათოა, რომ, ჩემი აზრით, დამატებით განხილვას და მსჯელობას მოითხოვს.

ჯემალ ხუბუა, *პროფესორი, თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, ქართული ჯგუფის ხელმძღვანელი CERN-ში*

მაგალითები

ეკონომისტობიდან ფიზიკოსობამდე ერთი ნაბიჯია მხოლოდ?!

თამარ დადიანი

სკოლებში საბუნებისმეტყველო საგნების გაძლიერებულმა სწავლებამ კონკრეტული შედეგები გამოიღო. გამოცდების ეროვნული ცენტრის მონაცემებით, 2011 წელს აბიტურიენტები სოციალურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარგებს ანიჭებენ უპირატესობას. ასეთი აბიტურიენტების რაოდენობა, შარშანდელთან შედარებით, 40%-ით გაიზარდა. შესაბამისად, ამოქმედდა დაფინანსების ახალი წესი. თუ აქამდე სახელმწიფო ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტებს 85 %-ით აფინანსებდა, წელს გრანტების 80% საინჟინრო და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტების მიმართულებით არის გამოყოფილი.

ბოლო დროს თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე გახშირდა სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტების გადმოსვლის ფაქტებიც.

თსუ-ის ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტიდან I კურსის მაგისტრანტი შოთა ლეკიშვილი და II კურსის სტუდენტი უჩა ჩუტკერაშვილი ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის მიმართულებაზე ახლახან გადმოვიდნენ.

„ბაკალავრიატის დამთავრების შემდეგ, ჩემი სამუშაოს პროფილის მიხედვით, სწავლა ეკონომიკურ ფაკულტეტზე გავაგრძელე, სადაც მხოლოდ ერთი სემესტრი ვისწავლე, რადგან მივხვდი, რომ ის ჩემი ინტერესების სფეროს ნაკლებად აკმაყოფილებდა. ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტი არ იყო ის „გადმოსახედი“, რასაც ფიზიკის მიმართულება მომცემდა. საერთოდ ვფიქრობ, რომ ადამიანი რაც უფრო გვიან წავა მეცნიერებიდან ბიზნესში, მით უფრო მეტი ალბათობაა იმისა, რომ წარმატებული ბიზნესმენი გახდეს. ანუ აკადემიური განათლება მას შესაძლებლობას აძლევს, რომ წარმატებული გახდეს ნებისმიერ საქმიანობაში — იქნება ეს ბიზნესი, პოლიტიკა თუ ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები. ამიტომ მიმაჩნია, რომ ჩემი არჩევანი სწორია“, — გვითხრა შოთა ლეკიშვილმა.

მეორეკურსელი უჩა ჩუტკერაშვილიც კმაყოფილია თავისი გადაწყვეტილებით და მიაჩნია, რომ პროფესიის არჩევანი გააზრებულად უნდა გააკეთო.

„მისაღები გამოცდები ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტზე ჩავაბარე, სადაც 100%-იანი სახელმწიფო გრანტი მოვიპოვე, მაგრამ რამდენიმე თვეში მივხვდი, რომ ჩემი ინტერესების სფეროს მხოლოდ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე სწავლა დააკმაყოფილებდა. საჯარო სკოლა გორში დავამთავრე, ფიზიკით მაღალ კლასში დავინტერესდი, მაგრამ მშობლების მოწოდებით ისეთ ფაკულტეტზე ჩავაბარე, რომელიც უფრო პოპულარული იყო. შემდეგ ჩემი მსოფლმხედველობა ისე ჩამოყალიბდა, რომ გამიჩნდა მეცნიერული მუშაობის მოთხოვნილება. ვინაიდან ფიზიკა ბავშვობიდან მხიბლავდა, ამიტომ გადავწყვიტე ამ საგნის მეცნიერულ დონეზე შესწავლა. სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციაზე წარვადგინე მოხსენება „მატერიის ლოკალიზაცია მემბრანებზე მდგარი გრავიტაციული ტალღის მეშვეობით“, რომელმაც მაღალი შეფასება დაიმსახურა. ამ წარმატებამ კიდევ უფრო მეტად დამარწმუნა ჩემი არჩევანის სისწორეში,” — აღნიშნა ჩვენთან საუბარში უჩა ჩუტკერაშვილმა.

ინტეგრაცია გაძლიერების პირობით

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ხელმძღვანელობისთვის თსუ-სთან ინტეგრაცია მხოლოდ შემდგომი გაძლიერების პირობით არის მისაღები. საქართველოში ლიტერატურას ოდითგანვე ერგო ინტელექტუალური ლიდერის როლი და ამ როლს იგი ყოველთვის ღირსეულად ასრულებდა. ქართული ლიტერატურა — პროზა, პოეზია, ფოლკლორული ძეგლები — ქართული კულტურის დედაბოძია. მისი მეცნიერული კვლევისა და შესწავლის გაგრძელება ქვეყნის უპირველეს პრიორიტეტად უნდა იქნას მიჩნეული. ლიტერატურა ხომ კულტურული დიალოგის ყველაზე სანდო პარტნიორია... — ასე მიაჩნია შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორს ირმა რატიანს, რომელიც მისი ინსტიტუტის მრავალმხრივ საქმიანობასა და გეგმებზე გვესაუბრება.

თამარ დადიანი

თემის რესპონდენტი
ირმა რატიანი

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს 1942 წელს აკადემიკოს კორნელი კეკელიძის ინიციატივით დაარსებული შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტიც შემოუერთდა. ამ ინტეგრაციის ფონზე რა დადებითი ტენდენციები გამოიკვეთა და რა სარგებლობის მოტანა შეუძლია ამ გაერთიანებას ორივე მხარისთვის?

— სულ რამდენიმე თვეა, რაც სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ინტეგრაცია განხორციელდა და, ამდენად, შედეგებზე საუბარი ჯერ ნაადრევია. ცხადია, რომ ინტეგრაციის მიზანი კვლევისა და სწავლების ერთმანეთთან დაახლოებაა, თუმცა, ასეთი სერიოზული მიზნის განხორციელებას სათანადო სტრატეგიული მომზადება და სწორი დანერგვა სჭირდება. მოგეხსენებათ, გაერთიანება ადვილი პროცესი არ არის და მისი შედეგები ბევრადაა დამოკიდებული პრიორიტეტებისა და ფინანსების სწორ და მიზანმიმართულ განაწილებაზე. შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი დიდი ტრადიციების მქონე, ძლიერი და მოწესრიგებული ორგანიზაციაა, რომელსაც კარგად აქვს გააზრებული თავისი სახელმწიფო მისია-ცა და სამომავლო გეგმების განხორციელების მნიშვნელობაც. ვფიქრობ, ინტერესი, რომელიც თსუ-ს ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მიმართ შეიძლება ჰქონდეს, საკმაოდ გამოკვეთილია ინსტიტუტის მაღალი დონის სამეცნიერო პოტენციალის გამო. ინსტიტუტში მოღვაწეობენ წამყვანი ლიტერატურათმცოდნეები, აკადემიის წევრ-კორესპონდენტები, სახელმწიფო, შოთა რუსთაველის და სხვა მრავალი ლიტერატურული პრემიის ლაურეატები, აგრეთვე, გამორჩეულად ნიჭიერი ახალგაზრდები, რომლებიც უფროს თაობასთან ერთად ქმნიან დღეს ამინდს ქართულ ფილოლოგიურ სივრცეში. უნივერსიტეტისთვის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი ნამდვილად მნიშვნელოვანი შენაძენია, რომელსაც პატივისცემა და გაფრთხილება სჭირდება. თავად ინსტიტუტისათვის კი ეს გაერთიანება სასარგებლო შეიძლება აღმოჩნდეს იმ მხრივ, რომ მეცნიერ-თანამშრომლებს სტუდენტთან აკადემიური ურთიერთობისა და კომუნიკაციის საშუალება მიეცემათ.

ინსტიტუტში ამჟამად ფუნქციონირებს სამი სამეცნიერო განყოფილება და ორი კვლევითი ცენტრი. სამეცნიერო სტრუქტურებში დაკავებულია 70 მეცნიერ-თანამშრომელი.

— ლიტერატურის ინსტიტუტის სამოცდათწლიანი გამოცდილება, ალბათ, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტების სასწავლო პროცესზეც მოახდენს დადებით გავლენას, რაც შემდგომ სწავლის ხარისხზე აისახება...

— რა თქმა უნდა, აუცილებლად აისახება. უკვე შეიქმნა ახალი, გაფართოებული სამაგისტრო პროგრამა, რომელიც წარვადგინეთ კიდეც სააკრედიტაციოდ. სამაგისტრო პროგრამას, რომელსაც უნივერსიტეტში მე ვხელმძღვანელობდი, ეწოდებოდა: „ლიტერატურისთეორია და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა“, მაგრამ, ინტეგრაციის შემდეგ, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ინიციატივით, პროგრამა გაფართოვდა და დაერქვა: „ლიტერატურათმცოდნეობა და სარედაქციო-საგამომცემლო საქმე“. ინსტიტუტის ტექსტოლოგიური სკოლა უდავოდ უძლიერესია საქართველოში და ჩვენ გვსურს, კადრები ამ მიმართულებითაც მოვამზადოთ.

— რას უნდა ემსახურებოდეს ლიტერატურის ინსტიტუტი და რა კეთდება ამ მიმართულებით?

— ლიტერატურის ინსტიტუტს, დღიდან მისი დაარსებისა, ძალზე სერიოზული ფუნქციები აკისრია. კვლევები წარმოებს ყველა სტრატეგიული ფილოლოგიური მიმართულებით: ქართული ლიტერატურის ისტორია, ლიტერატურის თეორია და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა, ფოლკლორისტიკა, რუსთველოლოგია, გალაკტიონოლოგია. ინსტიტუტში, ტრადიციულად, თავმოყრილი იყო ქვეყნის ელიტარული ფილოლოგიური პოტენციალი და დღესაც ასეა. კორნელი კეკელიძე, გიორგი ლეონიძე, გრიგოლ კიკნაძე, ალექსანდრე ბარამიძე, აკაკი გაწერელია, გურამ ასათიანი, სარგის ცაიშვილი და სხვა გამორჩეული მეცნიერები დღეს წარმატებით ჩაანაცვლეს თანამედროვე ავტორიტეტებმა, რომლებიც ღირსეულად აგრძელებენ სამოცდაათწლიან ტრადიციას და, ამავე დროს, ინტენსიურად თანამშრომლობენ ინსტიტუტის ახალგაზრდა თაობასთან. ლიტერატურის ინსტიტუტის უმთავრეს მისიას ქართველოლოგიის უმნიშვნელოვანესი დარგის დაცვა, შენარჩუნება, განვითარება და, რაც არსებითია, კვლევების ინტერნაციონალიზაცია წარმოადგენს. ამისათვის ინსტიტუტში ძალიან ბევრი რამ კეთდება, განსაკუთრებით ბოლო 5 წლის მანძილზე: გამოიცემა ყოველწლიური სამეცნიერო ჟურნალები, რომელთაგან ორი — „ლიტერატურული ძიებანი“ (გამოიცემა უწყვეტად სამოცდაათი წლის მანძილზე) და „სჯანი“ (გამოიცემა 2000 წლიდან) — რეფერირებული, საერთაშორისო რეიტინგის მქონე პრესტიჟული ლიტერატურათმცოდნეობითი ჟურნალებია. მათ გარდა, ინსტიტუტში იბეჭდება კრებულები — „კრიტიკა“, „ქართული ფოლკლორი“, „რუსთველოლოგია“, „გალაკტიონოლოგია“. ინსტიტუტი წელიწადში ორჯერ გამოსცემს ინგლისურენოვან საერთაშორისო ელექტრონულ ჟურნალს — „LitInfo“ (www.litinfo.ge). გამოიცემა გზამკვლევებისა და საიუბილეო კრებულების ფილოლოგიური სერიები. ამ გრიფებით უკვე დაიბეჭდა: „ილია ჭავჭავაძე 170“, „სულხან-საბა ორბელიანი 300“, „მიხეილ ჯავახიშვილი და ნიკო ლორთქიფანიძე 130“, „წმინდა ნინო“. გამოიცა საუნივერსიტეტო სწავლებისათვის აუცილებელი სახელმძღვანელოები: „ლიტერატურის თეორია“, „ჟანრის თეორია“, „მეტაფორა“, „ლირიკის ჟანრები“, „ლიტერატურის თეორიის ქრესტომათია“ ხუთ ტომად (დაბეჭდილია ორი ტომი). ინსტიტუტის ერთ-ერთ ტრადიციულ სახელმწიფოებრივ მისიას წარმოადგენს აკადემიური გამოცემების მომზადება. ბოლო 5 წლის განმავლობაში ინსტიტუტში გამოიცა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებული (ოცტომეულის) VII-XVIII ტომები. წლის ბოლოსათვის გამოცემა დასრულდება. გასულ წელს შევუდექით აკაკი წერეთლის თხზულებათა ოცტომეულის გამოცემას — უკვე დაისტამბა პირველი ტომი, ხოლო ივლისში დაიბეჭდება მეორე. მომზადდა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას რჩეული ანოტირებული ბიბლიოგრაფიები ქართულ და ინგლისურ ენებზე, რაც დიდი დახმარებაა უცხოელი ქართველოლოგებისათვის. საერთოდაც, ინსტიტუტი წარმატებით ართმევს თავს ქართული ფილოლოგიური კვლევების ინტერნაციონალიზაციასა და მის ჩართვას საერთაშორისო ფილოლოგიურ დიალოგში.

— რა მნიშვნელობას ანიჭებთ ინსტიტუტის კვლევების პოპულარიზაციას საზღვარგარეთ?

— დღეს ამას განსაკუთრებულად დიდი დატვირთვა ენიჭება. ჩვენ მოვახერხეთ კვლევების ინტერნაციონალიზაცია, რაც ჩემი უპირველესი მიზანი იყო მას შემდეგ, რაც 2006 წელს ინსტიტუტის ხელმძღვანელი გავხდი.

ინსტიტუტი ყოველწლიურად მასპინძლობს საერთაშორისო სიმპოზიუმს „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები“, რომლებშიც სულ უფრო მეტი და მეტი უცხოელი კოლეგა მონაწილეობს. წელს, 28-30 სექტემბერს, იგი უკვე მეხუთედ ჩატარდება და, განაცხადებიდან გამომდინარე, 50-მდე უცხოელ სტუმარს უმასპინძლებს. ეს არის არნახული რაოდენობა უცხოელი ექსპერტებისა, რომლებიც ინტერესდებიან არა მარტო ზოგადფილოლოგიური პრობლემებით, არამედ ქართული კულტურითა და ლიტერატურით. სიმპოზიუმებზე წარმოდგენილი და განხილული ნაშრომები და მოხსენებები, წესისამებრ, იბეჭდება და ელექტრონული სახითაც ვრცელდება. ბოლო პერიოდის მოვლენებმა გვაჩვენა, რომ ინსტიტუტის პროდუქციისადმი ინტერესი საკმაოდ მაღალია: ინსტიტუტის მიერ გამოცემული საერთაშორისო კონფერენციის მასალები „ტოტალიტარიზმი და ლიტერატურული დისკურსი“ 2012 წელს ინგლისურ ენაზე დაიბეჭდება კემბრიჯის გამომცემლობაში, რაც ქართული ფილოლოგიური კვლევების უდაოდ დიდი საერთაშორისო წარმატებაა.

— რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს სპეციალური ლიტერატურის თარგმნას? თქვენი აზრით, რომელი სასწავლო სახელმძღვანელოების თარგმნაა აუცილებელი?

— ჩემი დამოკიდებულება სამეცნიერო თარგმანისადმი ძალზე სერიოზულია. მიმაჩნია, რომ ის უფრო მეტ ყურადღებას იმსახურებს, ვიდრე დღეს ექცევა. არ არის საჭირო ველოსიპედის აღმოჩენა მაშინ, როდესაც ის უკვე აღმოჩენილია: ძალიან ბევრი რამ შესანიშნავად არის დაწერილი უცხოელი კოლეგების მიერ და მათი თარგმნა, ერთი მხრივ, დაზოგავს ქართველი მეცნიერების ძალებს, მერე მხრივ კი — შესანიშნავ ინტელექტუალურ საფუძველს შეუქმნის სტუდენტებს. ვისურვებდი, რომ ითარგმნოს ელიოტის, ბახტინის, გადამერის, ინგარდენის, ბარტის, ფრაის, ლიხაჩოვის, დერიდას, ტოდოროვის და სხვათა და სხვათა საეტაპო წიგნები.

ლიტერატურის ინსტიტუტში კარგად აქვთ გააზრებული სამეცნიერო თარგმანის მნიშვნელობა: უკვე ოთხი წელია ინსტიტუტში წარმატებით ფუნქციონირებს სამეცნიერო თარგმანის ჯგუფი, რომელიც ამჟამად მუშაობს ლიტერატურის თეორიის ქრესტომათიის (ხუთტომეული) და ლიტერატურული კომპარატივისტიკის ანთოლოგიის პროექტებზე. როგორც მოგახსენეთ, უკვე გამოიცა ქრესტომათიის ორი ტომი, სადაც მეორე ტომი უპირატესად ინსტიტუტში განხორციელებული თარგმანებითაა დაკომპლექტებული. გამოსაცემად მზადდება III ტომიც. ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ ითარგმნა და გამოიცა ანდრიან მარინოს ცნობილი წიგნი: „კომპარატივისტიკა და ლიტერატურის თეორია“ — ურთულესი წიგნი, რომლისთვისაც ლიტერატურის ინსტიტუტმა პრემია დაიმსახურა. სწორედ ამ პრემირებული წიგნით იგეგმება „შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობისა და კულტურის ტიპოლოგიის“ კურსის სწავლება თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადოქტორო საფეხურზე. დაბეჯითებით მიმაჩნია, რომ ლიტერატურათმცოდნეობითი სამეცნიერო წიგნების თარგმანისათვის საკმარისი არ არის კვალიფიციური მთარგმნელი, ის უნდა ერკვეოდეს კიდევაც პრობლემაში.

— როგორი ინტენსივობით მიმდინარეობს დღეს სასწავლო სახელმძღვანელოების თარგმნა და თუ მიეწოდება ის სტუდენტებს?

— არ შეიძლება სტუდენტს ვასწავლოთ საბჭოთა პერიოდში გამოცემული სახელმძღვანელოებით. თუ უნივერსიტეტს აქვს იმის საშუალება, რომ ასეთი ლიტერატურის თარგმნა დააფინანსოს, ეს ნამდვილად საშური საქმეა. ჩვენი მხრიდან კი საგულისხმოა არაჩვეულებრივი წიგნების გამოცემა. მოვამზადეთ და დავბეჭდეთ სახელმძღვანელო „ლიტერატურის თეორია“, რომელიც ხელიდან ხელში გადადის... ეს არის სახელმძღვანელო შესანიშნავი კომენტარებით და ლექსიკონით, რომელსაც დართული აქვს ქრესტომათიის თეორიის I და II ტომი, გამოსაცემად მზადდება III ტომიც. ჩვენთან მომზადდა და გამოიცა, ასევე, ლიტერატურათმცოდნეობითი რვეულები: ჟანრის თეორია, მეტაფორა, ლექსთმცოდნეობა, თხრობა და ა.შ. შემოდგომაზე გამოვა ლიტერატურათმცოდნეობის შესავალი.

— ცნობილია, რომ ლიტერატურათმცოდნეობამ მტკივნეულად განიცადა საბჭოთა იდეოლოგიის ზეგავლენა. ამ იდეოლოგიური მარწუხებიდან გამოსვლამ ლიტერატორებს შემოქმედებითი თავისუფლება მისცა. საინტერესოა, როგორ აისახა ეს თანამედროვე ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში? შეიმჩნევა თუ არა ახალი ტენდენციები, ახალი ხედვები?

— საბჭოთა ტოტალიტარიზმის პირობებში ქართული ლიტერატურათმცოდნეობა მეცნიერების ერთ-ერთი ყველაზე იდეოლოგიზებული სფერო იყო, რადგანაც საქართველოში ლიტერატურა, ტრადიციულად, „ინტელექტუალური ლიდერის“ როლს ასრულებდა და მისი შეზღუდვა კლიშეებით ძალზე „მომგებიანი“ აღმოჩნდა სახელმწიფო იდეოლოგიური მანქანისათვის. ლიტერატურის იდეოლოგიზების მცდელობას ლიტერატურული კრიტიკის იდეოლოგიზებაც მოჰყვა. თომას ელიოტი წერდა: თუ არსებობს ლიტერატურა, უნდა არსებობდეს კრიტიკა და თუ არსებობს კრიტიკა, მაშასადამე, უკვე არსებობს ლიტერატურაცო. უერთმანეთოდ ისინი არ ვითარდებიან. ქართული ლიტერატურათმცოდნეობა, საბჭოური ზეგავლენის გამო, თითქმის 80 წლის მანძილზე მეცნიერების ჩაკეტილი სფერო იყო, თუ არ ჩავთვლით ცალკეულ მკვლევართა სითამამესა და პროფესიულ თავდადებას. ასე გრძელდებოდა რეჟიმის დაცემამდე და მხოლოდ 90-იანი წლების შუახანებიდან გახდა შესაძლებელი რადიკალური ცვლილებების განხორციელება. დღეს ქართული ლიტერატურათმცოდნეობითი სკოლის ინტერნაციონალიზაციისკენ გადადგმულია სერიოზული ნაბიჯები, დაძლეული და ადაპტირებულია ევროპული და მსოფლიო გამოცდილების ის ეტაპები, რომლებიც იდეოლოგიური შეზღუდვების გამო გამოვტოვეთ. ბოლო ათწლეულის განმავლობაში ქართველი ლიტერატურათმცოდნეები წარმატებით ერთვებიან საერთაშორისო ფილოლოგიურ პროცესებში — კულტურული დიალოგი საქართველოსთვის არის უმნიშვნელოვანესი ბერკეტი იმისა, რომ იგი მსოფლიო კულტურული პროცესების თანამონაწილე გახდეს. ინტერესი ქართული ლიტერატურისა და კრიტიკისადმი საგრძნობლად მატულობს.

— ხშირად საზოგადოებაში მუსირებს აზრი, რომ ქართული ლიტერატურა დღეს ჯანსაღი კრიტიკის დეფიციტს განიცდის. რას აკეთებს ლიტერატურის ინსტიტუტი ამ მიმართულებით?

— ილიას ამის შესახებ აქვს არაჩვეულებრივი წერილი — „რა მიზეზია, რომ კრიტიკა არა გვაქვს?“, რომლის ციტირებითაც თავს არ შეგაწყენთ. უბრალოდ ვიტყვი, რომ ამ წერილში დასმული პრობლემების ნაწილი, სამწუხაროდ, გადაუჭრელი აღმოჩნდა ქართული კრიტიკისათვის. ინსტიტუტი ცდილობს, დაძლიოს ეს დილემა და მიმდინარე ლიტერატურული პროცესი მოაქციოს ჯანსაღი ანალიზის ჭრილში. ამ მიზნით ინსტიტუტში გამოიცემა თავისი სიმწვავითა და მიზანმიმართულობით ცნობილი ალმანახი „კრიტიკა“, რომელიც სამომავლოდ კიდევ უფრო დახვეწილ ინიციატივებს შესთავაზებს მკითხველს. საერთოდაც, ლიტერატურული ტექსტის შეფასების სხვადასხვა მოდელები არსებობს. თუ თეორეტიკოს ლიტერატურათმცოდნეებს დაბეჯითებით მიაჩნიათ (მე მათ რიგს განვეკუთვნები), რომ ლიტერატურული პროცესის შეფასებისთვის გარკვეული დროის გასვლაა საჭირო, ლიტერატურის კრიტიკოსები მყისიერად რეაგირებენ ყოველ ახალ წიგნზე. შესაბამისად, მათ მეტი სიმწვავე და რადიკალიზმი მოეთხოვებათ, მით უფრო, რომ ბევრი ტექსტი, რომელიც დღეს იბეჭდება, ამ რადიკალიზმს ნამდვილად იმსახურებს.

— როგორ აფასებთ ჩვენს ქვეყანაში ლიტერატურულ კონკურსებს? როგორ ფიქრობთ, რამდენად ფასეულია ქართული ლიტერატურის განვითარების თვალსაზრისით ასეთ კონკურსებში გამარჯვებულ ავტორთა შემოქმედება? შეიძლება თუ არა ამ კონკურსების მიხედვით შევაფასოთ მიმდინარე ლიტერატურული პროცესები?

— ამ თემას მე ძალიან ფრთხილად ვეკიდები. ლიტერატურულ კონკურსში წარმოდგენილ მასალას კარგი წაკითხვა სჭირდება. სულ ცოტა ხნის წინ დავინტერესდი, თუ როგორ ტარდება ასეთი ტიპის კონკურსები რიგ ევროპულ ქვეყნებში და აი, ასეთი რამ აღმოვაჩინე: კომისიის არც ერთმა წევრმა არ იცის მის გარდა კიდევ ვინ არის ამ კომისიაში. კონკურსის განმავლობაში არ ტარდება არავითარი შეხვედრები და შეკრებები, ანუ დაცულია სრული ანონიმურობა! თუ ანონიმურობა დაირღვევა, ავტორს უფლება აქვს, უჩივლოს კონკურსის ორგანიზატორებს. კომისიის წევრი ინდივიდუალურად იღებს გადაწყვეტილებას. სხვათა შორის, იგივე სისტემა მოქმედებს მეცნიერებათა აკადემიებშიც (სადაც კი ეს სისტემა შენარჩუნებულია), როდესაც ხდება ახალი წევრების შერჩევა. არც ერთმა ექსპერტებმა არ იცის, ვინ არიან სხვა ექსპერტები. კატეგორიულად მიმაჩნია, რომ კომისიის თავყრილობები კონკურსების დროს და წიგნების ერთობლივად განხილვა-შეფასება საბჭოური გადმონაშთია და საკითხის გადაჭრის საკმაოდ რისკიანი გზაა. ამასთან, აუცილებელია, კომისიის წევრებს ხელთ ჰქონდეთ შეფასების წინასწარ დადგენილი მკაცრი კრიტერიუმები. ლიტერატურული ნაწარმოების შეფასების კრიტერიუმების ცხადი და ნათელი ჩამონათვალი და მაქსიმალურად დაცული ანონიმურობა კარგი თავდაცვის საშუალებაა თავად კომისიისთვის და ნაკლებია უკმაყოფილობის ალბათობა ავტორის მხრიდანაც.

— თუ ატარებს ლიტერატურის ინსტიტუტი რაიმე სახის კონკურსებს?

— გასულ წელს ინსტიტუტში დაწესდა გრიგოლ კიკნაძის სახელობის პრემია. როგორც მოგეხსენებათ, გრიგოლ კიკნაძე XX საუკუნის ერთ-ერთი უბრწყინვალესი ლიტერატურათმცოდნე გახლდათ, ფართო მასშტაბის მოაზროვნე და თეორეტიკოსი. შარშან პრემია გაიცა მხოლოდ სამეცნიერო სტატიის ნომინაციაში, მაგრამ იმედი გვაქვს, სამომავლოდ ამ პრემიას დაიმსახურებს მონოგრაფიები და სამეცნიერო თარგმანები.

აქცენტი

— რას გააკეთებთ თვითდამკვიდრებისთვის თსუ-სთან ინტეგრაციის შემდეგ?

— ლიტერატურის ინსტიტუტი დღეს საკმაოდ ძლიერი სტრუქტურაა საიმისოდ, რომ თვითდამკვიდრებისათვის იბრძოდეს. ეს არის ძალიან კარგად გამართული ორგანიზაცია, რომელიც პროფესიული კეთილსინდისიერებით, ხარისხიანად ემსახურება საქვეყნო საქმეს — ქართული ლიტერატურისა და ლიტერატურათმცოდნეობის პრობლემების კვლევასა თუ ამ კვლევების ინტერნაციონალიზაციას. თსუ-სთან ლიტერატურის ინსტიტუტის ინტეგრაციის ერთადერთ სწორ პერსპექტივად მისი შემდგომი გაძლიერება და კვლევების მაქსიმალური ხელშეწყობა მიმაჩნია.

კვირის ქრონიკა

▪ ახალგაზრდა ამომრჩევლების – სტუდენტთა საარჩევნო კულტურის განვითარება

13 ივნისს სასტუმრო „თბილისი მარიოტ-ში“ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, საარ-ჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმე-ბისა და სწავლების ცენტრსა და საქართვე-ლოში აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათ-ლებლო დაწესებულებებს შორის შეხვედრა შედგა. შეხვედრაზე 2010 წელს გაფორმე-ბული მემორანდუმის ფარგლებში, საქართ-ველოს უმაღლესი საგანმანათლებლო და-წესებულებების იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, საარჩევნო სამართალ-ში განხორციელებული სასწავლო კურსი შე-ჯამდა. სწავლებაში 14 უმაღლესი სასწავლო დაწესებულების იურიდიული ფაკულტე-ტების სტუდენტებმა ორ ეტაპად მიიღეს მონაწილეობა. ამასთან, ცესკოში შეიქმნა ე.წ. „იურიდიული კლინიკა“, სადაც პირველი ნაკადის სტუდენტებმა პრაქტიკული სწავ-ლების კურსი გაიარეს. მიღებული ცოდნის საფუძველზე ტრენინგის ბოლოს ახალგაზრ-დებმა იმიტირებული არჩევნებიც მოაწყვეს. კურსის დასასრულს სტუდენტებს შესაბამი-სი სერტიფიკატებიც გადაეცათ. მემორან-დუმის მიხედვით საარჩევნო ადმინისტრაცია უნივერსიტეტებში სასწავლო პროგრამის მესამე ეტაპს იწყებს, რომელშიც ამჯერად უმაღლესი სასწავლებლის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტები მიიღებენ მონა-წილეობას.

▪ დისკუსია თემაზე „კონფლიქტები საქართველოში“

3 ივნისს ივანე ჯავახიშვილის სახელო-ბის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კონფლიქტის ანალიზისა და მართვის ინ-სტიტუტმა გამართა დისკუსია თემაზე „კონ-ფლიქტები საქართველოში“. დისკუსიაში მონაწილეობა ჯორჯ მეისონის უნივერსიტე-ტის დელეგაციის წევრებმა მიიღეს, რომლე-ბიც საქართველოში ერთი კვირის წინ ჩამო-ვიდნენ და შეხვედრებს კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრში მართავდნენ. დელეგაციას მეისონის უნი-ვერსიტეტის პროფესორი სიუზან ალენ ნენი ხელმძღვანელობს. უნივერსიტეტის წარმო-მადგენლები კონფლიქტოლოგიის თემით დაინტერესებულ ქართველ სტუდენტებთან ერთად სტუდენტური ფორუმის შექმნას გეგმავენ, რომელიც სამომავლო მჭიდრო თანამშრომლობას და აზრთა გაცვლას უზ-რუნველყოფს.

▪ გამოცემული წიგნი არასრულწლოვან დამნაშავეთა დასჯის მექანიზმებზე

3 ივნისს ივანე ჯავახიშვილის სახელო-ბის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტ-ში წიგნის პრეზენტაცია გაიმართა. წიგნი „არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრ-დელობითი ხასიათის იძულებითი ღონის-ძიების შეფარდების პრობლემები” იური-დიული ფაკულტეტის კრიმინალისტიკისა და კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და იუნისეფის ერთობლი-ვი პროექტის ფარგლებში გამოიცა. წიგნში სრულყოფილად არის გამოკვლეული და გაა-ნალიზებული არასრულწლოვან დამნაშა-ვეთა დასჯის მექანიზმები. მათი თეორიული და საკანონმდებლო მდგომარეობა, პრა-ქტიკული მიდგომები და გამოყენების პრო-ბლემები. სახელმძღვანელო განკუთვნილია არასრულწლოვნებთან მომუშავე სახელმწი-ფო ორგანოების და საზოგადოებრივი ორ-განიზაციების წარმომადგენლებისათვის, აგრეთვე სტუდენტებისა და ამ საკითხით დაინტერესებული მკითხველისათვის.

▪ ფინანსთა სამინისტროს აკადემიასთან თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

13 ივნისს ივანე ჯავახიშვილის სახელო-ბის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ფინანსთა სამინისტროს აკადემიას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმს ხელი თსუ-ის რე-ქტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა და აკა-დემიის დირექტორმა სერგო ნოზაძემ მოა-წერეს.

“თანამშრომლობის ფარგლებში უნი-ვერსიტეტის სტუდენტებს საშუალება მიეცემათ ჩაერთონ აკადემიის სასერტიფი-კაციო პროგრამებში და გაიარონ სტაჟირე-ბა. ასევე მიიღონ პრაქტიკული გამოცდი-ლება და გამოიმუშავონ ის უნარ–ჩვევები, რომელიც მომავალში გამოადგებათ“, – აღ-ნიშნა თსუ–ის რექტორმა ალექსანდრე კვი-ტაშვილმა.

შეთანხმების თანახმად, მხარეები მონა-წილეობას მიიღებენ ერთობლივი სამუშაო შეხვედრების, სემინარების, კონფერენციე-ბის, სიმპოზიუმების ორგანიზებაში. ასევე, სხვა სახის სასწავლო–საგანმანათლებლო პროექტების რეალიზებაში.

„აღნიშნული თანამშრომლობა საინტერე-სო იქნება ორივე მხარისათვის. ფინანსთან სამინისტროს აკადემია უზრუნველყოფს სტუდენტების კარიერულ განვითარებასა და დასაქმებას ფინანსთა სამინისტროსა თუ სხვა საჯარო და კერძო ორგანიზაციებში. აკადემია აქტიური რებრენდინგის პროცეს-შია და ახალი ძალებით ჩვენ შევეცდებით უფრო აქტიური თანამშრომლობა დავა-მყაროთ უმაღლეს სასწავლებლებთან“, – განაცხადა აკადემიის დირექტორმა სერგო ნოზაძემ.

წიგნის XIII საერთაშორისო ფესტივალი

თბილისის წიგნის XIII საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში მრავალი საინტერესო ღონისძიება დაიგეგმა. ფესტივალის ფარგლებში წელს პირველად ,,ექსპო ჯორჯიაში” გაიმართა როგორც წიგნების გამოფენა-გაყიდვა, ისე სხვადასხვა სახის ფორუმები და მას-ტერკლასები. ფესტივალში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა საქართველოში არსებულმა თითქმის ყველა ორგანიზაციამ, უმაღლესმა სასწავლებლებმა, სკოლებმა. 26 მაისიდან 30 მაისამდე დამთვალიერებლები გაეცვნენ თანამედროვე ავტორების შემოქმედებით სიახ-ლეებს, სხვადასხვა საგამომცემლო სახლის მიერ გამოცემულ ლიტერატურას.

თამარ დადიანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი წიგნის XIII საერ-თაშორისო ფესტივალში აქტიურად ჩაერთო. ღონისძიებების ფარგლებში პროფესორმა რის-მაგ გორდეზიანმა წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე: „ჰომეროსი და თანამედროვე მკითხვე-ლი“. მან საინტერესოდ ისაუბრა, თუ როგორია თანამედროვე ეპოქაში მკითხველის დამოკიდე-ბულება მსოფლიო ლიტერატურის შედევრების მიმართ.

„ბოლო ხანს კეთდება რეიტინგული შეფა-სება მწერლებისა. უნდა აღინიშნოს, რომ მათ შორის ჰომეროსს ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია თავისი თხზულების შინაარსიდან და ღირებულებიდან გამომდინარე. ჰომეროსისად-მი ინტერესი ძალიან დიდია. არიან მწერლები, რომლებიც მარადიულ ცხოვრებას აგრძელებენ. სწორედ ასეთი გახლავთ ჰომეროსი, რომელ-მაც მკითხველთან ურთიერთობის საინტერესო ისტორია გაიარა. ჰომეროსის ეპოქიდან მოყ-ოლებული, ხელოვნების ესა თუ ის დარგი ამ დიდი ავტორის გავლენას განიცდიდა. ჰომერო-სის ადგილი საზოგადოებაში სახელმწიფო დი-რექტივით კი არ იყო განპირობებული, არამედ ეს ორმხრივი მოთხოვნილება გახლდათ, რო-გორც ხალხის, ასევე სახელმწიფო პოლიტიკის მხრიდან“, — აღნიშნა რისმაგ გორდეზიანმა, რომელმაც მსმენელთა შეკითხვებს საინტერე-სო და ამომწურავი პასუხები გასცა.

შთამბეჭდავი იყო პროფესორ სოფიო შამა-ნიდის საჯარო ლექცია თემაზე: „ჰომეროსისი ეპოსის თანამედროვე ბერძნული თარგმანები“.

„ძველი ბერძნული პოეზიის თანამედრო-ვე ენაზე თარგმნის პროცესში განსაკუთრე-ბული ადგილი უჭირავს ძველი ბერძნულიდან ახალ ბერძნულ ენაზე ჰომეროსის თარგმნის საკითხს. გასათვალისწინებელია ის პრინ-ციპული სხვაობა, რაც არსებობს ბერძენ მთარგმნელსა და სხვა ნებისმიერ ენაზე მთარგმნელს შორის, თითქმის ყველა პარა-მეტრით: წმინდა ენობრივი, ფსიქოლოგიური, ენის მემკვიდრეობის აღქმისა და სხვა. ერ-თის მხრივ, ძველი ბერძნული პოეზია არის ბერძნული ენისა და კულტურის კუთვნილება, ხოლო მეორეს მხრივ, სპეციალური მომზადე-ბის გარეშე თანამედროვე ბერძენ მკითხველს არ შეუძლია მისი უშუალო გაგება და იგი ამ პოეზიის ახალ ბერძნულზე თარგმნას საჭი-როებს.

ცნობილია, რომ XV საუკუნემდე ბერძენი მკითხველი ეზიარებოდა კლასიკურ ლიტერა-ტურას, მათ შორის ჰომეროსსაც ორიგინალში

და მისი თარგმნის საჭიროება არ არსებობდა. ბიზანტიის დაცემიდან ეს ტრადიცია თანდა-თანობით დაიკარგა და ძველი ბერძნული ლი-ტერატურა, ენობრივ დონეზე, სულ უფრო და უფრო დაშორდა თანამედროვე ბერძნულე-ნოვან მკითხველს. ანუ ძველი ბერძნული ენის სწავლის გარეშე შეუძლებელი გახდა ამ ენაზე დაწერილი ტექსტების გაგება. უფრო მოგვიან-ებით, ბერძნების დამოუკიდებლობის მოპოვე-ბის შემდეგ, ელინებში უკვე მკაფიოდ გამოიკ-ვეთა ბერძნული თვითშეგნება და, რაც მთავა-რია, მემკვიდრეობითობის გრძნობა.

ასე რომ, ბერძენი მთარგმნელის წინაშე საკ-მაოდ სერიოზული ამოცანა დადგა: ერთი მხრივ, მათ უნდა გადმოიტანონ თანამედროვე ბერძ-ნულზე ლიტერატურა, რომელიც მსოფლიო ლი-ტერატურის ოქროს ფონდად ითვლება და მეო-რე მხრივ, არ უნდა დაუკარგოს ბერძენ მკითხ-ველს შეგრძნება პოეტური ენის მემკვიდრეო-ბითობისა“, — აღნიშნა სოფიო შამანიდმა.

ფესტივალის ფარგლებში 28 მაისს წიგნე-ბის სპეციალური პრეზენტაცია გაიმართა, სა-დაც თსუ-ის გამომცემლობამ და „ლოგოსმა“ 50-მდე გამოცემის მრავალფეროვანი ნიმუშები წარმოადგინა.

„გამომცემლობა უნივერსიტეტის შემადგე-ნელი ნაწილია და მისი მიზანია ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის სამეცნიერო, სასწავლო და საგანმანათლებლო საქმიანობის წარმატე-ბით განხორციელებას. წელს მრავალფერო-ვანი გამოცემებით წარვდექით ფესტივალზე და მოხარული ვარ, რომ გამომცემლობას სა-შუალება ეძლევა — აქტიური და ნაყოფიერი მუშაობა გასწიოს... ჩვენს სტენდზე წარმოდ-გენილია ყველა ის ლიტერატურა, რომელიც ნებისმიერი გემოვნებისა და ინტერესის მკითხ-ველს დააკმაყოფილებს. სახელმძღვანელოები-დან განსაკუთრებით გამოვყოფდი ამერიკელი ავტორის — ბლანშარის სახელმძღვანელოს, რომელიც ღირებული შენაძენია ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტებისთ-ვის. საყურადღებოა კემბრიჯის უნივერსიტე-ტის ფუნდამენტური შრომა ლინგვისტიკაში —

„ევროპული ლინგვისტიკის ისტორია პლატო-ნიდან რენესანსამდე“, რომელიც შესანიშნავად თარგმნა თსუ-ის ემერიტუსმა პროფესორმა ლილი გოქსაძემ. იურიდიულ მეცნიერებათა ფაკულტეტმა გამოსაცემად მოამზადა სისხლის სამართლის კოდექსის ისტორია. ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლებისგან შევიძი-ნეთ წიგნების სერია: „ძალიან მოკლედ თითქ-მის ყველაფრის შესახებ“, სადაც დაახლოებით 250 წიგნია შესული და მეცნიერებას თითქმის ყველა დარგს მოიცავს. პირველი სამი წიგნი უახლოეს მომავალში გამოიცემა,“ — აღნიშნა თსუ-ის გამომცემლობის ხელმძღვანელმა თა-მარ ებრალიძემ.

მკითხველები დიდ ინტერესს იჩენდნენ თსუ-ის გამომცემლობისა და „ლოგოსის“ მიერ წარმოდგენილი ლიტერატურის მიმართ და ერთხმად აღნიშნავდნენ წარმოდგენილი თხ-ზულებების მაღალ მხატვრულ და სამეცნიე-რო ღირებულებას, მაღალ პოლიგრაფიულ დონესა და თემატიკის მრავალფეროვნებას.

გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასო-ციაცია ყოველწლიურ წიგნის ფესტივალს სა-ქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს და თბილისის მერიის მხარდაჭე-რით ახორციელებს.

ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ

„ᲜᲝᲠᲩ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲡᲢᲗᲐ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ” ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲐ

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნორჩ ეკონომისტთა სკოლამ 3 ივნისს მესამე გამოშვება იზეიმა. სკოლის მოსწავლეები დიდ ინტერესს იჩენენ ამ პროექტის მიმართ. ისინი ყოველ შაბათს იკრიბებიან ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტზე ნორჩ ეკონომისტთა სკოლისთვის განკუთვნილ აუდიტორიაში და ეკონომიკის სხვადასხვა საკითხებთან მიმართებაში ისმენენ ლექციებს პოპულარულ ენაზე.

თამარ დადიანი

„დღეს ჩვენ ზეიმით აღვნიშნავთ „ნორჩ ეკონომისტთა სკოლის” მესამე გამოშვებას. მე ამაყი ვარ, რომ ამ მეტად საპატიო და საინტერესო საქმეს, რასაც საბავშვო უნივერსიტეტის ფარგლებში მოქმედი „ნორჩ ეკონომისტთა სკოლა” ემსახურება, უკვე მესამე წელია ვხელმძღვანელობ. ეფექტურად მუშაობის სტიმულს კი მაძლევს ფაკულტეტის ხელმძღვანელობისა და პროფესორების თანადგომა და ხელშეწყობა. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ყველა პროფესორს, რომელიც პასუხისმგებლობით მოეკიდა ამ საქმეს, ასევე, ქალბატონ მარინა ლომოურს, რომლისგანაც მთელი ამ ხნის განმავლობაში უდიდეს თანადგომას ვგრძნობდი. შესაშურია მისი საქმისადმი მიდგომა და სიყვარული. აღნიშვნის ღირსია უნივერსიტეტის ადმინისტრაციის აპარატის განსაკუთრებული დამოკიდებულებაც ამ ღონისძიების მიმართ. მათი აქტიური მხარდაჭერით ეს სასიამოვნო და ლამაზი დღე დიდხანს დარჩებათ მოსწავლეებს მოსაგონებლად,” — განაცხადა „ნორჩ ეკონომისტთა სკოლის” ხელმძღვანელმა მარი უკლებამ.

საზეიმო შეხვედრას ესწრებოდნენ თსუ-ის ადმინისტრაციის, განათლების სამინისტროს წარმომადგენლები, თსუ-ის პროფესორ-მასწავლებლები, თბილისის საჯარო სკოლების მოსწავლეები, ქუთაისის ახალგაზრდული პარლამენტის წევრები და სხვა მოწვეული სტუმრები.

შეხვედრაზე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ პროფესორები: გიორგი ღაღანიძე, ნოდარ ხადური, თემურ შენგელია, ნინო პაპაჩაშვილი, ირინა გოგორიშვილი, ჩარიტა ჯაში, ეკა ლეკაშვილი, თსუ-ის რექტორის მრჩეველი და საბავშვო უნივერსიტეტის კოორდინატორი მარინე ლომოური, რომელმაც დიდი მადლობა გადაუხადა ამ პროექტში მონაწილე პროფესორ-მასწავლებლებსა და მოსწავლეებს.

„სამაგალითოა უნივერსიტეტის იმ პროფესორ-მასწავლებელთა ენთუზიაზმი, რომლებიც თავისუფალ დროს სკოლის მოსწავლეებთან მუშაობას უთმობენ. ეს არის მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და პროფესიონალური დამოკიდებულების ნათელი გამოვლინება. მეამაყება, რომ მაქვს უფლება, როგორც კოლეგებს, მოგმართოთ და შეგახსენოთ, თუ რა მნიშვნელობა აქვს თქვენს ნათქვამ თითოეულ სიტყვას ამ ბავშვებისთვის“, — აღნიშნა მარინე ლომოურმა, რომელმაც რესურს ცენტრების ხელმძღვანელებს მიმართა — ხელი შეუწყონ სკოლებში „საბავშვო უნივერსიტეტის” პოპულარიზაციას.

თბილისის 175-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებმა სალომე პაჭკორიამ და პაატა ჭანიამ დიდი მადლობა გადაუხადეს ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებს შთამბეჭდავი ლექციების ჩატარებისათვის.

„ადამიანებს ერთი ასეთი თვისება ახასიათებთ — მათ ძალიან მალე ბეზრდებათ ყველაფერი. მე მესამე წელია ვისმენ ლექციებს და ჯერ არ მქონია შეგრძნება იმისა, რომ ჩემი თავი ამოვწურე. ყოველწლიურად ვხვდები ახალ ლექტორებს, ვისმენ ახალ ლექციებს და ამით ინტერესთა სფეროს ვიფართოებ. ყველას დიდი მადლობა ასეთი საარგებლო შრომისთვის“, - აღნიშნა სალომე პაჭკორიამ.

საზეიმო შეხვედრის ბოლოს თსუ-ის რექტორის მრჩეველმა და „საბავშვო უნივერსიტეტის” კოორდინატორმა მარინე ლომოურმა პროექტის ორგანიზატორებს, ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებს საპატიო დიპლომები და ფასიანი საჩუქრები გადასცა. სერტიფიკატები გადაეცათ „ნორჩ ეკონომისტთა სკოლის” წარჩინებულ და აქტიურ მსმენელებს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბავშვო უნივერსიტეტის ფარგლებში მოქმედი „ნორჩ ეკონომისტთა სკოლის” მუშაობით დაინტერესდნენ ქუთაისის ახალგაზრდული პარლამენტის წევრები, რომლის უშუალო ხელმძღვანელია ქალბატონი თათული გოქაძე. ახალგაზრდულ პარლამენტში გაერთიანებულნი არიან სხვადასხვა სკოლების IX, X, XI კლასის მოსწავლეები. ამ პარლამენტის წარმომადგენლის ირაკლი გაჩეჩილაძის თაოსნობით 50-მდე მოსწავლე აქტიურად ჩაერთო „ნორჩ ეკონომისტთა სკოლის” მუშაობაში. ამის დასტურია ის, რომ ყოველ შაბათ-კვირას ისინი აქტიურად ესწრებიან ლექციებს ეკონომიკაში.

აღსანიშნავია, რომ თსუ-ის ვებ-საიტზე დაემატა „საბავშვო უნივერსიტეტის“ გვერდი — „ეკონომიკა“, სადაც სისტემატურად შუქდება „ნორჩ ეკონომისტთა სკოლის“ საქმიანობა, რაც კარგი საშუალებაა მსმენელთა და დაინტერესებულ პირთა ინფორმირებისთვის.

ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲡᲘᲛᲞᲝᲖᲘᲣᲛᲘ „ᲒᲣᲨᲘᲜ, ᲓᲦᲔᲡ, ᲮᲕᲐᲚ“

ᲜᲐᲢᲝ ᲝᲒᲝᲚᲐᲫᲔ

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სკოლის მოსწავლეთა ცოდნის ამაღლების მიზნით სხვადასხვა სახის ღონისძიებების გამართვას აგრძელებს. ამ ღონისძიებებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი სტუდენტთა და სკოლის მოსწავლეთა სამეცნიერო სიმპოზიუმს უჭირავს, რომელიც „საბავშვო უნივერსიტეტის“ ეგიდით იმართება. სამეცნიერო სიმპოზიუმის გამართვა თსუ-ში უკვე ტრადიციად იქცა და მას ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და მედიცინის ფაკულტეტები უწევენ ორგანიზებას. „სტუდენტთა და მოსწავლეთა სამეცნიერო სიმპოზიუმში“ უკვე თბილისისა და საქართველოს ქალაქების (ხაშურის, რუსთავის, საგარეჯოს და სხვა) 137 საჯარო სკოლა ჩაერთო.

წელს „სტუდენტთა და სკოლის მოსწავლეთა სამეცნიერო სიმპოზიუმის“ საიუბილეო თარიღია. ორგანიზატორებმა 5 წლისთავი სამეცნიერო კონფერენციის — „გუშინ, დღეს, ხვალ“ გამართვით აღნიშნეს. ღონისძიებაზე, რომელიც 4-5 ივნისს მიმდინარეობდა, 60-ზე მეტმა მოსწავლემ და სტუდენტმა წარმოადგინა მოხსენება.

სამეცნიერო სიმპოზიუმი „გუშინ, დღეს, ხვალ“ მისმა ყველაზე პატარა მონაწილემ, ფრანგული კოლეჯის VI კლასის მოსწავლემ ალექსანდრე მათეშვილმა გახსნა. მისმა მოხსენებამ „ბიოტექნოლოგიის ისტორია“ როგორც მონაწილეების, ასევე, პროფესორ-მასწავლებლების მოწონება დაიმსახურა.

„სტუდენტთა და მოსწავლეთა IV სამეცნიერო სიმპოზიუმს შარშან მხოლოდ დავესწარი, ძალიან მომეწონა და გადავწყვიტე, წელს მასში მონაწილეობაც მიმეღო. მაინტერესებს ბიოლოგია და ხშირად ვკითხულობ ამ მიმართულებით წიგნებს, ამიტომაც გადავწყვიტე ამ თემაზე მოხსენების წარმოდგენა“, — გვითხრა 12 წლის ალექსანდრე მათეშვილმა.

სტუდენტთა და მოსწავლეთა V სამეცნიერო სიმპოზიუმის მონაწილე მოსწავლეების მოხსენებები თემატურად საკმაოდ მრავალფეროვანი გახლდათ. მაგალითად, თბილისის პირველი კლასიკური გიმნაზიის XI კლასის მოსწავლემ ნინო კეთილაძემ მობილური ტელეფონის მავნებლობის შესახებ ისაუბრა.

აღსანიშნავია, რომ სამეცნიერო სიმპოზიუმში მონაწილეობა პატარა „მკვლევრებისთვის“ მრავალმხრივ სასარგებლო

გახლდათ. აუდიტორიასთან ურთიერთობის გამოცდილების მიღებასთან და საუნივერსიტეტო გარემოს გაცნობასთან ერთად, მათ ერთმანეთისგან ბევრი ახალი და მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიიღეს. მოსწავლეების მოხსენებები საინტერესო იყო სტუდენტებისთვისაც.

„სტუდენტთა და მოსწავლეთა V სამეცნიერო სიმპოზიუმმა დიდი წარმატებით ჩაიარა“, — ასე შეაფასეს ღონისძიება ორგანიზატორებმა და თსუ-ის პროფესორ-მასწავლებლებმა. სიმპოზიუმის მთავარი მიზანი, რომ მომავალი თაობა ადრეული ასაკიდანვე დაუახლოოს მეცნიერებას და შეაყვაროს წიგნთან ურთიერთობა, ნელ-ნელა „ფინიშს” უახლოვდება.

„წელს საიუბილეო თარიღია და ამიტომ მივეცით სტუდენტებსა და მოსწავლეებს თავისუფალი არჩევანის საშუალება. გვინდოდა გვცოდნოდა და გვესაუბრა — რა ვიცოდით მათ მიერ შერჩეულ პრობლემურ საკითხზე გუშინ, რა ვიცით დღეს და რას ველოდებით ხვალ — ამ მიზნითაც შევარჩიეთ V სამეცნიერო სიმპოზიუმის სახელწოდება. ღონისძიებაში სტუდენტების გარდა საკმაოდ ბევრი მოსწავლე მონაწილეობდა. ჩვენს პროექტში აქტიურად ჩაერთო პირველი კლასიკური გიმნაზია, 143 საჯარო სკოლა, მაქსვუდის საერთაშორისო სკოლა, ქართულ ამერიკული უმაღლესი სკოლა, წმინდა გიორგი და ექვთიმე მთაწმინდელების სკოლა, აფხაზეთის მე-3 საჯარო სკოლა, ხაშურის ილია ჭავჭავაძის სახელობის სკოლა, საგარეჯოს მე-4 საჯარო სკოლა, რუსთავის 3 საჯარო სკოლა და ასე შემდეგ. სიმპოზიუმში მონაწილეობის მსურველთა რიცხვი თანდათან მატულობს და ეს ფაქტი ძალიან გვახარებს“, — გვითხრა სტუდენტთა და მოსწავლეთა სამეცნიერო სიმპოზიუმის ორგანიზატორმა, თსუ-ის პროფესორმა დიანა ძიძიგურმა.

სტუდენტთა და მოსწავლეთა V სამეცნიერო სიმპოზიუმზე შეკრებილ მოსწავლეებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა კიდევ ერთხელ შეახსენეს, თუ რამდენად სასარგებლოა მათთვის მსგავს ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება.

„სტუდენტმა რომ წარმატებას მიაღწიოს, მას აუცილებლად უნდა გააჩნდეს სკოლაში მიღებული კარგი საბაზისო ცოდნა, რადგან უნივერსიტეტი ყველა დეფიციტის შევსებას ვერ შეძლებს. მონაწილეობა ასეთ შეკრებებში ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ სულ არ ველოდებით, რომ რომელიმე მოსწავლე რაღაც აღმოჩენას გააკეთებს ან ახალ, სრულფასოვან თეორიას წარმოადგენს, მაგრამ ისინი საკუთარი მოსაზრებების ლოგიკურად დაწყობას და თავისი პოზიციის დაცვას აუცილებლად მიეჩვევიან და ისწავლიან. ამ მიზნის მისაღწევად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უკვე სკოლებთან თანამშრომლობის რამდენიმე წელს ითვლის და, როგორც ვნახეთ, სამეცნიერო სიმპოზიუმში მონაწილეთა სია გავაფართოვეთ“, — განაცხადა რექტორის მრჩეველმა სამეცნიერო დარგში მარინე ლომოურმა.

სტუდენტთა და მოსწავლეთა სამეცნიერო სიმპოზიუმის ორგანიზატორებმა მომდევნო კონფერენციისთვის მზადება უკვე დაიწყეს. ღონისძიება 2011 წლის შემოდგომაზე გაიმართება. ხელმძღვანელების თქმით, პროექტში მონაწილე საჯარო სკოლების რაოდენობა ამ დროისთვის საგრძნობლად გაიზრდება და, შესაბამისად, სტუდენტთა და მოსწავლეთა VI სამეცნიერო სიმპოზიუმი გაცილებით მასშტაბურ ხასიათის მიიღებს.

ნაბიჯები ევროპის სტუდენტთა კავშირის წევრობის სტატუსის მოსაპოვებლად

1 ივნისს თბილისში, საქართველოში პირველად, სტუდენტური თვითმმართველობების საერთაშორისო ფორუმი გაიხსნა, რომელსაც ორგანიზება თსუ-ის სტუდენტურმა თვითმმართველობამ გაუწია. ეს არის პირველი პრეცედენტი, როდესაც თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა საგარეო მიმართულებით იწყებს გააქტიურებას. კონკრეტულად რას გეგმავენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდები იმისათვის, რომ სტუდენტური ცხოვრება ბევრად უფრო საინტერესო გახადონ, ამას ჩვენი ინტერვიუდან შეიტყობთ. გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ კითხვებს თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი **დაჩი გუშგაძე** *პასუხობს.*

ნატო ოგოლაძე

— 1 ივნისს, საქართველოში პირველად, საერთაშორისო სტუდენტური ფორუმი გაიმართა. საინტერესოა, როგორი შედეგებით დასრულდა იგი?

— საერთაშორისო სტუდენტურ ფორუმში 15 ქვეყნის 18 უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობების 35 წარმომადგენელი მონაწილეობდა. ყველა მათგანი გაწევრიანებულია ევროპულ ახალგაზრდულ ორგანიზაციაში – ევროპის სტუდენტთა კავშირში, რომელიც მთელ ევროპაში ახალგაზრდულ პოლიტიკას წარმართავს და საკმაოდ დიდი შესაძლებლობები გააჩნია. საქართველოც გაწევრიანებულია ევროპის სტუდენტთა კავშირში, თუმცა, სამწუხაროდ, მხოლოდ სტუდ-კავშირების დონეზე, ასეთი სახის ორგანიზაციები კი ჩვენთან აღარ არსებობს და, შესაბამისად, ჩვენ, ამ მხრივ, არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია. ჩვენი მიზანი იყო, რომ ამ ორგანიზაციის წევრი ქვეყნების უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლები საქართველოში მოგვეწვია და მათგან მიგველო ინფორმაცია, თუ რისი გაკეთებაა საჭირო იმისათვის, რომ გავწევრიანდეთ ევროპის სტუდენტთა კავშირში თვითმმართველობების დონეზე.

— რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ საქართველო გაწევრიანდეს ევროპის სტუდენტთა კავშირში?

— აუცილებელია, საქართველოში მოქმედებდეს სტუდენტური თვითმმართველობების გამაერთიანებელი ორგანიზაცია, რომელიც თავისი „ქოლგის“ ქვეშ თავს მოუყრის ჩვენს ქვეყანაში მოქმედ ყველა უნივერსიტეტის თვითმმართველობებს, რაც მოგვცემს ევროპის სტუდენტთა კავშირში გაწევრიანების შესაძლებლობას. თვითმმართველობების შემკვრელი „ქოლგა“ — ორგანიზაცია რეალურად აქამდეც არსებობდა, მაგრამ ჩვენ ამ მიმართულებით არ ვიყავით გააქტიურებულნი, თუმცა ამის გამოსწორებას ვგეგმავთ. აღნიშნულ საკითხზე მუშაობა ფორუმის გახსნის დღიდან დავიწყეთ. ჩვენ დეტალურ ინფორმაციას მანამდეც ვკრებდით, თუ რა იყო საჭირო ევროპის სტუდენტთა კავშირში გასაწევრიანებლად. ნოემბერში ბრიუსელში შედგება ამ ორგანიზაციის მორიგი საერთაშორისო შეკრება, სადაც საქართველო მასში გაწევრიანების თხოვნას წარადგენს. დადებითი პასუხის შემთხვევაში, კანდიდატობის უფლებას მოგვცემენ. კანდიდატობის უფლების მოპოვება ჩვენი პირველი ამოცანაა, შემდეგ უკვე ვისაუბრებთ გაწევრიანებაზეც.

— რას მოუტანს საქართველოს ევროპის სტუდენტთა კავშირში გაწევრიანება?

— კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეს ორგანიზაცია მთელს ევროპაში. მაგალითისთვის გეტყვით, თუ რომელიმე ქვეყანაში ისეთი გადაწყვეტილება მიიღება, რაც სტუდენტებისთვის მიუღებელია, სწორედ ევროპის სტუდენტთა კავშირის ხელმძღვანელებს აქვთ უფლება — ევროპის საერთაშორისო ორგანიზაციების ტრიბუნებზე გამოვიდნენ და ევროპელი სტუდენტების სახელით დაადაფიქსირონ მათი პოზიცია. საქართველო ევროპის შემადგენელი ქვეყანაა, შესაბამისად, ქართველი სტუდენტების ხმაც უნდა ჟღერდეს ევროპულ სივრცეში. ეს ორგანიზაცია კი ერთადერთი ხიდია ამისთვის. გარდა ამისა, ქართველ სტუდენტებს მიეცემათ საშუალება, აღნიშნული ორგანიზაციის ეგიდით განხორციელებულ უამრავ პროგრამაში მიიღონ მონაწილეობა. ასევე, ამ ორგანიზაციის წევრი 35 ქვეყნის შიდა ღონისძიებებში მონაწილეობის მიღების პროცესიც ბევრად გამარტივდება. ეს კი კიდევ ერთხელ ხელს შეუწყობს ქართველი სტუდენტების ევროპელ კოლეგებთან დაახლოებას.

— ცნობილია, რომ ფორუმზე ევროპის უმაღლესი სასწავლებლებისა და ჰარვარდის უნივერსიტეტის სტუდენტურ თვითმმართველობებთან გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. რას ითვალისწინებს ეს დოკუმენტი?

— ეს მემორანდუმი ითვალისწინებს გაცვლითი პროგრამების ამოქმედებას თვითმმართველობების დონეზე. პროგრამების ფარგლებში პარტნიორი უნივერსიტეტების თვითმმართველობების წარმომადგენლები გარკვეული ვადით ჩამოვლენ საქართველოში და სტუდენტური პროექტების განხორციელებაში მიიღებენ მონაწილეობას, შესაბამისად, ჩვენც გავგზავნით მათთან ჩვენი თვითმმართველობის წევრებს, რომლებიც მასპინძელ უმაღლეს სასწავლებლებში ანალოგიური საქმიანობით დაკავდებიან.

— ევროპის სტუდენტთა კავშირში გაწევრიანებისა და ევროპის უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის გაღრმავების გარდა, კიდევ რას გეგმავს სამომავლოდ თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა?

— ჩვენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს ის, რომ ჩვენმა სტუდენტურმა თვითმმართველობამ მომავალში ახალი მოწვევის თვითმმართველობას დაუტოვოს ევროპის სტუდენტთა კავშირის წევრობის სტატუსი. ეს არის საგარეო მიმართულებით ჩვენი გააქტიურება, რაც არასდროს მომხდარა. ეს პირველი ნაბიჯებია... ამ კუთხით დავიწყეთ მუშაობა და ვნახოთ, როგორი იქნება შედეგი. დანარჩენ აქტივობას რაც შეეხება, ის ღონისძიებები და პროექტები, რომლებიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა თუ ქვეყნის მასშტაბით იმართებოდა, რა თქმა უნდა, გაგრძელდება.

ჩვენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს ის, რომ ჩვენმა სტუდენტურმა თვითმმართველობამ მომავალში ახალი მოწვევის თვითმმართველობას დაუტოვოს ევროპის სტუდენტთა კავშირის წევრობის სტატუსი.

— რაც შეეხება გასულ სემესტრს, როგორ შეაფასებდით თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის მუშაობას?

— თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის მუშაობა ჩემთვის დამაკმაყოფილებელია ისევე, როგორც წინა სემესტრის დროს. ყველა დეპარტამენტმა გააკეთა თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმი. მალე ამ სემესტრის შემაჯამებელ ანგარიშს წარმოვადგენთ და დეტალურად გავაცნობთ ყველას ჩვენი საქმიანობის შესახებ. ამჯერად ზოგადად გეტყვით, რომ ამ სემესტრში ბიუჯეტი გაგვეზარდა. ჩვენ სტუდენტებს ბევრი საინტერესო პროექტის განხორციელებას ვპირდებოდით, რომელშიც მეტი ახალგაზრდა მიიღებდა მონაწილეობას და ეს ასეც მოხდა... მაგალითად, ინტელექტუალურ თამაშში „რა? სად? როდის?“ წინა სასწავლო სემესტრში 150 სტუდენტი იღებდა მონაწილეობას, ამჯერად კი მათი რიცხვი 690-მდე გაიზარდა.

თემის რესპონდენტი
დაჩი გუშგაძე

— რას სთავაზობთ ზაფხულში სტუდენტებს?

— ამ ზაფხულს, საქართველოს სტუდენტური თვითმმართველობის ისტორიაში პირველად, მესამე მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით ხორციელდება ხელოვნებისა და ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალი — „ერთა ხმა 2011“. მსგავსი თემატიკის ფესტივალი ადრეც ტარდებოდა, თუმცა მხოლოდ საქართველოს მასშტაბით და სახელწოდებით „ერის ხმა“. მასში სხვადასხვა უნივერსიტეტების ფოლკლორული ანსამბლები მონაწილეობდნენ. ამჯერად ჩვენ გავზარდეთ ფესტივალის მასშტაბები. 28 ივლისიდან 3 აგვისტოს ჩათვლით ტრადიციული ფოლკლორის უკვე საერთაშორისო ფესტივალი „ერთა ხმა 2011“ გაიმართება, რომელშიც მონაწილეობას 10 ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები მიიღებენ. ფესტივალის გახსნა ბათუმში იგეგმება, მაგრამ მისი ფართო მასშტაბების გამო კონცერტები ერთდროულად სამ ქალაქში გაიმართება — ბათუმში, ქუთაისსა და ზუგდიდში. ველოდებით 340 უცხოელი სტუმრის ჩამოსვლას. სტუდენტები ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვლენ იტალიიდან, კორეადან, თურქეთიდან, სომხეთიდან, პოლონეთიდან, ჩრდილოეთ კვიპროსიდან... როცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებით საქართველოში 340 უცხოელი ჩამოვა, ეს ადგილობრივი ტურიზმის განვითარებაში ჩვენს მიერ შეტანილი მცირედი წვლილი იქნება.

ფოლკლორის საერთაშორისო ახალგაზრდული ფესტივალი ბათუმში გაიმართება

28 ივლისიდან 3 აგვისტოს ჩათვლით საქართველოში პირველად გაიმართება ხელოვნებისა და ფოლკლორის საერთაშორისო ახალგაზრდული ფესტივალი — „ერთა ხმა 2011“, რომლის მთავარი ორგანიზატორი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა გახლავთ. ფესტივალში 10 ქვეყნის: იტალიის, პოლონეთის, ბულგარეთის, მაკედონიის, კვიპროსის, ბელორუსიის, თურქეთის, კორეისა და საქართველოს 340 წარმომადგენელი მიიღებს მონაწილეობას. ღონისძიების მასშტაბურობის გამო იგი დასავლეთ საქართველოს სამ ქალაქში: ბათუმში, ქუთაისსა და ზუგდიდში ერთდროულად გაიმართება. ფესტივალის გახსნისა და დახურვის ცერემონია კი ბათუმში მოეწყობა. პროექტის მიზანია ქართველი და უცხოელი სტუდენტების დაახლოება, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა და ქართული და უცხოური კულტურის პოპულარიზაცია.

ნატო ოგოლაძე

„ამ პროექტის განხორციელება ბევრი ადამიანის ძალისხმევით ხდება, რაც იმაზე მეტყველებს, რომ იგი ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. თსუ ფესტივალის „ერთა ხმა 2011“ არა მარტო მხარდამჭერი, არამედ ერთ-ერთი მთავარი წამომწყები და ორგანიზატორია. ასევე, ნიშანდობლივია, რომ ფესტივალის ერთი ნაწილი ანაკლიაში — განახლებულ ინფრასტრუქტურულ გარემოში მოეწყობა. ყველა დიდი ინტერესით ველოდებით ამ პროექტის განხორციელებას“, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა.

ხელოვნებისა და ფოლკლორის საერთაშორისო ახალგაზრდულ ფესტივალს „ერთა ხმა 2011“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად თანაორგანიზებას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი უწევს.

პროექტს „ერთა ხმა 2011“ მხარდაჭერას თსუ-სა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გარდა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროც უცხადებს, რომელიც გენერალური სპონსორია. ფესტივალის განხორციელებაში ფინანსურ წვლილს ქალაქ ბათუმის მერიაც შეიტანს.

„არც თუ ისე შორეულ წარსულში, ჩემი სტუდენტობის დროს, ამგვარი პროექტების ორგანიზების შესაძლებლობა არ იყო. დღეს კი სტუდენტურ თვითმმართველობებს საბედნიეროდ შესწევთ უნარი და შესაბამისი რესურსებიც გააჩნიათ, რომ ასეთი ტიპის მასშტაბურ პროექტებს ,,უმასპინძლონ". ამ საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში ძალიან ბევრ უცხოელს მიეცემა შესაძლებლობა — ნახოს საქართველო, გაეცნოს ქართველ ახალგაზრდობას. „ერთა ხმა 2011“, შეიძლება ითქვას, რომ ახალი ინიციატივების დასაწყისიცაა და ამ მიმართულებით მომავალში ხარიხსობრივად უფრო მაღალი დონის პროექტების ორგანიზება გახდება შესაძლებელი, რომლებსაც სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ყოველთვის დაუჭერს მხარს“, — აღნიშნა სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილემ, თსუ-ის პირველი მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის ყოფილმა პრეზიდენტმა გიორგი ავალიანმა.

ხელოვნებისა და ფოლკლორის საერთაშორისო ახალგაზრდული ფესტივალი — „ერთა ხმა 2011“ ფოლკლორული ფესტივალის „ერის ხმის“ მემკვიდრეა, რომელიც თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით 2009 წელს თბილისში თანამინდის პარკში გაიმართა, ხოლო 2010 წელს ბათუმში გადაინაცვლა. ორივე წელს ფესტივალში საქართველოს მასშტაბით ყველა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები იღებდნენ მონაწილეობას. პროექტის იდეის ერთ-ერთი მთავარი ავტორი თსუ-ის მეორე მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი გიორგი შამათავა იყო.

„ორივე ფესტივალი 2009-2010 წლებში წარმატებით ჩატარდა და შემთხვევითი არ გახლდათ, რომ მას სტუდენტური „არტ-გენიც“ კი უწოდეს. ამან ჩვენ, ორგანიზატორებს და იდეის ავტორებს, ჯანსაღი ამბიცია გაგვიჩინა — საქართველოში გაგვემართა საერთაშორისო ფოლკლორის ფესტივალი და ეს უპრეცედენტო ფაქტი გახლავთ, რადგან მსგავსი ფორმატისა და მასშტაბის ფესტივალი საქართველოში ჯერ არ გამართულა. დღეს ჩვენ ვართ პირველები, ვინც საფუძველს ჩაუყრის ჩვენს ქვეყანაში საერთაშორისო ფოლკლორული ფესტივალის განხორციელების ტრადიციას. ფესტივალისთვის სპეციალური დევიზიც მოვიფიქრეთ — „ერთა ხმა“ ჩატარდება მანამდე, სანამ მას აფხაზეთში არ გავმართავთ“, — აღნიშნა გიორგი შამათავამ.

ხელოვნებისა და ფოლკლორის საერთაშორისო ახალგაზრდული ფესტივალის — „ერთა ხმა 2011“ პრეზენტაცია თსუ-ში 10 ივნისს მოეწყო. როგორც ღონისძიებაზე აღინიშნა, „ერთა ხმა 2011“ არა მხოლოდ ქართულ და უცხოურ უნივერსიტეტებს შორის კავშირების დამყარებას შეუწყობს ხელს, არამედ საქართველოში კულტურისა და ტურიზმის განვითარებაშიც შეიტანს თავის წვლილს, რაც ადგილობრივი მოსახლეობისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ასევე, დასაფასებელია ისიც, რომ მისი იდეის ავტორები და ორგანიზატორები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები არიან.

სტუდენტთა სამუშაო ჯგუფი ტერიტორიული მოწყობის შესახებ კონცეფციას დადებს

ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტთა ასოციაციაში ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხთა სამუშაო ჯგუფი შეიქმნა, რაც იმის დასტურია, რომ რეფორმის განხორციელების პროცესში პოლიტიკოსებთან და ექსპერტებთან ერთად უკვე აქტიურად ჩაერთო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა გარკვეული ნაწილი. ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტთა ასოციაციაში შექმნილი ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხთა სამუშაო ჯგუფი, რომლის წევრთა ძირითადი ნაწილი თსუ-ის ბაკალავრები არიან, თემის აქტუალობიდან გამომდინარე, ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის საკითხებზე გეგმავენ მუშაობას. ჯგუფი ერთი თვეა, რაც ჩამოყალიბდა და, ამ ეტაპზე, მათი პრიორიტეტი საქართველოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის საკითხების განხილვა და ამასთან დაკავშირებით საკუთარი კონცეფციის შემუშავება გახლავთ.

ნატო ოგოლაძე

როგორც ცნობილია, საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების თანახმად, ქვეყნის ძირითად კანონს ახალი მე-7 პრიმა თავი დაემატა, რომელიც ქმნის ახალ კონსტიტუციურ გარანტიებს თვითმმართველობის ინსტიტუტის ქმედითი მუშაობისთვის საქართველოში. როგორც ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტთა ასოციაციის ხელმძღვანელები აცხადებენ, მიუხედავად 2011 წლის 1 იანვრიდან ამ თავის ამოქმედებისა, კვლავ ღიად რჩება ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხი, რაც ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის განვითარებასაც შეუშლის ხელს.

„ჩვენ გარკვეული მონახაზი უკვე გვაქვს გაკეთებული, თუ როგორ ვხედავთ საქართველოს ტერიტორიული მოწყობის საკითხს — ეს არის რეგიონალიზმი. რაც შეეხება თვითმმართველობის სისტემას, ჩვენ უპირატესობას ვანიჭებთ თვითმმართველობის ორ დონიან სტრუქტურას, რაც მოიცავს ზედა, ანუ სამხარეო დონეს და ქვედა დონეს — მსხვილ მუნიციპალიტეტებს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ უნდა მოხდეს საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემისთვის დამატებითი კონსტიტუციური გარანტიების შექმნა. მაგალითად შეგვიძლია განვიხილოთ თვითმმართველი ერთეულების საფინანსო-ეკონომიკური საკითხები. თუ ადგილობრივ თვითმმართველობას არ ექნება ფისკალური ავტონომია, რაოდენ დამოუკიდებელიც არ უნდა იყოს იგი იურიდიულად ცენტრისგან, ვერ შეძლებს ნორმალურად საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელებას", — განაცხადა ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა თორნიკე ჭეიშვილმა.

ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტთა ასოციაციაში ამჟამად 100-მდე იურისტია გაწევრიანებული. აღსანიშნავია, რომ ასოციაციის წევრთა უმრავლესობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტია. ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხთა სამუშაო ჯგუფში კი 20 სტუდენტი მუშაობს. ჯგუფის წევრები საქართველოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის საკითხებზე ვრცელი კონცეფციის შემუშავებას გეგმავენ, რომელსაც შემდეგ სახელმწიფო სტრუქტურებს გადასცემენ. მანამდე კი ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტთა ასოციაციის ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხთა სამუშაო ჯგუფი მდგომარეობის უკეთ შესწავლის მიზნით და სრულყოფილი კონცეფციის შესამუშავებლად არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, ასევე, ექსპერტებთან შეხვედრების გამართვას გეგმავს. სტუდენტები რეგიონებში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლებსაც გაესაუბრებიან. საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის თემაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციაც გაიმართება, სტუდენტების მოსაზრებები კი ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტთა მიერ შემუშავებულ კონცეფციაშიც იქნება გათვალისწინებული.

ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტთა ასოციაციის ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხთა სამუშაო ჯგუფი საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის შესახებ კონცეფციის საკუთარი ვერსიის შემუშავებისას განსაკუთრებულ ყურადღებას კონფლიქტურ ზონებზე — აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების სტატუსზე გაამახვილებს.

კონფერენცია

ახალი სახელები სამეცნიერო სივრცეში

ახალგაზრდა მეცნიერთა და მკვლევართა საქმიანობის წარმოჩენა უნივერსიტეტის გაზეთის ერთ-ერთი უმთავრესი მოვალეობაა, რადგანაც კარგად მომზადებული ახალგაზრდა კადრი მომავალში მეცნიერების პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს. ამიტომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხშირად ტარდება სამეცნიერო კონფერენციები ახალგაზრდა მეცნიერებისა და დოქტორანტებისათვის.

სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე გამართული კონფერენცია „პიროვნება, კულტურა, საზოგადოება", რომელიც ასოცირებულ პროფესორ ამირან ბერძენიშვილისა და ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ძალისხმევით გაიმართა. კონფერენციაზე ფაკულტეტის დოქტორანტებმა საინტერესო მოხსენებები წარადგინეს.

დიდი ინტერესი გამოიწვია სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის კონფლიქტოლოგიის მიმართულების დოქტორანტის გიორგი შიოშვილის მოხსენებამ „ძალაუფლებასა და პიროვნულ დამოუკიდებლობას (თავისუფლებას) შორის კონფლიქტი" (ხელმძღვანელი თსუ-ის პროფესორი გუგული მაღრაძე).

მომხსენებელმა წარმოადგინა კვლევა, რომელიც შეეხებოდა ინდივიდსა და ძალაუფლებას (სახელმწიფო ან პოლიტიკური) შორის კონფლიქტს, რომელიც თავისი მასშტაბების გამო ძალზე კონტრასტული და საკვლევად საინტერესოა. მოხსენების თეორიულ ნაწილში გიორგი შიოშვილმა დაწვრილებით მიმოიხილა, რას წარმოადგენს ძალაუფლება, რა არის მისი წყაროები, რა მიზნები აქვს და რა ტენდენციებით ხასიათდება იგი. მან ძალაუფლების ფორმებს შორის გამოკვეთა იძულება, დაშინება, ანუ, რაღაცის შესახებ დარწმუნება, მოტყუება და სხვ.

მოხსენებაში საუბარი იყო ძალაუფლების ზოგად ტენდენციებზე და იმ მიზეზებზე,

თუ რატომ ხდება რეალურად კონფლიქტი. „ძალაუფლება არის ისეთი სუბსტანცია, რომელიც მოვლენების გარკვეული მიმართულებით წარმართვისთვის გამოიყენება, ყველაფერი, რაც მას უპირისპირდება, ან ძალაუფლებასთან კონფლიქტში ექცევა და ან ისე მიმდინარეობს, როგორც ძალაუფლების წყაროს სურვილია. მაქსიმალური, ანუ აბსოლუტური ძალაუფლება, რომელიც ხშირ შემთხვევაში სახელმწიფოს ხელშია, მეთოდებით და მასშტაბებით დიდად განსხვავდება პიროვნების თავისუფლებისა და ძალაუფლებისაგან, ამიტომ ძალაუფლებასთან ცალკეული პიროვნების დაპირისპირებაში აშკარად ჩანს სხვაობა მათ შესაძლებლობებს შორის", — აღნიშნა გიორგი შიოშვილმა.

მოხსენებაში დასკვნის სახით ნათქვამი იყო, რომ ინდივიდს (ან ცალკეულ მხარეს) უნდა გააჩნდეს გარკვეული შესაძლებლობები, ეს იქნება შინაგანი ძალა, ორგანიზების შესაძლებლობები თუ სხვა უნარ-ჩვევები, რომ ამ კონფლიქტიდან რაც შეიძლება ნაკლებად დაზარალებული გამოვიდეს.

კონფერენციის მონაწილეთა მოწონება დაიმსახურა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის კონფლიქტოლოგიის მიმართულების დოქტორანტის თეა შანავას თემამ „პიროვნებათშორისი ტოლერანტობა" (ხელმძღვანელი თსუ-ის ასოცირებული პროფესორი რევაზ ჯორბენაძე).

მოხსენებაში საუბარი იყო, რომ თანამედროვე ყოველდღიურ ცხოვრებაში ტოლერანტობა (შემწყნარებლობა) ხშირად განიხილება, როგორც არათანაბრობის დამოკიდებულება (ანუ პიროვნებათშორის დამოკიდებულებებში პრობლემა და არათანაბრობის განცდა ჩნდება), რომელშიც ტოლერანტობის ობიექტი ინდივიდები ან ჯგუფები დამცირებულ მდგომარეობაშია (ანუ ვიღაც შეიძლება გრძნობდეს თავს დაჩაგრულად). ტოლერანტობა სხვის მიმართ – ეს ძალის გამოვლენაა, ხოლო იყო ტოლერანტული – ნიშნავს შეურიგდე საკუთარ სისუსტეს. ტოლერანტობის განსაზღვრებების თანახმად, ადამიანები უნდა მიისწრაფვოდნენ უკეთესისაკენ — არა მარტო შემწყნარებლობისკენ, არამედ ორმხრივი პატივისცემისკენ. ორმხრივი პატივისცემა არის ტოლერანტობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი.

„ტოლერანტობის სხვადასხვა სახეებსა და ფორმებს შორის ადამიანის საერთო ტოლერანტობის ფუძედ ითვლება პიროვნებათშორისი ტოლერანტობა. რადგანაც დღეისათვის არ არსებობს პიროვნებათა ტოლერანტობის საკვლევი სკალა, რომელიც საშუალებას მოგვცემდა გაგვეზომა პიროვნებათშორისი ტოლერანტობის მახასიათებლები, ამდენად ჩემი ნაშრომის მთავარი მიზანი იყო — შემექმნა პიროვნებათშორისი ტოლერანტობის საკვლევი ინსტრუმენტი და ჩამეტარებინა კვლევა. ამ მიზნით შევქმენი 7 საფეხურიანი სკალა, რომლის პოლუსებზეც განლაგდა შეფასებები უკიდურესად უარყოფითიდან უკიდურესად დადებითამდე.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიის დოქტორის ფლორა ესებუას მოხსენებამ „ტელევიზია, როგორც კატასტროფათა მაუწყებელი", ბოლოს და ბოლოს ახსნა, რატომაა გაჯერებული ტელეეთერი კატასტროფების მაუწყებელი კადრებით და ინფორმაციებით.

დოქტორანტმა კვლევების შედეგად მიღებული მონაცემებით დაასკვნა, რომ რესპონდენტების დიდი ნაწილისთვის ადამიანებთან ურთიერთობაში უკიდურესად დადებით შეფასებას იწვევენ ტოლერანტული ადამიანები, რომლებიც მოთმინების, სათნოებისა და სიქველის პრინციპით სარგებლობენ. გამოირჩევიან შეწყალებისა და მიტევების უნარით, შეუძლიათ სხვათა მიმართ გამოხატონ გულისხმიერება და მზრუნველობა, იყვნენ კომპრომისულები და თანამშრომლობით განწყობილნი, დაინახონ და დააფასონ როგორც საკუთარი, ასევე, სხვათა ღირებულებები და გამოხატონ პატივისცემა და მართებული გაგება სამყაროს მდიდარი კულტურული მრავალფეროვნებისა და ინდივიდუალობის გამოვლენის მიმართ.

გამომდინარე იქიდან, რომ კვლევა ჩატარდა Q მეთოდის გამოყენებით. (ეს მეთოდი 1952 წელს ჩიკაგოს უნივერსიტეტის ფსიქოლოგმა სტეფენსონმა შეიმუშავა. ეს არის მეთოდოლოგია, რომლითაც შესაძლებელია სხვადასხვა სახის ფსიქოლოგიური მახასიათებლების ანალიზი) ჩემ მიერ Q მეთოდის გამოყენება განაპირობა მისმა უნარმა, მქონოდა შესაძლებლობა დამეჯგუფებინა რესპონდენტები საკვლევი ობიექტის მიმართ მათი შეხედულებათა სისტემის ერთგვაროვნების მიხედვით. Q დახარისხება იძლევა პიროვნულ და არა ნორმატიულ მონაცემებს, რაც იმას ნიშნავს, რომ რესპონდენტი ადარებს არა სხვა ადამიანების მონაცემს, არამედ განიხილავს საკუთარ დამოკიდებულებას საკვლევი თემის მიმართ", — განაცხადა თეა შანავამ მოხსენებაში.

დოქტორანტმა კვლევების შედეგად მიღებული მონაცემებით დაასკვნა, რომ რესპონდენტების დიდი ნაწილისთვის ადამიანებთან ურთიერთობაში უკიდურესად დადებით შეფასებას იწვევენ ტოლერანტული ადამიანები, რომლებიც მოთმინების, სათნოებისა და სიქველის პრინციპით სარგებლობენ. გამოირჩევიან შეწყალებისა და მიტევების უნარით, შეუძლიათ სხვათა მიმართ გამოხატონ გულისხმიერება და მზრუნველობა, იყვნენ კომპრომისულები და თანამშრომლობით განწყობილნი, დაინახონ და დააფასონ როგორც საკუთარი, ასევე, სხვათა ღირებულებები და გამოხატონ პატივისცემა და მართებული გაგება სამყაროს მდიდარი კულტურული მრავალფეროვნებისა და ინდივიდუალობის გამოვლენის მიმართ.

მან თანამედროვე ახალი ამბების ინდუსტრიაში ორი ტენდენცია გამოყო: 1) ტრივიალური და განსაკუთრებული დატვირთვის არმქონე ახალი ამბები; 2) სერიოზული და საზოგადოებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ახალი ამბები; მან ამ ტენდენციებს „ცხელი ახალი ამბავი" და „თემატური ახალი ამბავი" უწოდა და აუდიტორიას თითოეულის განმარტებაც შესთავაზა: „ცხელი ახალი ამბავი", ესაა დროის თვალსაზრისით სრულიად ახალი ამბავი, რომლის მიწოდებაც აუდიტორიისათვის ცხელი წერტილიდან მაქსიმალურად ოპერატიულად ხდება. ასეთი ამბავია, მაგალითად, ძარცვა, მკვლელობა, სტიქიური უბედურება და ა.შ; „თემატური ახალია ამბავი", დროის თვალსაზრისით, მომენტალურ გაშუქებას არ საჭიროებს, თუმცა ინტერესს საზოგადოების მხრიდან შესაძლოა იწვევდეს. ასეთია, მაგალითად, მეცნიერების ან მედიცინის ახალი მიღწევები, მოდის ტენდენციები და ა.შ".

მოხსენებაში აღინიშნა, რომ ახალი ამბებისადმი საბაზრო მიდგომა ამტკიცებს, რომ ის გასაყიდი პროდუქტია და ამიტომ უნდა აწარმოო ის, რაც კარგად გაიყიდება. არასა-

მე-12 გვერდზე

ახალი სახელები სამეცნიერო სივრცეში

მეთერთმეტე გვერდიდან

ბაზრო მიდგომის თანახმად კი ახალი ამბები საზოგადოებრივი ინტერესის სადარაჯოზე უნდა იდგეს და საზოგადოების წინაშე ვალდებულებას უნდა ახსენებდეს როგორც მთავრობას, ასევე, ოპოზიციურ ბანაკს, კერძო სექტორს და საზოგადოების სრულიად განსხვავებულ ინსტიტუტებს.

ფლორა ესებუამ მოხსენებაში მოიყვანა ფრანგი სოციოლოგის პიერ ბურდიეს მტკიცება, რომ მასმედია, ძირითადად „ომნიბუს-მოვლენების“ წარმოებასა და გავრცელებაზეა ორიენტირებული. „ომნიბუსები“ არის ფაქტები, რომლებიც არავის აკვირვებს, რომელთა უკანაც არაფერი დგას, რომელიც არ იწვევს მტრული ჯგუფების გაჩენას და საყოველთაო კონსენსუსი მოაქვს. მისი თქმით, ამგვარ ფაქტებს შეუძლია ისე დააინტერესოს ყველა, რომ არ შეეხოს მნიშვნელოვან თემებს.

რა იწვევს ტელეეკრანებიდან კატასტროფების მაუწყებლობის გახშირებას?

ფლორა ესებუას აზრით, უბედურ შემთხვევათა ქრონიკა არის ელემენტარული და რუდიმენტული ინფორმაცია, რომელიც აინტერესებს ყველას და იკავებს მნიშვნელოვან საეთერო დროს, რომლის დათმობაც უფრო მნიშვნელოვანი თემებისთვის შეიძლებოდა.

მომხსენებლის აზრით, „ომნიბუსებით“, ანუ სრული სიცარიელით, ეთერის დაკავება ერთ მიზანს ემსახურება — გადაიფაროს უფრო მნიშვნელოვანი მოვლენა და კადრს მიღმა აღმოჩნდეს საინტერესო თემა. ამიტომაც მედია ძირითადად გართობაზე და მარტივი პროდუქტის (როგორიცაა, მაგალითად, კატასტროფები) წარმოებაზეა ორიენტირებული. ის გაჯერებულია „ომნიბუსებით“.

ფლორა ესებუამ ასევე ახსნა, რატომაა ამგვარი ინფორმაციის „წარმოება“ ტელევიზიებისთვის მომგებიანი: „News-ის პარალელურად არსებობს views-იც. ანუ უბრალოდ ამბავთან ერთად, არსებობს თვალსაზრისიც და ანალიტიკაც, მაგრამ ის არ არის პოპულარული პროდუქტი. ბურდიეს მტკიცებით, არსებობს ორი ტიპის მედია-მომხმარებელი: ეკონომიკური კაპიტალით მდიდარი კლასი, რომლის წარმომადგენლებიც ცოტას, უპირატესად „ომნიბუსებს“, კითხულობენ და კულტურული კაპიტალით მდიდარი კლასი, რომლებიც ბევრ, როგორც საზოგადოებრივ, ასევე ყოველდღიურ და ყოველკვირეულ გაზეთს ეცნობა. ვინაიდან კულტურული კაპიტალით მდიდარი კლასი უმცირესობაა, შესაბამისად ხდება უმრავლესობისთვის მიმზიდველი პროდუქტის — „ომნიბუსის“ წარმოება“, — აღნიშნა მან.

„ომნიბუსებით“, ანუ სრული სიცარიელით, ეთერის დაკავება ერთ მიზანს ემსახურება — გადაიფაროს უფრო მნიშვნელოვანი მოვლენა და კადრს მიღმა აღმოჩნდეს საინტერესო თემა. ამიტომაც მედია ძირითადად გართობაზე და მარტივი პროდუქტის (როგორიცაა, მაგალითად, კატასტროფები) წარმოებაზეა ორიენტირებული. ის გაჯერებულია „ომნიბუსებით“.

თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიის მიმართულების დოქტორანტმა თეა თოფჩიშვილმა საინტერესოდ ისაუბრა „კომუნიკაციისა და იდეოლოგიის“ თემაზე (ხელმძღვანელი თსუ-ის ასოცირებული პროფესორი ამირან ბერძენიშვილი).

მან ყურადღება გაამახვილა სოციალური აქტორის (სოციალური მოქმედი პირის) პოზიციის და დისპოზიციის ეფექტებით განპირობებულ ინტერესზე მეცნიერული თუ სხვა ტიპის თეორიების მიმართ, თეორიის გავრცელების პროცესზე ბუნების მეცნიერებებში, თეორიის დიფუზიის პროცესზე სოციალურ მეცნიერებებში, რაიმონდ ბუდონის თვალსაზრისზე მეცნიერული თეორიის შესახებ, რომელიც დიფუზიის პროცესში ყალბ იდეებს წარმოშობენ.

მომხსენებელმა საფუძვლიანი ანალიზი შემოგვთავაზა იმის შესახებ, თუ როგორ წარმოშობენ მეცნიერული თეორიები ყალბ იდეებს და რატომ ხდება ყალბი იდეების ადვილად მიღება. ამა თუ იმ თეორიით დაინტერესება ინდივიდის მხრიდან ხშირად არ არის მისი მეცნიერული ღირებულებით განპირობებული. ინტელექტუალური პროდუქტი, რომელიც მეცნიერულ სტატუსს პირველშემქმნელის დონეზე ფლობს, საბოლოო მომხმარებლის დონეზე უკვე მითის ფორმას იღებს. სუბიექტის მხრიდან თეორიის მეცნიერული სტატუსის აღრევა ამ თეორიის სარგებლიანობასთან, იდეოლოგიის წარმოშობის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს.

მოხსენებას საინტერესო დასკვნა ახლდა: „სოციალურ აქტორს (სოციალურ მოქმედ პირს) მეცნიერული თუ სხვა ტიპის თეორია ხშირად იმდენად აინტერესებს, რამდენადაც ის ინდივიდს ეხმარება — უკეთ განსაზღვროს მისი როლის საზღვრები და მიზნები, რომლის მიღწევასაც ის ცდილობს. ასევე ის საშუალებები, რომელიც ამ ამოცანების მისაღწევად არის საჭირო. თუმცა ინდივიდი იშვიათად აღიქვამს ამ თეორიებს, როგორც თეთრ ყუთს, ანუ როგორც გამჭვირვალე მოსაზრებების ერთობლიობას. იდეას ან თეორიას მაშინ შეუძლია გახდეს გავლენიანი, თუ ის სპეციფიკური ჯგუფის ყურადღებას იპყრობს. ეს კეთილგანწყობა ხშირად იმის შედეგია, რომ არსებობს შესაბამისობა თეორიასა და ამ ჯგუფისთვის დამახასიათებელ დისპოზიციებსა თუ როლის მონაცემებს შორის. როდესაც თეორიას იზიარებს ერთი ან რამდენიმე სპეციფიკური ჯგუფი და როდესაც ის ამ ჯგუფის მიერ განიხილება, როგორც ,,შავი ყუთი", ხშირად ხდება, რომ მათი დასკვნები გამარტივებული, დეფორმირებული და რადიკალურია“.

კონფერენციაზე, ასევე, საინტერესო მოხსენებები წარმოადგინეს დოქტორანტებმა: გელა ცაავამ („კონფლიქტები აფხაზეთში და საქართველო-რუსეთის ურთიერთობების პერსპექტივების განსაზღვრა“); რუსუდან მახარაძემ („პოლიტიკური ლიდერი: მახასიათებლების ანალიზი“); მირანდა გიორგაშვილმა („კრეატიული აზროვნება — ტექნიკები და მათი გამოყენება“); მაია მანჩხაშვილმა („ყარაბაღის საკითხი თურქულ-აზერბაიჯანულ ურთიერთობაში“); გიორგი აბუსერიძე („ფინანსური გლობალიზაცია და საქართველო“); თამარ ქარაიამ („დაყოფილი მეხსიერება: ისტორიის სახელმძღვანელოები და წარსულის სამი ვერსია“); ეკა დარბაიძემ („რუსეთისა და მისი მეზობელი სახელმწიფოების ორმხრივი ურთიერთობები“); მამუკა ანდღულაძემ („მედიის ცნება და შინაარსი თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოში“); გიზო ჭელიძემ („საქართველო ევროკავშირში-სტუდენტების თვალით დანახული პერსპექტივები“) ლია თეთრაძემ („ახალი ტექნოლოგიების როლი საარჩევნო კამპანიაში“); და სამეულმა ხათუნა მარწყვიშვილის, მაია მესტვირიშვილის და ლუიზა არუთინოვის შემადგენლობით („როცა ჩემი ემოციები მესმის: ემოციური ინტელექტის როლი სტრესთან გამკლავების პროცესში“).

ახალგაზრდა მეცნიერთა და დოქტორანტთა სამეცნიერო კონფერენცია უკვე ტრადიციულად იმართება. რაც იმაზე მეტყველებს, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მეცნიერული კადრების აღზრდაზე სერიოზულად მუშაობენ. კონფერენციის თემატიკა დასტურია იმისა, რომ ქართულ სამეცნიერო სივრცეში ახალი იდეები და ახალი სახელები შემოდის.

მოამზადა **მაია ტორაძემ**

ივლინება

რუსული ენისა და ლიტერატურის მსოფლიო ასოციაციის პრეზიდიუმის ახალი წევრი

თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი დავით გოცირიძე რუსული ენისა და ლიტერატურის მსოფლიო ასოციაციის პრეზიდიუმის წევრად ასოციაციის მიერ გამართულ მსოფლიო XII კონგრესზე აირჩიეს. იგი მომდევნო 4 წლის განმავლობაში რუსული ენისა და ლიტერატურის მსოფლიო ასოციაციის აღმოსავლეთ ევროპის მიმართულებას გაუწევს კოორდინაციას. პროფესორი **დავით გოცირიძე** *ამ ასოციაციის საორგანიზაციო კომიტეტის წევრიც გახლავთ.*

ნატო ოგოლაძე

რუსული ენისა და ლიტერატურის მსოფლიო ასოციაციამ რიგით XII მსოფლიო კონგრესი — „რუსული ენა და ლიტერატურა დროსა და სივრცეში“ 10 მაისს ჩინეთის ქალაქ შანხაიში გამართა. კონგრესი 5 დღის განმავლობაში გრძელდებოდა და მასში 109 ქვეყნიდან 6000 წარმომადგენელი მონაწილეობდა. საქართველოდან საერთაშორისო ღონისძიებაზე მოხსენებები წარადგინეს: თსუ-ის პროფესორმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა დავით გოცირიძემ, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ადმინისტრაციის თანამშრომელმა ხატია ხატიაშვილმა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა მარინა არაშიძემ.

საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესზე 15 სამუშაო სექცია იყო გამოყოფილი: სახელმწიფო ენის პოლიტიკა — რუსული ენის როლი და ადგილი სახელმწიფოში და სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაში; რუსული სამყარო: რუსული მენტალიტეტი და რუსული კულტურა თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში; ახალი თანამედროვე რუსული ენის სისტემური და სტრუქტურული აღწერა; რუსული ენა — დიაქრონია და დინამიკა ენის განვითარების პროცესებში; ენა, ცნობიერება, კულტურა; თანამედროვე რუსული ენა ერთენოვანი და ორენოვანი ლექსიკონების სარკეში; რუსული ენა – კვლევის კომუნიკატურ-პრაგმატული ასპექტები; რუსული ენა საერთაშორისო კულტურულ კომუნიკაციაში XXI საუკუნის დასაწყისში; რუსული ენისა და სხვა ენების შედარებითი შესწავლა: ლინგვისტური და მეთოდოლოგიური ასპექტები; რუსული ენის აღწერა სასწავლო მიზნებში; რუსული ენის, როგორც უცხო ენის, სწავლების ისტორია და სწავლების ახალი მეთოდები; თარგმნა როგორც კულტურათაშორისი ურთიერთგაგების საშუალება, შესწავლის და სწავლების საგანი; რუსული ლიტერატურა მსოფლიო ლიტერატურულ პროცესებში: ისტორია და აწმყო; რუსული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა; რუსული კულტურის სწავლება და შესწავლა;

მსოფლიო კონგრესზე „რუსული ენა და ლიტერატურა დროსა და სივრცეში“ პროფესორმა დავით გოცირიძემ წარადგინა მოხსენება — „სოციალური კომუნიკაციების ევოლუცია და საზოგადოების ინფორმაციული მთლიანობა“.

„ამ კონგრესში მონაწილეობის მიღება, პროფესიული თვალსაზრისით, ძალიან მნიშვნელოვანია. მოხსენებების შერჩევის პროცესი საკმაოდ მკაცრად მიმდინარეობდა და მასში მონაწილეობა უკვე მაღალ პროფესიულ მომზადებაზე მეტყველებს. მოხსენებების თემატიკა და ის ფაქტი, რომ ახალ ფორმატში წარვმართეთ დისკუსია, ძალიან სასარგებლო გახლდათ მონაწილეებისთვის. ჩვენ გვერდი ავუარეთ მოხსენებების წარდგენის ტრადიციულ მეთოდს, ვებ-გვერდზე განვათავსეთ ყველა ნაშრომი და დამსწრე საზოგადოებას შესაძლებლობა ჰქონდა — წინასწარ გასცნობოდა მათ, ამიტომ მოხსენებების მოსმენაზე დრო აღარ დაგვიკარგავს. ყველა გამომსვლელი მოკლედ აყალიბებდა თავის სათქმელს და შემდეგ იწყებოდა დისკუსია, აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ასეთ ცოცხალ დისკუსიაში ძალიან ბევრი საინტერესო და მნიშვნელოვანი აზრის დადგენა შეიძლება“, — განაცხადა დავით გოცირიძემ.

აღსანიშნავია, რომ კონგრესზე ასოციაციის წევრი ქვეყნების წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს მემორანდუმს, რის შედეგადაც მრავალმხრივი ხელშეკრულების დადება იგეგმება. ამ დოკუმენტის ძალაში შესვლის შემდეგ კი 109 ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლები ახალ სამეცნიერო ლიტერატურას ერთმანეთს ყოველგვარი გადასახადის გარეშე მიაწვდიან. როგორც დავით გოცირიძემ განაცხადა, ამ დროისთვის სასწავლო პროცესისთვის თუ სამეცნიერო კვლევებისთვის საჭირო ყველა მასალა ხელმისაწვდომი არ არის და მის მისაღებად გარკვეული რაოდენობის თანხის გადახდაა საჭირო.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲯᲐᲭᲕᲣᲚᲜᲘ

ᲡᲢᲣᲛᲠᲐᲓ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠ ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲤᲘᲚᲘᲜᲐᲡᲗᲐᲜ

„მიუხედავად იმისა, რომ ჩემს ძარღვებში ხუთი ერის სისხლი ჩქეფს, მე, უპირველეს ყოვლისა, ქართველი ვარ და ჩემი სამშობლო საქართველოა“, — ასე აგვიხსნა საკუთარი წარმომავლობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრულმა პროფესორმა მარიამ ფილინამ.

თუ მის მოღვაწეობას და ქართულ-პოლონურ ურთიერთობაში შეტანილ წვლილს გადავხედავთ, გაგვიჩნდება შეგრძნება, რომ ამ ადამიანს ყველა საქმე მართლაც საქართველოს სიყვარულით უკეთებია და პოლონეთ-საქართველოს ისტორიული ურთიერთობის ფესვებიდან ამოუკრეფია ორი ერის სულიერი ნათესაობის მაგალითები, რომელზეც დღეს ამ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებია დამყარებული.

მარიამ ფილინა ცნობილი საზოგადო მოღვაწეების ოჯახში დაბადებულა. დედა — ირინა მელიქ-ბახტამიანი, საქართველოს დამსახურებული გამომგონებელი და პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორი გახლდათ. ის იყო საქართველოში მცხოვრები ორი ქალი-გამომგონებლიდან ერთ-ერთი, რომლის სახელზეც 50 პატენტი და გამოგონებაა დაფიქსირებული. რაც შეხება მამას, ანატოლი ფილინს, მას კარგად იცნობდა ძველი თბილისი, როგორც ცნობილ მეცნიერსა, მხატვარს და პედაგოგს.

„საქართველოში ცხოვრების 23 წლის განმავლობაში შევიგრძენი ქართული ტრადიციის არომატი, შევიგრძენი სიხარული და ტკივილი ამ პატარა, მაგრამ ნათელი ქვეყნისა“, — ამბობს თავის მემუარებში ანატოლი ფილინი, რომელმაც თბილისსა და პეტერბურგში ცხოვრების შემდგომ, საბოლოოდ, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ბოსტონის ახლოს დაიდო ბინა. ანატოლი ფილინმა, ცნობილმა კონსტრუქტორმა და პეტერბურგის გემმშენებლობის ინსტიტუტის კათედრის ყოფილმა პროფესორმა, დიდი წვლილი შეიტანა თბილისის სპორტის სასახლისა და ენგურჰესის მშენებლობის საქმეში. იგი გახლავთ კარგი თბილისელი, კარგი რუსი და კარგი ებრაელი, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება შეალია აღზრდას მომავალი თაობისა, რომელთა შორის ქართველიც ბევრი იყო.

სწორედ ასეთ ოჯახში აღიზარდა ქალბატონი მარიამ ფილინა, რომელმაც ბებიის, პოლონელი კლასიკოსების შთამომავლის, ქალბატონ ელიზა ოჟეშკოს ოცნება აასრულა და ქართულ-პოლონური ურთიერთობების შესწავლას მთელი ცხოვრება მიუძღვნა.

ქალბატონი მარიამ ფილინა იმდენად საინტერესოდ საუბრობს საკუთარ ცხოვრებაზე, რომ ჩარევა ზედმეტად ჩავთვალეთ და გადავწყვიტეთ, თავადვე მოეთხრო მკითხველისთვის ცხოვრების ძირითადი ეტაპების შესახებ.

ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘ

„43-ე სკოლა დავამთავრე სოლოლაკში. ფილოლოგია არ მაინტერესებდა. მინდოდა კინომცოდნე ან თეატრმცოდნე გამოვსულიყავი, მაგრამ მაშინ საქართველოში ამ მიმართულებების რუსული სექტორი არ არსებობდა, ამიტომ სწავლა რუსულ ფილოლოგიაზე განვაგრძე. პირველივე ჩემი სადიპლომო თემა ქართულ-პოლონურ ურთიერთობებს ეხებოდა. ეს იყო ბებიაჩემის ოცნება. მან ძალიან კარგად იცოდა პოლონური ენა, მაგრამ, საბჭოთა სისტემის წინააღმდეგობის გამო, არასოდეს ყოფილა პოლონეთში და ოცნებობდა, რომ მე და ჩემს ძმას მჭიდრო კავშირები გვქონოდა მის სამშობლოსთან.

პოლონური ენა ბებიამ მასწავლა. მისი წყალობით ბავშვობაში ბევრს ვკითხულობდი და იმდენად კარგად შევისწავლე, რომ, როცა პოლონეთის მთავრობამ მაღალი ხარისხის ორდენით დამაჯილდოვა, პოლონელმა ჟურნალისტებმა მკითხეს, როდის წახვედით პოლონეთიდანო. ვუპასუხე, რომ ეს დაახლოებით 1863 წელს მოხდა და მართალიც ვიყავი, რადგანაც პოლონეთიდან წამოსული ადამიანების მე უკვე მეხუთე თაობა ვარ.

1974 წელს, როცა სადიპლომო ნაშრომზე ვმუშაობდი, როგორც ტურისტი, ისე ჩავედი პოლონეთში. ამ ტურისტულ ჯგუფში, ჩვეულებრივ, ის ადამიანები გაერთიანდნენ, რომლებიც ტანსაცმლით და სხვა ნივთებით იყვნენ დაინტერესებულნი. ამიტომ ჩავედით თუ არა პოლონეთში, მათ მაშინვე მაღაზიებს მიაშურეს, მე კი ავიღე სატელეფონო წიგნი, რომელშიც გვარების გასწვრივ მითითებულია, ვინ რა პროფესიისაა და დავიწყე იმ პოლონელ მოღვაწეებთან დარეკვა, რომელიც ჩემთვის სამეცნიერო მასალებიდან იყვნენ ცნობილნი. სატელეფონო ცნობარში მივაგენი პოლონეთში ცნობილ მოღვაწეებსა და მთარგმნელებს — ზაგურსკებს.. მოულოდნელი რამ მოხდა. მათ მაშინვე მიმიწვიეს თავისთან.

აღმოჩნდა, რომ ამ ოჯახში იყო მიკროქართული სამყარო. ეჟი ზაგურსკი მაშინ პროფესორ იან ბრაუნთან ერთად თარგმნიდა „ვეფხისტყაოსანს“, ხოლო მისი მეუღლე, ქართულ პროზას. ჩემი წარმატება დიდად განაპირობა ამ ადამიანებთან ურთიერთობამ, რადგან ძალიან ბევრი საინტერესო მასალა ჩამოვიტანე საქართველოში.

ზაგურსკების მეშვეობით გავიცანი სევერიან პოლიაკი, რომელიც დაახლოებული იყო ქართულ საზოგადოებასთან, მათ შორის, სიმონ ჩიქოვანთან, გოგლა ლეონიძესთან და გალაკტიონთან.

პოლონელ მოღვაწეთა ამ წრესთან დაახლოებამ ჩემი მომავალი განსაზღვრა. უკვე ძალიან სერიოზულად შევუდექი ქართულ-პოლონური ურთიერთობის შესწავლას, რასაც მოჰყვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ქართულ-პოლონური ლიტერატურული ურთიერთობანი XIX—XX საუკუნეებში“.

ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ „ᲞᲝᲚᲝᲜᲘᲐ“

„მე გახლავართ საქართველოს პოლონელთა კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის „პოლონია“ დამფუძნებელიც, თავმჯდომარეც, დამლაგებელიც და „მსხვერპლიც“.

1994 წელს, როცა თბილისში საშინელი საცხოვრებელი პირობები იყო, პოლონეთში მიმიწვიეს „მსოფლიო პოლონური მედიების ფორუმზე“. სიმართლე გითხრათ, არ ვაპირებდი იქ სიტყვით გამოსვლას, მაგრამ მაინც მომიწია, რადგან კავკასიიდან მარტო ვიყავი, თანაც საზოგადოება კავკასიაში მცხოვრები პოლონელების ბედით დაინტერესდა. მეც ვიფიქრე, კარგი იქნებოდა, თუ მათ გავაცნობდი ჩვენს რეგიონში დასახლებული პოლონელების ცხოვრებას. განსაკუთრებით გამოვყავი საქართველო, რადგან პოლონელებსა და ქართველებს შორის ნამდვილად განსაკუთრებული ურთიერთობა იყო. აქ საუკუნეების განმავლობაში ცხოვრობდნენ პოლონური წარმოშობის მწერლები, რეჟისორები, მხატვრები და სხვა პროფესიის ადამიანები, რომლებიც ქართველი ხალხის ჭირვარამს იზიარებდნენ. უფრო მეტიც, საქართველოში გვხვდებოდა (და დღესაც გვხვდება) ცნობილი პოლონური გვარები — მიცკევიჩი, სენკევიჩი, მეშეკი, პონიატივსკი და სხვები, რომელიც უკვე პოლონეთშიც იშვიათობაა.

მაშინ, როცა ფორუმზე გამოვდიოდი, საქართველოში მძიმე პერიოდი იდგა და ერთნაირად უჭირდა ქართველსაც და პოლონელსაც, მათი პენსია მხოლოდ ერთნახევარი კვერცხის შეძენას ჰყოფნიდა. ეს ფრაზა იქაც ვთქვი და იმდენად გამაოგნებელი აღმოჩნდა, რომ პრესის ფურცლებზე მოხვდა. მეორე დღეს დამპატიჟა პოლონეთის სენატის თავმჯდომარემ, რომელიც მსოფლიო „პოლონიის“ მფარველად მიიჩნევა და შემომთავაზა – რადგანაც საქართველოში არც ერთი პოლონური ორგანიზაცია არ არის, შექმენით და ჩვენ მოგეხმარებითო. მაშინ დავიწყე ამაზე ფიქრი და 1995 წელს დავაფუძნე ორგანიზაცია „პოლონია“, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა. აქ გაიმართა პირველი კრება, რომელზეც მოვიდნენ პოლონელები და პოლონური წარმოშობის ადამიანები.

ცოტა ხნის შემდეგ მიმიწვიეს პოლონეთის სენატში, სადაც ვისაუბრე იმ საინტერესო პოლონურ კვალზე, რომელიც საქართველოს ბოლო საუკუნეების ისტორიაში ჩანდა. ამ ისტორიამ დიდი დაინტერესება გამოიწვია, რასაც ცხადია მოჰყვა კავშირების კიდევ უფრო განმტკიცება ჩვენს ორგანიზაციასა და პოლონეთის საზოგადოებასთან.

ორგანიზაციას მოჰყვა საკვირაო სკოლის შექმნა, რამაც კარგი შედეგი მოგვცა იმ მხრივ, რომ დავიწყეთ პოლონური ენისა და ტრადიციების გაცნობა იმ მოსწავლეებისთვის, რომელთაც პოლონური ფესვები ჰქონდათ. ამჯერად მე ამ სკოლასთან მხოლოდ ვთანამშრომლობ, რადგანაც გავხსენი პოლონური ენის კურსები არა მხოლოდ პოლონელებისთვის, არამედ ყველა დაინტერესებული ადამიანისთვის.

უნდა აღინიშნოს, რომ ორგანიზაცია „პოლონიას“ ფარგლებში ბევრი რამ გავაკეთეთ: ჩავატარეთ კონფერენციები, კონოჩვენებები, ფესტივალები, კონცერტები, გამოფენები და უამრავი სხვა ღონისძიება. აქ ჩამოსული პოლონელი სტუმრები მუდმივად აღნიშნავენ, რომ ამ ორგანიზაციაში ჭეშმარიტად პოლონური ელიტაა წარმოდგენილი და ყველა ღონისძიება შინაარსობრივად დატვირთული და საინტერესოა.

„პოლონია“ ჩემი მეორე შვილია.

სხვათა შორის, როცა საკუთარ ბიოგრაფიას გადავხედავ, ძალიან ლამაზად არის ჩამოწერილი: „დაამთავრა“... „დაიცვა დისერტაცია“... „დააარსა“... დაჯილდოვდა ორდენებით“ და ა.შ, სინამდვილეში კი ამ მშრალი ფრაზების მიღმა უზარმაზარი ძალისხმევა და შრომაა ჩადებული. ეს ძალიან რთული წლები და პროცესები იყო... რომ მცოდნოდა წინ რა მელოდა, არც ვიცი, დავიწყებდი თუ არა ამ ორგანიზაციის დაარსებაზე ფიქრს“.

ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲐ

„ვარ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ასევე, 150 სამეცნიერო სტატიისა და 2 მონოგრაფიის ავტორი.

ჩემი ბოლოდროინდელი ნაშრომებიდან გამოვარჩევ 2005 წელს დაბეჭდილ ნაშრომს „პოლონურ-ქართული ლიტერატურული კონტაქტების შესახებ (სევერიან პოლიაკი სიმონ ჩიქოვანის შესახებ)“; 2004 წელს დაბეჭდილ ნაშრომს — „პოლონელ „კავკასიელ

პოეტთა“ ჯგუფის როლი პოლონურ-ქართულ ურთიერთობათა განვითარებაში“ (დაიბეჭდა კრებულში „პოლონელები საქართველოში“, რომელიც ერთობლივად გამოსცა ვარშავისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტების გამომცემლობებმა). ამავე წელს გამოქვეყნებულ ნაშრომს — „ქართულ-პოლონური ლიტერატურული კავშირების ისტორიიდან“ (კრებულში „პოლონელების 200 წელი კავკასიაში“) და სხვა.

განსაკუთრებით უნდა ვისაუბრო წიგნზე „პოლონელთა ბედი კავკასიაში“ XIX ს-ის პირველი ნახევარი“, რომელიც 2007 წელს დანუტა ოსოვსკასთან ერთად გამოვეცი. ეს გახლავთ საფუძვლიანი მიმოხილვა პოლონელების როლზე კავკასიაში. მასში პოლონურ ენაზეა დაბეჭდილი ანთოლოგია, სადაც შევიდა კვლევები, მოგონებები და წერილები, რომელიც კავკასიურ ომს მიმოიხილავს.

ასევე მინდა გამოვყო „პოლონურ-ქართული საბავშვო ლიტერატურული ალმანახი“, რომელიც თბილისის ბავშვთა საკრებულომ გამოსცა 2009 წელს და რომლის მეცნიერ-კონსულტანტი დანუტა ოსოვსკასთან და ნათელა ნადიბაიძესთან ერთად, მეც გახლდით. წიგნი სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით დაიბეჭდა. მასში შევიდა პოლონური ზღაპრები, ლექსები და პროზაული ნაწარმოებები, რომელიც თავად ბავშვებმა თარგმნეს და დაასურათეს. ამ საქმეში 100 მოზარდი იყო ჩართული. მათ შორის ყველა ქართველი გახლავთ და შესანიშნავი თარგმანები მოგვაწოდეს. რაც შეეხება წიგნის პრეზენტაციას, ეს იყო ნამდვილი დღესასწაული, რომელიც ასევე დღესასწაულად მონათლეს პოლონელმა სტუმრებმა.

მეამაყება, რომ ჩვენთან თანამშრომლობს არა მხოლოდ პოლონური, არამედ ქართული ელიტარული საზოგადოებაც, ჩვენი ხშირი სტუმრები იყვნენ და არიან მიხეილ ქვლივიძე, გივი ალხაზიშვილი, გოგი შავერზაშვილი, ვაჟა აზარაშვილი და სხვები“.

ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲔᲠᲘᲡ ᲨᲔᲠᲔᲣᲚᲘ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡᲐ...

„სამწუხაროდ, მხოლოდ ერთი ვაჟი მყავს – ლევან რამიშვილი, რომელმაც ხელოვნების ფაკულტეტი სპეციალობით „კინორეჟისორი და ოპერატორი” დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მას ახლა საკუთარი სტუდია აქვს და მცირე შეკვეთებს იღებს მხოლოდ. მასაც იგივე პრობლემები აქვს, რაც ბევრ ახალგაზრდას საქართველოში, მაგრამ ამაზე არ წუწუნებს, ამ ქვეყნის პატრიოტია და არასოდეს უფიქრია სხვაგან ცხოვრებაზე. სხვათა შორის, წლების წინ მქონდა შანსი პოლონეთში გვეცხოვრა. ჩავედით კიდეც იქ, მაგრამ ჩემმა შვილმა აიკვიატა — თბილისში, ჩემს სახლში მინდაო და წინააღმდეგობა ვერ გავუწიე. სიმართლე გითხრათ, მუდმივად არც მე შემიძლია სხვაგან ცხოვრება, საბოლოოდ ისევ აქ უნდა დავბრუნებულიყავი, მაგრამ ჩემმა შვილმა ის „ცოტა ხანიც“ ვერ გაძლო უთბილისოდ.

ჩვენ მთელი არსებით გადაჯაჭვულნი ვართ საქართველოზე. ვფიქრობ, რომ მიუხედავად ამდენი ერის შერეული სისხლისა, რომლითაც ვამაყობ, მაინც ქართველი ვარ. ჩემი სამშობლო საქართველოა“.

მოამზადა
ᲛᲐᲘᲐ ᲩᲝᲠᲐᲫᲔ

ქართული აღმოჩენა ინგლისურ ფილოლოგიაში

შურთხია ბეროშვილი

თსუ-ის რუსთაველის კაბინეტში, რომელსაც წლების მანძილზე, ცნობილი ქართველი მეცნიერი ელგუჯა ხინთიბიძე ხელმძღვანელობს, არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა ქართული კულტურის პოპულარიზაციის თვალსაზრისით.

თსუ-ის პროფესორის ელგუჯა ხინთიბიძის ახალი მონოგრაფია „რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ და ევროპული ლიტერატურა“ ერთი თვეა, რაც ინგლისში გამომცემლობა „Bennett and bloom“ -ის მიერ გამოიცა, მაგრამ მას უკვე მოჰყვა გამოხმაურება და შეფასებები ევროპულ სამეცნიერო წრეებში. ავტორმა უკვე მიიღო ორი წერილი ინგლისის ბიზანტინისტთა საზოგადოების საპატიო თავმჯდომარისგან ანტონი ბრაიერისგან, რომელიც აღნიშნავს, რომ ნაშრომი სერიოზული შენაძენია მსოფლიო მეცნიერებისთვის. ელგუჯა ხინთიბიძემ მილოცვა მიიღო საქართველო-ინგლისის მეგობრობის საზოგადოების თავმჯდომარის სტივენ ნეშისგანაც, რომელიც აღნიშნავს, რომ ეს შესანიშნავი წიგნი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ თანამედროვე ევროპული საზოგადოებისთვისაც. ქართველი მეცნიერის ბოლო მონოგრაფიას მაღალი შეფასება მისცეს ბიზანტინისტიკის, ქართველოლოგიისა და არმენოლოგიის სპეციალისტმა რობერტ ტომპსონმა და ქართველოლოგიური სკოლის აღზრდილმა და ინგლისელმა ქართველოლოგმა ანტონი სტობარტმა.

წიგნი „რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ და ევროპული ლიტერატურა“, პირველ რიგში, საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ მასში მკაფიოდ არის ასახული ქართული სულიერი კულტურის კავშირები ევროპულ ცივილიზაციასთან, რომელსაც ჯერ კიდევ შორეულ წარსულში აქვს ფესვები გადგმული. ნაშრომში ვრცლად არის საუბარი იმ ფაქტზე, თუ რამდენად იყო დაინტერესებული ევროპა, მათ შორის ინგლისი, ქართული კულტურით, განსაკუთრებით „ვეფხისტყაოსნით“. როგორც თსუ-ში გამართულ წიგნის პრეზენტაციაზე აღინიშნა, ქართული კულტურის წარმოსაჩენად შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა სავიზიტო ბარათია საერთაშორისო ასპარეზზე, ვინაიდან სწორედ მის შემოქმედებაში აისახა ყველაზე ნათლად როგორც ქართული კულტურისა და აზროვნებისათვის ნიშანდობლივი არსებითი პრინციპები, ასევე, შუა საუკუნეების მსოფლიო ცივილიზაციის პროგრესული მიმართულებები.

რუსთაველის მსოფლმხედველობა, მისი მხატვრულ-ესთეტიკური ნააზრევი, რომელიც, მეტწილად, ქართული სულიერი კულტურის საფუძველზეა ამოზრდილი, ევროპული ცივილიზაციის ნაწილია. პროფესორ მაკა ელბაქიძის აზრით, წიგნის ავტორს ამ თვალსაზრისის დასასაბუთებლად ორიგინალური გზა აქვს არჩეული. კერძოდ, მონოგრაფიაში დასმულია რამდენიმე მნიშვნელოვანი კითხვა: ვინ იყო შოთა რუსთაველი და რა ვიცით მის შესახებ? როგორ და რა პირობებში მოხდა მისი პოეტური ნაზრევისა და მსოფლმხედველობის ფორმირება? რამ განაპირობა გვიანდელი შუა საუკუნეების პოეტის აზროვნებაში რენესანსული ელემენტების არსებობა და სხვა. მონოგრაფიაში გამოთქმული და დასაბუთებულია სრულიად ახალი და, შეიძლება ითქვას, სენსაციური ვარაუდი, რომ „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტი XVII საუკუნის დასაწყისში ინგლისელებისთვის უკვე ცნობილი იყო და მას შექსპირის თანამედროვე დრამატურგები თავიანთ ნაწარმოებებშიც იყენებდნენ. ფრანსის ბომონტისა და ჯონ ფლეტჩერის ორივე პიესის — „ფილასტერის“ და „მეფე და არა მეფეს“ სიუჟეტებში, ელგუჯა ხინთიბიძის ვარაუდით, გამოყენებულია სწორედ „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტი. მეცნიერის აზრით, საყურადღებოა ის გარემოება, რომ ამ ნაწარმოებების სიუჟეტურ წყაროს ინგლისური ლიტერატურული კრიტიკა დღემდე უცნობად მიიჩნევს, ამათგან ერთ-ერთ პიესაში — „მეფე და არა მეფეს“ ასახული მოქმედებანი კი იბერიაში მიმდინარეობს. ეს აღმოჩენა სრულიად ახალ პერსპექტივებს შლის რუსთველოლოგიური მეცნიერების წინაშე: მიუხედავად იმისა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლას რენესანსზე გარდამავალი ეპოქის ისტორიულ-ლიტერატურული თუ ფილოსოფიურ-ესთეტიკური პროცესების ფონზე საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს, ახლა უკვე ცხადი ხდება, რომ კვლევა სხვა მიმართულებითაცაა საჭირო. ქართველი მეცნიერის, ელგუჯა ხინთიბიძის მიერ მიგნებულია XVII საუკუნის დასაწყისის ინგლისური დრამატურგიის გენეტიკური კავშირი „ვეფხისტყაოსანთან“.

ელგუჯა ხინთიბიძის წიგნის „რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ და ევროპული ლიტერატურა“ პრეზენტაციას, რომელიც 6 ივნისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა, ქართველ მეცნიერთა ფართო სპექტრი დაესწრო. ელგუჯა ხინთიბიძის ინგლისში გამოცემულ უახლეს რუსთველოლოგიურ მონოგრაფიაზე ისაუბრა პროფესორმა მაკა ელბაქიძემ; წიგნის შესახებ მოხსენება — „ქართული აღმოჩენა ინგლისურ ფილოლოგიაში“ წარმოადგინა პროფესორმა ინესა მერაბიშვილმა; ელგუჯა ხინთიბიძის ნაშრომზე თავისი მოსაზრება გამოთქვეს პროფესორებმა თამაზ გამყრელიძემ, რისმაგ გორდეზიანმა, ნოდარ ლომოურმა, მარიკა ქაჯაიამ და ლაურა გრიგოლაშვილმა.

აღსანიშნავია, რომ წიგნი პროექტის — „მცირერიცხოვან ერთა დიდი კულტურა“ ფარგლებში გამოიცა. ინგლისში გამოცემული წიგნის თარგმანი ეკუთვნის პროფესორ არიანე ჭანტურიას. წიგნს დართული აქვს ილუსტრაციები, რაც უცხოელ მკითხველს საშუალებას მისცემს გაეცნოს უძველეს ქართულ ხელნაწერებს, მათ შორის, მამუკა თავქალიშვილისეულ და ბეგთაბეგისეულ ნუსხებს, რომელიც XVII საუკუნეშია შესრულებული.

წიგნის პრეზენტაციაზე ელგუჯა ხინთიბიძემ დამსწრე საზოგადოებას თავისი კიდევ ერთი ახალი მონოგრაფია — „ვეფხისტყაოსნის“ იდეურ-მსოფლმხედველობითი სამყარო“ გააცნო, რომელიც ერთგვარად ასრულებს მეცნიერის კვლევა-ძიებას „ვეფხისტყაოსნის“ მსოფლმხედველობის საკითხებზე. მონოგრაფიაში წარმოდგენილია „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ სახეთა, თეოლოგიურ-ფილოსოფიურ დებულებათა კვლევა.

შეხვედრაზე ელგუჯა ხინთიბიძემ წაიკითხა თავისი ახალი მოხსენება — „რა გზით შეიძლებოდა მისულიყო „ვეფხისტყაოსნის ამბავი XVII საუკუნის დასაწყისში ინგლისში“, რომელშიც მკვლევარი აგრძელებს ინგლისში გამოცემულ წიგნში დასმული პრობლემატიკის კვლევა-ძიებას. ელგუჯა ხინთიბიძემ საზოგადოებას სრულიად ახალი მეცნიერული დასაბუთება გააცნო, რომელმაც შეხვედრაზე დამსწრე მეცნიერთა ერთსულოვანი მოწონება დაიმსახურა.



„დიდი აფეთქება“ ჟურნალისტის ბიბლიოთეკაში

„დიდი აფეთქება არაფერ შუაშია. არადა, კითხვა — „რისგან შედგება სამყარო?“, როგორც ჟურნალისტს, მეც არ მასვენებს... მიშელ უილბეკის ცნობილი ბესტსელერიც არაფერ შუაშია — უილბეკის „ელემენტარული ნაწილაკები“ წიგნის თაროზე მიდევს“ — ასე იწყებს ავტორის წინასიტყვაობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების ხელმძღვანელი მარიამ გერსამია, რომელიც ახლად გამოსული თავისი წიგნის სახელწოდებას — „ელემენტარული ნაწილაკები ჟურნალისტიკაში“ იმით ხსნის, რომ ჟურნალისტური ტექსტი სწორედაც იმ მცირე ნაწილაკებისგან შედგება, რომელსაც იგი დაწვრილებით განიხილავს სახელმძღვანელოში.

მაია ტორაძე

იმ ფონზე, როცა უნივერსიტეტის სტუდენტთა ნაწილი სამართლიანად ჩივის სასწავლო სახელმძღვანელოების ნაკლებობაზე, წიგნი, რომელიც გამომცემლობა „უნივერსალმა“ გამოსცა, ნამდვილად საჩუქარია მათთვის, ვინც ჟურნალისტიკის მიმართულებაზე „ანალიზსა და თვალსაზრისს“ შეისწავლის.



რა ელემენტებისაგან შედგება ინფორმაცია? რისგან შედგება მედია-ტექსტი? რას მოიცავს ჟურნალისტიკაში ანალიტიკა? როგორ იწერება თვალსაზრისი ან საავტორო სვეტი? რა არის ჟურნალისტიკა მეცნიერების შესახებ? — ამ კითხვებზე სცემს პასუხს სახელმძღვანელო სტუდენტებს, ჟურნალისტიკის მიმართულების პედაგოგებსა და მედიის კვლევით დაინტერესებულ მკითხველს.

იგი აგებულია ყველა იმ პრინციპის გათვალისწინებით, რომელიც სტუდენტს ანალიზის სახეების გაცნობას და ანალიტიკური მასალის სწორად წერას გაუადვილებს. ყველა თავს ახლავს დავალებები სტუდენტებისათვის და რეკომენდაციები ლექტორებისთვის, სახელმძღვანელოს ბოლოს კი მოცემულია გლოსარიუმი, რომელშიც ყველა ის სპეციფიკური ტერმინია განმარტებული, რომელსაც წიგნში (და თანამედროვე ჟურნალისტიკაში) ვხვდებით.

ავტორი სახელმძღვანელოს პირველ თავში სტუდენტებს აცნობს ანალიზის ელემენტებს მედია-ტექსტში და პრაქტიკულ რჩევებს იძლევა — როგორ უნდა მოხდეს ანალიტიკურ მასალაში ინფორმაციის სწორი სელექცია, მისი დამუშავება-ვერიფიკაცია და რედაქტირება. იგი განიხილავს თანამედროვე სტატიის სახეებს: ედიტორიალს, ოპედს და საავტორო სვეტების თავისებურებებს. აღსანიშნავია, რომ, ქართულ ბეჭდურ მედიაში გამოქვეყნებულ მასალებთან ერთად, იგი მიმოიხილავს უცხოურ მედიაში დაბეჭდილ მასალებს, რაც კარგი მაგალითია იმისა, რომ ახალგაზრდამ შეძლოს პარალელების გავლება და გაანალიზება იმ ძირითადი ტენდენციებისა, რომელსაც დღეს მსოფლიოს წამყვანი მედიაგამოცემები ამკვიდრებენ. თუნდაც, სახელმძღვანელოში „ნიუ-იორკ ტაიმსის“ მაგალითზეა ნაჩვენები, როგორ იწერება სვეტები, როგორია მისი სტრუქტურა, რა ასპექტები მიუთითებს მის ანალიტიკურობაზე, ვინ შეიძლება გვევლინებოდეს სვეტების ავტორებად, რა თემატიკაზე ამახვილებს ყურადღებას მოსაზრების სვეტის ან პუბლიცისტური სვეტის ავტორი და ა.შ.

ცალკე უნდა აღინიშნოს ქვეთავები — „წერა პროფილით — დოსიე ადამიანის შესახებ“ და „მედია-ტექსტის მოდულაცია: მუსიკალური აგებულება“, რომელშიც მარიამ გერსამია, ფაქტობრივად, მზა რეცეპტს აძლევს სტუდენტს, როგორ გახადოს მედია-ტექსტი მიმზიდველი, როგორ მოარგოს აბზაცები ერთმანეთს — სწორად, როგორ შექმნას აბზაცებს შორის ჰარმონია და როგორ გადააბას აზრობრივი და ემოციური ქვეტექსტი ერთმანეთს. აქვე იგი გვთავაზობს ყველა იმ შუალედური (გარდამავალი) სიტყვის და კონსტრუქციის გამოყენების ფორმას, რომლითაც შესაძლოა ტექსტში მოდულაცია განხორციელდეს.

აღსანიშნავია, რომ მარიამ გერსამია წიგნში „ელემენტარული ნაწილაკები ჟურნალისტიკაში“ ქართულად გვთავაზობს პროფესიული, კერძოდ კი მეცნიერების შესახებ, წერის ტექნიკას. ეს ქვეთავი სწორედაც რომ გამართლებულია ამ წიგნში, რადგანაც მეცნიერების შესახებ წერა ერთ-ერთი ურთულესია მედია-ტექსტის შექმნის თვალსაზრისით. რჩევები, რომელსაც იგი სთავაზობს მომავალ ჟურნალისტებს, ზუსტად ასახავს პროფესიული წერის ყველა იმ ეტაპს, რაც სამეცნიერო სიახლეების აღქმას გაუადვილებს თავად ჟურნალისტებს და შემდგომ ეტაპზე — მკითხველს. მისი რეკომენდაციები პრაქტიკასთან ახლოსაა და დავალებებიც ისეა შერჩეული, რომ დამწყები ჟურნალისტისთვის სამეცნიერო თემატიკაზე წერა უხერხული არ იყოს.

სახელმძღვანელოში მარიამ გერსამია ცდილობს, სტუდენტებს გააცნოს, რა არის ფაბრიკაცია, რომლის გამოვლენაც მედია-მონიტორინგის მეშვეობით ხდება. „ფაბრიკაცია არის მედია-პროდუქტი (სატელევიზიო-რადიო თუ პუბლიცისტური მასალა), სადაც სხვადასხვა ელემენტის კომბინირების საშუალებით ობიექტური რეალობა დამახინჯებულადაა წარმოჩენილი... ფაბრიკაცია ქმნის „პერსონაჟებს“, დიალოგებს, ფაქტებს, სტატისტიკას და ამ და სხვა სახის ინფორმაციას აუდიტორიას სთავაზობს, როგორც რეალობას“, — ვკითხულობთ წიგნში. ფაბრიკაციის ელემენტების აღმოჩენა და მისი სახეობების ცოდნა

აუცილებელია მომავალი ჟურნალისტისთვის (განსაკუთრებით, მკვლევრისთვის), რადგანაც მან ზუსტად უნდა იცოდეს, რომ ამგვარი ელემენტების გამოყენებას აუდიტორია შეცდომაში შეჰყავს და ამის გაკეთება არ შეიძლება. ავტორი აქვე გვთავაზობს ფაბრიკაციაზე რეაგირების ჟურნალისტურ ხერხებსა და მეთოდებს, რომელშიც მოცემულია კონკრეტული რჩევები და რეკომენდაციები, რაც დაინტერესებულ პირს დახმარებას გაუწევს — ამხილოს ამგვარი მოვლენები მედიაში. ეს კი, ჟურნალისტური ეთიკის დაცვის თვალსაზრისით, აუცილებელია.

შეიძლება ითქვას, რომ ქართულ მედია-ბიბლიოთეკაში ბევრი არ მოიძებნება ისეთი წიგნი, რომელშიც სასწავლო მასალა თვალსაჩინოდ და სტუდენტისთვის გასაგებ ენაზეა წარმოდგენილი. მარიამ გერსამიას წიგნი ამ მხრივაც გამორჩეულია, რადგან მასში განთავსებული მასალები ლექციებზე კარგად აპრობირებულია და გათვალისწინებულია ყველა ის ნიუანსი, რაც სტუდენტებს პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენაში დაეხმარება.

ვფიქრობთ, რამდენიმე წლის შემდეგ ამავე სახელმძღვანელოს შევსებულ გამოცემას ვიხილავთ. ჟურნალისტიკა ხომ, მართლაც, ელემენტარული ნაწილაკებისაგან შედგება. ეს ნაწილაკები კი, შესაძლოა, კიდევ აღმოჩნდეს.

ტრიფონ რუხაძის ბიბლიოგრაფიული იშვიათობა

„ბიბლიოგრაფიული იშვიათობა, რომელსაც დღემდე არ დაუკარგავს სამეცნიერო ღირებულება“ — ასე აფასებენ თანამედროვე მეცნიერები პროფესორ ტრიფონ რუხაძის ნაშრომს „ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია“. ქართული მწერლობის თვალსაჩინო მკვლევარმა ამ ნაშრომით შეცვალა შეხედულება იმის შესახებ, რომ საქართველოში XIX საუკუნემდე თეატრალური ხელოვნება განვითარებული არ ყოფილა, ამავე ნაშრომით მან ძველი ქართული თეატრისა და დრამატურგიის მიმართულებით მომავალი მეცნიერული კვლევებისთვის მყარი ფუნდამენტიც შეამზადა.

ნატო ოგოლაძე

ტრიფონ რუხაძემ სამეცნიერო ნაშრომი „ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია“ თბილისის, მოსკოვის, პეტერბურგის არქივებში მოძიებულ მასალებზე დაყრდნობით შექმნა. მან მოპოვებული დოკუმენტები პეტერბურგიდან თბილისამდე 1948 წელს ჩამოიტანა, მკვლევარი სამხედრო ეშელონს გამოჰყვა, რომელსაც ლენინგრადის ბლოკადის დროს გარდაცვლილი ჯარისკაცების ცხედრები მოჰქონდა. როგორც ტრიფონ რუხაძის ქალიშვილი ნინო რუხაძე იხსენებს, მეცნიერს, თურმე, ხანგრძლივი მგზავრობის დროს, ე.წ. „ცინკის ჩასასვენებლებთან“ მოუხდა რამდენჯერმე დაძინება.

ბიბლიოგრაფიული ნაშრომი „ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია“ ტრიფონ რუხაძემ 1949 წელს გამოსცა. წიგნი დაინტერესებული მკითხველისთვის საინტერესო ინფორმაციას მოიცავს. მასში სიღრმისეულად არის განხილული თეატრისა და დრამატურგიის ტერმინები, რომლებიც ძველ ქართულ ლიტერატურაშია შემონახული; მოცემულია საეკლესიო პირების მიერ თეატრალურ სანახაობების შესახებ დაწერილი ინფორმაციაც — ცნობები ძველი ქართული თეატრისა და ანტიკურ საქართველოში სამსახიობო ხელოვნების სწავლის თაობაზე; წარმოდგენილია ქართული თეატრალური ცხოვრების ამსახველი მრავალი ფაქტი და ლიტერატურული დრამის 20-მდე მთლიანი თუ ფრაგმენტული ნიმუში, რომელთა დიდი ნაწილი პირველად შემოდის ქართული თეატრისა და ლიტერატურის ისტორიაში. კვლევის პროცესში მან ქართველი ერის კულტურულ-ლიტერატურული ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი გამოავლინა — ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის წარმოშობა-განვითარება. ტრიფონ რუხაძის წიგნის საშუალებით ჩვენ, ასევე, შეგვიძლია გავეცნოთ XVIII საუკუნეში რუსეთში მომუშავე ქართველ მსახიობებს — სილოვან ზანდუკელს, ფანჩულიძეს, ხერხეულიძეს, გაბრიელ მაიორს, ქეშიშ-დარდიმანდსა და გრუზინსკის.

ცხადია, რომ ტრიფონ რუხაძის ნაშრომი „ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია“ დღესაც აქტუალურია და ნებისმიერი თაობისთვის საინტერესო საკითხავია. სწორედ ამიტომ მიიღეს მისმა შვილებმა გადაწყვეტილება, რომ ეს ბიბლიოგრაფიული იშვიათობა ხელახლა გამოეცათ. უკვე 31 მაისს კი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ტრიფონ რუხაძის ოჯახის წევრები, მოწაფეები, თსუ-ის პროფესორ-მაწავლებლები და სტუდენტები „ძველი ქართული თეატრისა და დრამატურგიის“ მეორე გამოცემის პრეზენტაციაზე შეიკრიბნენ. წიგნის პრეზენტაციას ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა დარეჯან თვალთვაძემ უმასპინძლა. ნაშრომი გამომცემლობა „უნივერსალმა“ გამოსცა.

პრეზენტაციაზე დამსწრე საზოგადოებამ ტრიფონ რუხაძის სამეცნიერო ღვაწლის გარდა, მის ცხოვრებასა და პიროვნულ თვისებებზე სხვადასხვა ისტორიები მოისმინა. განსაკუთრებით საინტერესო გახლდათ ბატონ ტრიფონ რუხაძის მოწაფეების — პროფესორების რევაზ სირაძისა და გრივერ ფარულავას გამოსვლები, რომლებმაც მასწავლებელთან ურთიერთობის რამდენიმე მნიშვნელოვანი ნიუანსი გაიხსენეს.

„ბატონი ტრიფონი ბრძანდებოდა კორნელი კეკელიძის სკოლის ღირსეული წარმომადგენელი. მან, ფაქტობრივად, ჩამოაყალიბა და გააანალიზა რუსულ-ქართული ლიტერატურის ურთიერთობის ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდი. მახსოვს ბატონი ტრიფონი — ლექციაზე შემოსული დიდი ჩანთით, რომელშიც „ქართლის ცხოვრება“ ედო. იგი ამ ჟესტით გამოხატავდა, რომ ეს საკითხი არა მარტო თემატურად უნდა გვცოდნოდა, არამედ „გვცნობოდა თვალად“, რათა სათანადოდ დაგვეფასებინა ჩვენი დიდი წარსული. ვფიქრობ, რომ ბატონი ტრიფონის ყველაზე დიდი ღირსება იყო ხიბლი არაპოპულარობისა, რაც ძალიან იშვიათი და დასაფასებელი თვისებაა“, — აღნიშნა პროფესორმა რევაზ სირაძემ.

„მახსოვს, ბატონმა ტრიფონმა თითქმის ყველა გვერდი გადაგვიფურცლა ნიკო მარის მიერ გამოცემული „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებისა“, რომელიც მაშინ პირველად გამოქვეყნდა. წიგნს დართული აქვს ტაო-კლარჯეთში მოგზაურობის სურათები და დღიურები. ეს დღიურები დიდი სევდითა და სიხარულით არის სავსე. როდესაც მას უყურებ, დიდ ტკივილთან ერთად, დიდი სიხარულიც გეუფლება. ბატონმა ტრიფონმა რევაზ სირაძე, ლაურა გრიგოლაშვილი და მე ბატონ კორნელი კეკელიძესთან დაგვაკავშირა, თუმცა მანამდე საამისოდ გვამზადებდა — გვაძლევდა უფრო იოლად ასაწევ „სიმძიმეს“ და შემდეგ გამოზომილად გვიბიძგებდა სიღრმეებისკენ წასვლაზე. თითქმის ზუსტად წონიდა სტუდენტის ავ-კარგიანობას, მის ინტერესებსა და ნიჭიერებას. ის წიგნები, რომლებიც მან დაგვიტოვა, ყოველთვის დარჩება საჭირო ნაშრომებად მომავალ მეცნიერთათვის. ისინი მოიცავს დიდი მნიშვნელობის მასალას იმისათვის, რომ კიდევ დაშენდეს მასზე კვლევების მეორე და მესამე სართული. დიდი მადლობა მის სულს და ვუსურვოთ ლხენა უფლისაგან მოუშლელი“, — აღნიშნა გრივერ ფარულავამ.

დღეს ბატონ ტრიფონ რუხაძეს მისი მოწაფეები, ოჯახის წევრები იხსენებენ და ხაზგასმით აღნიშნავენ მის ერთ-ერთ ყველაზე ღირებულ თვისებას — თავმდაბლობას. ტრიფონ რუხაძე წოდებით არ გახლდათ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. როგორც მისი შვილი, ნინო რუხაძე იხსენებს, საბჭოთა პერიოდში ამ წოდების მისაღებად სპეციალური განცხადების ჩაბარება იყო საჭირო, რომლის ტექსტიც ასე იწყებოდა: „გთხოვთ, მომცეთ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება...“ — ეს კი ბატონი ტრიფონისთვის ძალიან მიუღებელი იყო.

აღსანიშნავია, რომ ძველი ქართული მწერლობის მკვლევარი, საბჭოთა რეჟიმის მიუხედავად, ხშირად ესწრებოდა სიონის ტაძარში წირვას. ასევე, ცნობილია, რომ ტრიფონ რუხაძე საქართველოს კათოლიკოსს ეფრემ II-ს ბიბლიის შესახებ მეცნიერულ განმარტებებსაც აძლევდა. მის ოჯახში ახლაც ინახება XX საუკუნის დასაწყისით დათარიღებული, ინგლისურ ენაზე გამოცემული ოთხთავი, რომელიც ღირებულ იშვიათობას წარმოადგენს.

აკაკი ბაქრაძე თავის ცნობილ წიგნში „მწერლობის მოთვინიერება“ წერს ტრიფონ რუხაძის შესახებ: „როცა მწერლებისა და მეცნიერების რბევა მიმდინარეობს, არავის აქვს უფლება გამოსარჩლების მიზნით ხმა ამოიღოს, კრინტი დაძრას. თუ სინდისმა არ მოგასვენა და კომპარტიის მიერ გაკრიტიკებულის დაცვა სცადე, მაშინ უთუოდ დაგატყდება თავზე რისხვა. ასე მოუვიდა, მაგალითად, ტრიფონ რუხაძეს, როცა კორნელი კეკელიძე, მიხეილ ზანდუკელი, გერონტი ქიქოძე და სხვანი გაროზგეს, ტრიფონ რუხაძემ ზოგიერთი მათგანის გამოქომაგება სცადა, რის გამოც ის გაიწკეპლა კიდეც“. ეს ისტორია წიგნის „ძველი ქართული თეატრისა და დრამატურგიის“ მეორე გამოცემის პრეზენტაციაზე ბატონმა ნოდარ ტაბიძემაც გაიხსენა...

ტრიფონ რუხაძე იყო, ასევე, იმ 40 ადამიანიდან ერთ-ერთი, ვინც ექვთიმე თაყაიშვილის დაკრძალვას ესწრებოდა. მისი ცხოვრების ეს რამდენიმე ნიუანსი ცხადად მეტყველებს, რომ იგი დიდი იყო არა მარტო როგორც მეცნიერი, არამედ როგორც პიროვნებაც.

ტრიფონ რუხაძე 1979 წელს გარდაიცვალა. იგი 5 მონოგრაფიის ავტორია: „ქართველები რუსეთის 1812 წლის სამამულო ომში“, „ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან“, „ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან“, „ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია“ და „ქართული ეპოსი გარდამავალი ხანის ლიტერატურაში“. ეს ნაშრომი მან 27 წლის ასაკში დაწერა, რომელიც მისმა მასწავლებელმა კორნელი კეკელიძემ ასე შეაფასა: „ჩვენი მკვლევარი დიდი ენერგიითა და ინტერესით შეუდგა მუშაობას. ის არ დაკმაყოფილდა, რასაკვირველია, არსებული ბეჭდური მასალებით და ცნობებით, ღრმად შეცურა სამუზეუმო მასალების ოკეანეში და შედარებით მოკლე დროში თავდადებული შრომისა და საქმიანობის შედეგად მისი ფსკერიდან ამოიღო თექვსმეტამდე მარგალიტი ქართული ლიტერატურული შემოქმედებისა. კითხულობთ მის შრომას, რომელიც მდიდარ სამუზეუმო მასალებზეა დამყარებული და გრძნობთ, რომ ის სავსებით დაუფლებია ამ მასალას“.

რკინისებური ლოგიკით აღჭურვილი მეცნიერი

ქართველ სწავლულ ეკონომისტთა რიგებს, ქართულ საზოგადოებას გამოაკლდა დიდი მეცნიერი და ბრწყინვალე პიროვნება – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ეკონომიკურ და ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფესორი გრიგოლ სიმონის ძე თოდუა.

იგი დაიბადა 1928 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფელ ნაკადულში. 1946 წელს მედალზე დაამთავრა კოხნარის საშუალო სკოლა და სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე. მისი წარჩინებით დამთავრების შემდეგ (1951 წ.) სწავლობდა ასპირანტურაში, რომლის სრული კურსის დამთავრებისთანავე დაიცვა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. ამ პერიოდიდან იწყება გრიგოლ თოდუას ნაყოფიერი სამეცნიერო პედაგოგიური მოღვაწეობა. 1968 წელს მან წარმატებით დაიცვა ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. 1970 წელს მიენიჭა პროფესორის სამეცნიერო წოდება.

პროფესორი გრიგოლ თოდუა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ეწეოდა ნაყოფიერ სამეცნიერო-სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმიანობას ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტში, თბილისის პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1976–1981 წლებში მუშაობდა თსუ-ის ეკონომიკური ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე, ხოლო 1995–2004 წლებში იყო საერთაშორისო ეკონომიკის და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრის გამგე.

განსაკუთრებით დიდია ბატონი გრიგოლის დამსახურება ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის პრობლემების დამუშავებაში. მან ჯერ კიდევ XX საუკუნის 80-იან წლებში გამოსცა „XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხების“ ორტომეული, ხოლო 2004 წელს დიდმნიშვნელოვანი კაპიტალური ნაშრომი „ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია“. პროფესორ გრიგოლ თოდუას დიდი დამსახურებაა ისიც, რომ იგი იყო ეკონომიკის ფილოსოფიის ერთერთი პირველი მკვლევარი და ამ მეცნიერული მიმართულების საფუძვლების ჩამყრელი საქართველოში.

პროფესორ გრიგოლ თოდუას, როგორც ღრმად განსწავლული და დიდი შემოქმედებითი დიაპაზონის მეცნიერის, მოღვაწეობა ორგანულადაა შერწყმული მის პედაგოგიურ საქმიანობასთან. იგი იყო საყოველთაოდ აღიარებული, მაღალი კულტურის და ერუდიციის ლექტორი – სხარტი და მიმზიდველი მეტყველებით, რკინისებური ლოგიკით. მისი ცხოვრებისა და შემოქმედების უმნიშვნელოვანესი მიმართულება იყო ახალგაზრდობა. პროფესორ გ. თოდუას ხელმძღვანელობით ათეულობით ახალგაზრდამ დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ პროფესორ გრიგოლ თოდუას სახით საქართველომ დაკარგა უმაღლესი დონის მეცნიერ-ეკონომისტი. მისმა გარდაცვალებამ არა მარტო მის ნათესავებსა და მეგობრებს, არამედ მთელ ქართულ საზოგადოებას დაწყვიტა გული. მან მთელი ცხოვრების მანძილზე თავისი ძალა შეალია ახალგაზრდობასა და ქართული ეკონომიკური მეცნიერების განვითარების საქმეს. ამიტომ, ამ გამოჩენილი მეცნიერისა და ნათელი პიროვნების ხსოვნა მარად დარჩება მისი აღზრდილების, კოლეგებისა და მეგობრების მეხსიერებაში.

თსუ-ის რექტორატი,
ეკონომიკისა და ბიზნესის
ფაკულტეტის დეკანატი,
ეკონომიკის პრინციპების კათედრა,
ჟურნალ „ეკონომიკა და
ბიზნესის“ რედაქცია

„ინტერნეტ-ნიჭიერის“ გამარჯვებული

თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი ზვიად მღებრიშვილი უკვე დიდი ხანია, რაც თანამედროვე ცეკვის ერთ-ერთი სახეობით – „ბრეიქდანსით“ დაინტერესდა. ცეკვა 2 წლის წინ დაიწყო. თავიდან მხოლოდ თავისუფალ დროს, კარგი განწყობის შესაქმნელად ცეკვავდა, თუმცა პროექტის „ინტერნეტ-ნიჭიერის“ დაწყების შემდეგ, მეგობრების რჩევით, გადაწყვიტა თავისი ნიჭი ფართო საზოგადოებისთვის გაეცნო. მუსიკა თავად შეარჩია, მას „ბრეიქდანსის“ ილეთები მოარგო, ოპერატორობა ერთ-ერთმა ნაცნობმა გაუწია და „ექსპრომტად“ შექმნილი ვიდეო-რგოლი „ინტერნეტ-ნიჭიერის“ შესარჩევ კონკურსზე

გაგზავნა. მცდელობამ გაამართლა და მისმა ნიჭმა მოწონება დაიმსახურა. იგი ინტერნეტ-ნიჭიერის ფინალში 32 მონაწილიდან მეორე ადგილზე გავიდა.

„ჩემთვის მნიშვნელოვანია ამ პროექტში წარმატება. ძალიან მინდა, ხალხმა ნახოს და შეაფასოს ჩემი ცეკვა. ამ პროექტის საშუალებით, ვფიქრობ, მაქვს ცხოვრებაში წარმატების მიღწევის შესაძლებლობა. „ინტერნეტ-ნიჭიერის“ ფინალში მეორე ადგილზე გავედი და ეს დიდი სტიმულია ჩემთვის. მინდა ცეკვის სტილი უფრო დავხვეწო და გავაუმჯობესო. ცეკვას ჩემს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. თუკი ამ პროექტის შემდეგ სხვა მოცეკვავეებისგან რაიმე სერიოზული შემოთავაზება მექნება, აუცილებლად დავინტერესდები. დიდ მადლობას ვუხდი ყველას, ვინც „ინტერნეტ-ნიჭიერში“ მონაწილეობისას მხარი დამიჭირა“, — განაცხადა ზვიად მღებრიშვილმა.

თვითნასწავლი მოცეკვავე ზვიად მღებრიშვილი თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის III კურსის საკმაოდ წარმატებული სტუდენტია და სწავლობს 100%-იანი დაფინანსებით. იგი ბიზნესის სფეროში გეგმავს საქმიანობის გაგრძელებას, მაგრამ არ გამორიცხავს, რომ „ბრეიქდანსი“ მისი მეორე „პროფესია“ გახდეს. როგორც მან ჩვენთან საუბრისას განაცხადა, ფიქრობს მომავალ წელს სატელევიზიო პროექტ „ნიჭიერში“ მონაწილეობის მიღებასაც, თუმცა მანამდე ზვიად მღებრიშვილი გამგზავრებას ბათუმში გეგმავს. „ინტერნეტ-ნიჭიერის“ მეორე ადგილის მფლობელს ჯილდოდ ბათუმში მდებარე სასტუმრო „შერატონში“ დასასვენებლად 2 კაციანი საგზური გადაეცა.

ვერცხლის წელიწადი

„სუპერლიგა 2010-2011”-ში თსუ-ის ვაჟ კალათბურთელთა უმაღლესი ლიგის გუნდი ეროვნული ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსანია.

წლევანდელ ჩემპიონატში ყველაზე დიდი ანგარიშით მოიგო „თსუ”-მ თამაში დინამოსთან 149:95, რაც წლევანდელი ჩემპიონატის რეკორდია.

უნდა აღინიშნოს წლევანდელ ჩემპიონატში „თსუ“-ის 17 მატჩიანი წაუგებელი სერია.

წარმატებები აქვს ვაჟ კალათბურთელთა ახლად შექმნილ დუბლშემადგენლობასაც. „თსუ”-ის გუნდმა 20 წლამდე ასაკის ეროვნულ ჩემპიონატში II საპრიზო ადგილი დაიკავა.

ზედიზედ 5-გზის ოქროს მედლის და საქართველოს თასის მფლობელი თსუ-ის ქალ კალათბურთელთა გუნდი კი წლევანდელ ეროვნულ ჩემპიონატში, ასევე, ვერცხლის მედალს დასჯერდა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კალათბურთის ისტორიაში 2011 წელი შეიძლება ვერცხლის წელიწადად მივიჩნიოთ.

გუნდის წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის თსუ-ის ხელმძღვანელობას — რექტორს ალექსანდრე კვიტაშვილს, ადმინისტრაციის უფროსს დავით ჩომახიძესა და გუნდის ხელმძღვანელობას. უნდა აღინიშნოს თსუ-ის მწვრთნელების კვალიფიკაცია და მათი მონდომება. „თსუ” ყველაზე ერთსულოვანი გუნდია ეროვნულ ჩემპიონატში, რაც ასევე გუნდის მწვრთნელთა დამსახურებაა.

შეგახსენებთ: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვაჟ კალათბურთელთა გუნდი 1925 წელს შეიქმნა (მწვრთნელი გიორგი საყვარელიძე). უკვე 1928 წელს უნივერსიტეტის კალათბურთის ნაკრები საქართველოს ჩემპიონია.

საუნივერსიტეტო კალათბურთის აღზევებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით 40-50-იანი წლების სპორტსმენებს. უნივერსიტეტში კალათბურთი ბრწყინავდა, როდესაც აქ სწავლობდნენ ლეგენდარული ნოდარ ჯორჯიკია, სულიკო თორთლაძე, მიხეილ კეკელიძე...

უნივერსიტეტს დღეისათვის ჰყავს ვაჟ კალათბურთელთა გუნდი „თსუ“, რომელიც თამაშობს უმაღლეს ლიგაში და წარმატებით აგრძელებს წინამორბედთა ტრადიციებს.

მთავარი რედაქტორი	ნინო კაკულია	რედკოლეგიის წევრები:	მისამართი:
მთავარი სპეციალისტი	მაია ტორაძე	რისმაგ გორდეზიანი, ნოდარ ბელქანია,	ილია ჭავჭავაძის
ტექნიკური რედაქტორი	მანანა ჯურხაძე	იაგო კაჭკაჭიშვილი, ლადო მინაშვილი,	გამზ. 11ª
ფოტოკორესპონდენტი	ლიკა პეტრიაშვილი	ნინო ჩიხლაძე, თემურ ნადარეიშვილი,	(თსუ-ის მე-3
კომპიუტ. უზრუნველყოფა	ზაზა გულაშვილი	ნოდარ ხადური, მარინე ჩიტაშვილი,	კორპუსი)
		ვაჟა კიკნაძე, დიანა ძიძიგური,	
		ნანა ჭიღლაძე, თეა ჯუღელი	22 36 62